ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 26 ნოემბერი, 2009 №305 (5046) ფასი: 30 თეთრი

## საქართველოში ავღანური ჰეროინი გამოჩნდა

გვ.2

# „ნოღაიდელი სააკაშვილის დავალებით დადის მოსკოვში“

„რა უნდოდა ინაიშვილს პრიმაკოვის დაბადების დღეზე?“



გვ.5

ცხინვალის პრობლემის მოგვარება იყო 6 თვის, 1 წლის ამბავი, ამის კეთილი ნება რომ ყოფილიყო ხელისუფლების მხრიდან. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ და შემიძლია დავასაბუთო. პირველი დღიდან მე მიმყავდა ეს საქმე, ბრიუსელის კონფერენცია იყო არნახული ნაბიჯი შერიგების გზაზე.

## რუსუდან კერვალიშვილი შეიძლება საკრებულოს თავმჯდომარე გახდეს

ალასანიას პარტია ხელისუფლებასთან შეხვედრას ისევ აპირებს



გვ.3



გვ.3

## სააკაშვილმა დანაპირები რომ შეასრულოს, უნდა უჯიკო

დავითაშვილი მეწარმეებისთვის ფიქსირებული გადასახადის დაწესებას ითხოვს



გვ.2

## ალასანიას ალიანსმა შესაძლოა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადოს

ჩინური კომპანია — ZTE Corporation მაგთიკომის არასაიმედო პარტნიორი

ZTE 中兴

მაგთიკომი MAGTICOM



გვ.4

## მოშიმშილე ცოტნე გამსახურდია ექიმების მომსახურებაზე უარი თქვა



გვ.4

## ერევანში გამართული ანტიქართული აქცია რუსეთის დაფინანსებული იყო

ლარსის გახსნა აზერბაიჯანის და თურქეთის ინტერესებშიც შედის

7 რუსეთი პანკისზე დასარტყმელად ემზადება

6 ქრისტიან-დემოკრატებმა საკონსტიტუციო ცვლილებები მოამზადეს

7 ოპოზიციაში ეროვნული ძალები არ ჩანან

2 ებრალიძის სასამართლო პროცესი 8 დეკემბერს გაიმართება

## ებრალიძის სასამართლო პროცესი 8 დეკემბერს გაიმართება



თბილისის საქალაქო სასამართლოში ბიზნესმენ ალექსანდრე ებრალიძის მიერ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი 8 დეკემბერს გაიმართება.

როგორც „პირველს“ ებრალიძის ადვოკატმა გოჩა სვანიძემ განუცხადა, მოსამზადებელ სხდომებზე სარჩელის დასაშვებლობა გადაწყდა, პროცესი კი 8 დეკემბერს დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ რუსეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა ალექსანდრე ებრალიძემ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თამჯდომარის გივი თარგამაძის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი 3 აგვისტოს შეიტანა. ებრალიძე მმართველი გუნდის ერთ-ერთ ლიდერს ცილისწამებაში, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციიის შელახვაში ადანაშაულებს და მისგან ბოდიშის მოხდასა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 10 მლნ ევროს მოითხოვს.

საქმე ეხება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გასულ სიუჟეტს, რომელშიც გივი თარგამაძემ განაცხადა, რომ ალექსანდრე ებრალიძე „მკვლელია, 2 ადამიანი ჰყავს მოკლული და ჩვეულებრივი პეტერბურგელი ბანდიტია“. იმავე სიუჟეტში თარგამაძე ამტკიცებს, რომ ებრალიძეს მუხროვანში მომხდარ სამხედრო ამბოხთან საკმაოდ საეჭვო კავშირი აქვს, ისევე, როგორც ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტს“ ტარიელ ონიანს.

**პირველი**

## ფილიპინებზე დაკავებული ქართველი მეზღვაურები კვლავ პატიმრობაში არიან

ფილიპინებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესიდან გამომდინარე არეულობა, გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა და არასტაბილური ვითარება ასახვას არ ჰპოვებს ქვეყანაში დაკავებული ქართველი მოქალაქეების მდგომარეობაზე, რომლებიც ამ დრომდე მანილაში იმყოფებიან და დანაშაულისთვის პასუხისგებაში არიან მიცემული — განუცხადა „მედიანიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობს სამსახურის უფროსის მოადგილემ, ირაკლი ვეკუამ განუცხადა.

როგორც ცნობილია, 2009 წლის 21 აგვისტოს, ფილიპინების ხელისუფლებამ პანამის დროშის ქვეშ მცურავ გემზე მყოფი 13 ქართველი დააკავა. გავრცელებული ინფორმაციით, გემს ფილიპინებზე ისრაელის წარმოების საბრძოლო იარაღი კონტრაბანდული გზით გადაჰქონდა. დაკავებული გემის ეკიპაჟის 13 ქართველი წევრი ამ დრომდე საპატიმროში იმყოფება. გემის მფლობელმა კომპანია “ლა პლატამ“ ქართველ მეზღაურებს დაუნიშნა ადვოკატი, რომელიც საკითხის გარკვევას ფილიპინების ხელისუფლებასთან შეეცდება, თუმცა საქმე დღემდე ძიებაშია. ბოლო ინფორმაციით, ქართველი მეზღვაურები ცალ-ცალკე დაკითხეს და აიღეს თითის ანაბეჭდები. მათი ჩვენების მიხედვით, ირკვევა, რომ მათ არაფერი იცოდნენ გემზე არსებული ტვირთის რაობის შესახებ.

იმის გამო, რომ ფილიპინებზე არ არსებობს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართველი მეზღვაურების დაკავების დღიდან, საქმის მეურვეობა აშშ-ში საქართველოს საელჩოს დაავალა.

**მედიანიუსი**

# ალასანიას ალიანსმა შესაძლოა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადოს

ნათია ხურცილავა



**„ალიანსი საქართველოსთვის“ ხელისუფლებამ შესაძლოა თამაშგარე მდგომარეობაში დატოვოს. ეს „თამაში“ ნაციონალებმა ენდიაის ოფისში დაიწყეს, რასაც ალიანსიც აყვა. თუმცა, მაშინ არავინ არ მოელოდა, რომ ხელისუფლება პირველ ტაიმს მაინც არ დაასრულებდა და მოედანს ასე შეუნიღბავად დატოვებდა.**

მოლაპარაკების შეჩერების მიზეზი ხელისუფლებასა და ალიანსს შორის საარჩევნო ბარიერი გახდა. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ შეიძლება ყველაფერი ალიანსის გარეშე გადაწყდეს და საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტში კენჭისყრაზე დააყენოს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დანარჩენი ოპოზიციის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი კენჭისყრაზე დადგება, საპარლამენტო უმრავლესობა მას მიიღებს და სწორედ კოდექსის ამ ვარიანტით მოხდება ადგილობრივი არჩევნების ჩატარებაც. ამ შემთხვევაში კი ალიანსს ერთადერთი გზა რჩება, რომ არჩევნებში ან არ მიიღოს მონაწილეობა (რაც ნაკლებად სავარაუდოა), ან გააპროტესტოს მის გარეშე შეტანილი ცვლილებები.

ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე სწორედ ამაზე აკეთებს აქცენტს, მისი თქმით, ისინი პროტესტის ყველა ცივილიზებულ ფორმას მიმართავენ.

გუშინ ალიანსის ლიდერები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდნენ. მათ ელჩებს თავიანთი პოზიცია გააცნეს და ხელისუფლების მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნების შუამდგომლობაც სთხოვეს.

**დავით უსუფაშვილი, „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე:**

— თითქმის ყველა საელჩოს წარმომადგენელი იყო შეხვედრაზე. დიპლომატიურ კორპუსს მოვახსენეთ, თუ რა ხდება საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. რა პროგრესია მიღწეული, რა პრობლემებია და რა პერსპექტივები. კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ჩვენი პოზიცია, რომ ენდიაის სამუშაო ჯგუფის ფორმატში ჩვენ მზად ვართ გავაგრძელოთ მუშაობა. ბევრი რამ მიღწეულია. შეუთანხმებელ საკითხებზე კი მუშაობაა საჭირო. „ნაციონალური მოძრაობის“ ნაბიჯი არასწორია, როდესაც ის გაიქცა მოლაპარაკების მაგიდიდან. ნაციონალები მხოლოდ მათ ესაუბრებიან, რომლებიც ყველაფერზე თანახმობას აძლევენ. მოლაპარაკების გაგრძელება აუცილებელია არჩევნების სანდოობისთვის. აუცილებელია მოსახლეობამ დაინახოს, რომ ესა თუ ის გადაწყვეტილება კონსენსუსით არის მიღებული ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეების მონაწილეობით. სხვა შემთხვევაში კვლავ მივიღებთ ისეთ არჩევნებს, რომელსაც მოსახლეობის ნდობა არ ექნება. საარჩევნო ბარიერზე ჩვენი პოზიცია ცნობილია, ჩვენ ვთვლით, რომ 50 პლუს ერთი, ეს არის სამართლიანი. სამუშაო ჯგუფის ფორმატში განვაცხადეთ, რომ 45 პროცენტიან ბარიერზეც თანახმა ვართ. ბევრი სხვა საკითხიც არის, მაგალითად, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების, რომელიც ჯამში კონსენსუსის მიღწევის საშუალებას იძლევა, მაგრამ ხელისუფლებამ თავისი ხისტი პოზიცია უნდა დათმოს 30 პროცენტიან ბარიერთან დაკავშირებით, რომელზეც ისინი ფიქრობენ, რომ გარანტირებულ გამარჯვებას უქადის.

***— თუმცა, ენდიაის ოფისში პროცესი გრძელდება, დანარჩენმა ოპოზიციამ ხელი მოაწერა ცვლილებებს. ამაზე რას იტყვით?***

— ენდიაის ოფისში არანაირი პროცესი არ მიდის, რადგან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ეს პროცესი დატოვა, რაც შეეხება ხელმოწერებს, ჩვენც გვაქვს სხვა პარტიების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც სხვა საკითხებს უჭერს მხარს. თუ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ეს უნდა იქნას იმ ფორმატში მიღებული, რაზეც ვართ შეთანხმებული. პარლამენტარები ბაღში რომ შეიკრიბონ და იქ კენჭი იყარონ, ჩაითვლება გადაწყვეტილება? მობრძანდნენ ენდიაის ოფისში და გავაგრძელოთ საუბარი და თუ შევთანხმდებით, ჩვენც მოვაწერთ ხელს. პარლამენტში პულტებს „ნაციონალური მოძრაობა“ აკონტროლებს. თუ გადაწყვეტენ, რომ ასე მიიღონ ეს გადაწყვეტილება, გადაწყვიტონ, ამას ჩვენ ხელს ვერ შევუშლით.

***— არჩევნებში მონაწილეობის საკითხი გადაიხედება?***

— არჩევნებში მონაწილეობის საკითხი გადაწყდება მაშინ, როდესაც კანონმდებლობა გვეცოდინება. ჯერ არც არჩევნებია დანიშნული და არც კანონია ცნობილი. პოლიტიკური მზაობა არის, ცნობილია ჩვენი კანდიდატები, ე.ი. ჩვენ მზად ვართ არჩევნებისთვის, მაგრამ რას გავაკეთებთ, ეს დამოკიდებულია საარჩევნო გარემოზე.

**დავით გამყრელიძე, „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე:**

— არის საკითხების ნაწილი, რომელსაც ვიზიარებთ, მაგრამ არის საკითხები, რომელსაც არ ვიზიარებთ. მოვეწოდებთ სახელისუფლო პარტიას, რომელიც გაგვებუტა, დაბრუნდეს ენდიაის ფორმატში, სადაც გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული და სწორი მექანიზმი არსებობს. ძალიან მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა სიები, დამონტაჟებული ვიდეო თვალი, მედიის როლი არჩევნების დროს, არის საკითხები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ცალკეული პარტიების ინიციატივას ვერ შევუერთდებით, რადგან გვგონია, რომ ყველაზე ნეიტრალური ფორმა ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტიდან არის შემოთავაზებული. დღეს ცალ-ცალკე დოკუმენტებზე ხელმოწერა არასწორია. ამ საკითხებზე იმ ფორმატში უნდა ვიმსჯელოთ, რომელზეც ვიყავით შეთანხმებული. ამ ინფორმაციას ყველგან გავიტანთ. საჭიროა დიალოგი, დიალოგიდან გაქცევა ძალიან ცუდია. ყველანი ვხედავთ, რომ გარკვეულ მარგინალიზაციას და რადიკალიზაციას განიცდის ხელისუფლება. მოვუწოდებთ, რომ კონსტრუქციულები გახდნენ.

**ზურაბ აბაშიძე, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი:**

— ელჩების მიდგომა ერთგვაროვანი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნების შესახებ. ჯერჯერობით არანაირი შეთანხმება არ არის მიღწეული. ორი პოზიციის გაცვლა იყო. დიალოგი უნდა გაგრძელდეს, ჩვენ ამისკენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას. დიალოგით უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას. მზად ვართ კომპრომისებისთვის. მზად ვართ, რომ ბარიერის საკითხს, საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების საკითხს დავუბრუნდეთ. ხელისუფლება 30 პროცენტიან ბარიერზე საუბრობს, რაც არ არის სამართლიანი, ეს არ იქნება სამართლიანი არჩევნები. ჩვენ მზად ვართ, რომ გონივრულ კომპრომისზე წავიდეთ და მნიშვნელოვან საკითხებზე ვიმსჯელოთ. დიპლომატების განწყობაა, რომ შეთანხმება შედგეს ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის, მათ ვისაც მაღალი რეიტინგი აქვს, ვისაც აქვს უნარი, რომ არჩევნები მოიგოს. ენდიაის ფორმატი საკითხის კონსენსუსით გადაწყვეტას ითვალისწინებს. ეს წესი თუ შეიცვლება, კი ბატონო, შევცვალოთ და ახლიდან მივიღოთ გადაწყვეტილებები. თუ „ნაციონალური მოძრაობა“ მხოლოდ იმ ცვლილებებს შეიტანს კოდექსში, რომელიც მას უნდა, ეს ამ კომისიის გარეშეც შეეძლო. სრულებით არ სჭირდებოდა კომისიაში ყოფნა. თუ ასე იქნა საკითხი მიღებული, ამას დაველოდებით და ამის შემდეგ იქნება ადეკვატური გადაწყვეტილება მიღებული. ჩვენ მზად ვართ ბრძოლისთვის და საზოგადოების ინტერესების დასაცავად.



## საქართველოში ავღანური ჰეროინი გამოჩნდა



გუშინ მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ ავღანური ჰეროინის ნარკობიზნესის შესახებ სხვადასხვა კვლევის შედეგები მედიას გააცნო.

გაეროს მონაცემებით, ამიერკავკასიაში ყოველწლიურად თერთმეტი ტონა ჰეროინი ორი ძირითადი მარშრუტით შემოდის. პირველი: ავღანეთი-ირანი-აზერბაიჯანი — 9 ტონა და II-ავღანეთი-შუა აზია-კასპიის ზღვა-აზერბაიჯანი — 2 ტონა. აქედან 7 ტონა საქართველოს საზღვაო პორტებიდან (ძირითადად ფოთის პორტი) ევროპაში გადის. რეგიონში 4 ტონა ჰეროინი რჩება.

აშშ-ს ადმინისტრაციის მონაცემების გათვალისწინებით (რეგიონის ქვეყნებში ნარკომანების რაოდენობასთან დაკავშირებით) საქართველოზე მოდის რეგიონში მოხმარებული ნარკოტიკების მინიმუმ 59 პროცენტი, ანუ 2,4 ტონა ჰეროინი.

გაჩეჩილაძის თქმით, ნარკომანიასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება საქართველოში ხელისუფლების გადადგომაა. მისივე თქმით, აშშ-ს “ნარკოტიკებთან ბრძოლის ბიუროს“ მონაცემებით, საქართველოში დღეისათვის ნარკოტიკების 240 000-დან 350 000-მდე მომხმარებელია, მაშინ, როცა მათი რაოდენობა 2003 წელს 150 000 იყო.

— როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები აცხადებდნენ, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი კრიმინალური წარმოშობის იყო, — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

მისივე თქმით, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის 1 060 042 ხმა (53, 5 პროცენტი) არჩევნების დანიშვნის შემდეგ ციხეებიდან 984 პატიმრის გამოშვების შედეგად მოაგროვა. შეწყალების პირობად კი პატიმრის ოჯახს 400-500 ხმის ორგანიზება უნდა მოეხდინა.

როგორც მწვანეთა პარტიის მიერ წარმოდგენილ კვლევის შედეგებშია აღნიშნული, გაეროს მონაცემებით საქართველოში ერთი გრამი სუფთა ჰეროინის საშუალო ფასი 350 აშშ დოლარია, ანუ რეალიზებული 2,4 ტონის ღირებულება 840 მილიონი დოლარია.

— ასეთი რაოდენობის ჰეროინის საზღვარზე გადატანა კორუფციული გარიგების გარეშე ვერ მოხდება, — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

მწვანეთა პარტიის მიერ მომზადებული დოკუმენტი გაეგზავნა 60 სუბიექტს, მათ შორის, საერთშორისო ორგანიზაციებს. დოკუმენტში გამოყენებულია 16 დასახელების წყაროს კვლევები. გაჩეჩილაძის თქმით, უკვე დღეიდან ელოდებიან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გამოხმაურებას.

**მედიანიუსი**

## ტირძნისელი მოზარდები შესაძლოა უახლოეს მომავალში გაათავისუფლონ

რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციით, ტირძნისელ მოზარდებს უახლოეს მომავალში გაათავისუფლებენ. როგორც “თავისუფლებას“ ცხინვალელმა ჟურნალისტმა თემურ ხურაბედოვმა აცნობა, მოზარდების გათავისუფლება უკვე გადაწყვეტილია.

შეგახსენებთ, რომ გორის რაიონის სოფელ ტირძნისის მოსწავლეები ალეკო საბაძე, ვიქტორ ბუჩუკური, ლევან ხმიადაშვილი და გიორგი რომელაშვილი რუსმა ოკუპანტებმა ე.წ. საზღვრის გადაკვეთისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების გადატანის ბრალდებით დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალის დე-ფაქტო პროკურატურას რუსული კანონმდებლობის მიხედვით ბავშვებს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# პარლამენტში საარჩევნო კოდექსის პროექტი ახალ წლამდე შევა

**საქართველოს საარჩევნო კოდექსის პროექტი პარლამენტში უახლოესი ერთი თვის განმავლობაში შევა.**

როგორც ჟურნალისტებს უმრავლესობის წევრმა პავლე კუბლაშვილმა განუცხადა, საარჩევნო კანონმდებლობაზე მომუშავე ჯგუფის მუშაობის პროცესი უკვე საკანონმდებლო ჭრილში გადაინაცვლებს. ყველა პოლიტიკური სუბიექტი, რომელმაც შესაბამის შეთანხმებებს მოაწერა ხელი, ერთობლივ კანონპროექტს მოამზადებს.

საარჩევნო კანონმდებლობაზე მომუშავე ჯგუფში მიღწეულ შეთანხმებებს მმართველი პარტიის სახელით სწორედ პავლე კუბლაშვილმა მოაწერა ხელი.

როგორც ცნობილია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ინიციატივით გამოვიდა, რომ ჯგუფში გაერთიანებულ პოლიტიკურ სუბიექტებს ყველა შეთანხმებული საკითხი ხელმოწერით 26 ნოემბრამდე დაედასტურებინათ.

იმ ინიციატივას დაეთანხმნენ: ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, „ქართული დასი“, დემოკრატიული პარტია, ტრადიციონალისტთა კავშირი, „ჩვენ თვითონ“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

გადაწყვეტილების მიღებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს ირაკლი ალასანიას „ალიანსი“, რომელიც ჯგუფის დანარჩენ წევრებთან რამდენიმე საკითხზე ვერ თანხმდება. შეუთანხმებლობის მთავარი მიზეზი თბილისის მერის არჩევნებზე არსებული ბარიერია. კერძოდ, „ალიანსი“ 30-პროცენტიანი ბარიერის დაწესებას არ ეთანხმება და 45-პროცენტამდე მის გაზრდას ითხოვს.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილმა დანაპირები რომ შეასრულოს, უნდა უჯიკო

ნათია ხურცილავა

კობა დავითაშვილმა გუშინ აქცია გამართა პარლამენტის შენობის წინ. აქციას ყოფილი „ნაციონალი“ ალეკო შალამბერიძე, „ლეიბორისტები“ და „კონსერვატორები“ შეუერთდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ დავითაშვილმა წინა საარჩევნო კამპანია დაიწყო. ამას არც ის უარყოფს. „ხალხის პარტიის“ ლიდერი თბილისის მერობას აპირებს.

კობა დავითაშვილი სოციალური საკითხებით გამოდის. პენსიების გაზრდას ითხოვს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, ასევე მცირე მეწარმეებისთვის ფიქსირებულ გადასახადს.



**დავითაშვილი მეწარმეებისთვის ფიქსირებული გადასახადის დაწესებას ითხოვს**

**კობა დავითაშვილი, „ხალხის პარტიის“ ლიდერი:**

— ჩვენ ვითხოვთ ფიქსირებულ გადასახადს მცირე მეწარმეებისთვის და პენსიების მომატებას სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. ასევე საპენსიო ასაკის 5 წლით დაწევას. ასევე მთავრობის იმ დადგენილების გაუქმებას, რომლითაც ომის ინვალიდებს, ვეტერანებს, აფხაზეთში, სამაჩაბლოში და სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებს, 9 აპრილის დროს მოწამლულებს პენსია კი არ მოემატათ, არამედ შეუმცირდათ. კანონპროექტი შეგვაქვს პარლამენტში, რომ ოფიციალურად მივიღოთ ხელმოწერის ბლანკები და დავიწყოთ სახალხო ინიციატივით კანონპროექტის პარლამენტში შეტანის პროცესი. 30 ათასი ადამიანის ხელმოწერის შემთხვევაში კანონპროექტის ინიცირების უფლება აქვს მოქალაქეს. სწორედ ამ პროცესს ვაპირებთ.

***— მაგრამ რამდენად რეალურია, რომ პარლამენტი თქვენ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს მიიღებს?***

— რაც უფრო მოახლოვდება ადგილობრივი არჩევნები და რაც უფრო ხალხმრავალი გახდება აქციები, ამ კანონპროექტის გასვლის შანსი არის. ჩვენ ასე გაგვიკეთებია. 2006 წელს პენსიის დამატება სწორედ ასე მოხდა. მე ვიყავი მერობის კანდიდატი 2006 წელს. „კონსერვატორების“ და „რესპუბლიკელების“ ბლოკი იყო, მაშინ პირველად დათმო ხელისუფლებამ და 5 ლარიანი დანამატი პენსიაზე სტაჟის მიხედვით მაშინ მოხდა.

***— თუმცა, სააკაშვილი ამბობს, რომ ეს მისი დანაპირები იყო...***

— კიდევ შეასრულოს მისი დანაპირები. კაცს, რომელსაც დანაპირების შესასრულებლად სულ ჯიკავი და ბიძგი სჭირდება, ბუნებრივია, ეს დანაპირები არ ახსოვს.

***— ბატონო კობა, გამოდის, წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეთ...***

— ეს არის ის კამპანია, რომელსაც მე ყოველთვის ვაწარმოებდი. პენსიებზე და გადასახადების შემცირებაზე მე ყოველთვის ვაკეთებდი აქცენტებს და ამას ყოველთვის ვითხოვდი, ამიტომ არ მერიდება, რომ ამას დავარქვა წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანია ბრძოლის ის მეთოდია, რომლის დროსაც „ყვავს კაკალს გააგდებინებ“.

***— პრაიმერი თებერვალში ჩატარდებაო, ამბობს ოპოზიციის ნაწილი. ოპოზიციას ეყოლება ერთი კანდიდატი?***

— აუცილებლად ეყოლება ოპოზიციას ერთი კანდიდატი და აუცილებლად გავიმარჯვებთ, ამის პირობას ვაძლევთ ხელისუფლებას.

# რუსუდან კერვალიშვილი შეიძლება საკრებულოს თავმჯდომარე გახდეს

## ალასანიას პარტია ხელისუფლებასთან შეხვედრას ისევ აპირებს

ნანა მიშელაშვილი

**თბილისის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიცია და პოზიცია საკუთარი ძალების დემონსტრირებას ცდილობს.**

**თბილისის საკრებულოს და მერის პოსტისთვის ყველა პარტია გამალებით იბრძოლებს, თუმცა, გამარჯვება მას დარჩება, ვინც თბილისელთა გულებს მოიგებს.**

„ნაციონალური მოძრაობა“ დედაქალაქის საკრებულოში ადგილების მოსაპოვებლად სერიოზული საარჩევნო კამპანიის ჩატარებას აპირებს. ყველა პარტიის თავსატეხია საარჩევნო სია. პირველი ათეულის სწორად დაკომპლექტებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ასევე აუცილებელია მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატების სწორად წარდგენა.

კულუარული ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი რუსუდან კერვალიშვილი იქნება. ბოლო კვლევების მიხედვით, რუსუდან კერვალიშვილს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს.

21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს რუსუდან კერვალიშვილმა სამგორში არჩევნები ლევან გაჩეჩილაძეს მოუგო. ეს ოპოზიციიდან ბევრისთვის მოულოდნელი იყო. თუმცა, ფაქტია, თავად ლევან გაჩეჩილაძეს მაშინ არ უთქვამს, რომ სამგორში არჩევნები მოიგო.



ამბობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ კვლევებს ატარებს და პიროვნულ რეიტინგებს ზომავს. ამ კვლევების მიხედვით, რუსუდან კერვალიშვილს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს.

მმართველი პარტია სწორედ ისეთ ადამიანს დაასახელებს საარჩევნო სიის პირველ ნომრად, ვისაც მაღალი რეიტინგი აქვს. ამ მხრივ რუსუდან კერვალიშვილი ნაციონალური მოძრაობისთვის საკმაოდ კარგი კანდიდატურაა.

მმართველი პარტიის წევრები იმასაც ამბობენ, რომ ნაციონალური მოძრაობა დედაქალაქის საკრებულოში უმრავლესობით მოვა და საკრებულოს თავმჯდომარე მათი წევრი გახდება. ამჯერად კერვალიშვილი მაჟორიტარი დეპუტატი და ვიცე-სპიკერია. მას უფრო მაღალი პოსტი უკავია, ვიდრე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობაა, თუმცა, თუ ნაციონალურმა მოძრაობამ გადაწყვიტა, რომ კერვალიშვილი საარჩევნო სიის პირველი ნომერი იყოს, მაშინ ვიცე-სპიკერს პარლამენტის მანდატის დატოვება მოუწევს. ასეთ შემთხვევაში, სამგორის რაიონი მაჟორიტარის გარეშე დარჩება.

ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით იმართება, საუბარი იყო იმაზე, რომ დეპუტატებს ადგილობრივ არჩევნებში კენჭისყრის უფლება არ ჰქონდეთ, თუმცა ეს საკითხი ღიად დარჩა. ზოგიერთი კი ამბობს, რომ ეს მხოლოდ თბილისის მერობის კანდიდატებს შეეხებოდა და არა საკრებულოს.

იქნება თუ არა რუსუდან კერვალიშვილი ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერი, ამაზე მმართველი პარტიის წევრები არ საუბრობენ. მათ ოფიციალურად არც თბილისის მერის კანდიდატი დაუსახელებიათ.

თავის დროზე პრესაში იწერებოდა იმის შესახებ, რომ კერვალიშვილი, სავარაუდოდ, დედაქალაქის მერობის კანდიდატი იქნებოდა. ეს ინფორმაცია თავად რუსუდან კერვალიშვილმა უარყო. კერვალიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში ისიც თქვა, რომ მერობის კანდიდატი გიგი უგულავა იქნებოდა. ამის შემდეგ კერვალიშვილთან დაკავშირებით სხვა ინფორმაციები გაჩნდა. მას უფრო ხშირად ჯანდაცვის მინისტრად მოიაზრებდნენ, თუმცა, არც ეს ვერსია გამართლდა.

კერვალიშვილის ჯანდაცვის მინისტრად გადაყვანის შესახებ ზოგიერთი შესაძლოა მართლაც ფიქრობდა, თუმცა, შემდეგ გადაიფიქრეს. ამჯერად კი ვრცელდება მოსაზრება, რომ მმართველი პარტიის სიას წორედ კერვალიშვილი ჩაუდგება სათავეში.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ სიის დანარჩენ წევრებს, ამაზე წინასწარ არავინ საუბრობს. მმართველი პარტია საარჩევნო სიას საგულდაგულოდ ასაიდუმლოებს. ეს ტრადიციულად ყოველთვის ასე ხდებოდა.

ბოლო საპარლამენტო არჩევნების სია ნაციონალებს იმდენად გასაიდუმლოებული ჰქონდათ, რომ ცესკოში წარდგენის წინაც კი არ ამბობდნენ. პარტიული სიის გარდა, მმართველ პარტიას მაჟორიტარების წარდგენაც მოუწევს.

თბილისის საკრებულოში 25 წევრი აირჩევა მაჟორიტარული წესით, 25 კი პროპორციული წესით. ანუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა 50 წევრით განისაზღვრება. პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატები განაწილდება იმ საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებიც გადალახავენ 4%-იან ბარიერს.

თბილისის საკრებულოს არჩევნებში მაჟორიტარი კანდიდატის დასახელების უფლება ექნება მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებს. მანდატს ის კანდიდატი მიიღებს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს.

„ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, საარჩევნო სიებზე მუშაობას ყველა ის ოპოზიციური პარტია დაიწყებს, რომელიც არჩევნებში იღებს მონაწილეობას. საარჩევნო სიები განსაკუთრებით საინტერესოა და ხშირად მოულოდნელობებით არის სავსე. ახალი ან კარგად დავიწყებული სახეების ნახვა ხშირად ისეთი პარტიების სიაში შეიძლება, სადაც წარმოუდგენელია.

საკუთარი საარჩევნო სიის პირველ ათეულს ოპოზიციაც ასაიდუმლოებს. ამის მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთს პირველ ათეულთან მოლაპარაკება დაწყებული არა აქვს, ზოგიერთს კი დამთავრებული.

ოპოზიციური პარტიების საარჩევნო სიაში შესაძლოა შევარდნაძის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნებიც ვიხილოთ. ეს გასაკვირი არც არის, რადგან ყოფილი თანამდებობის პირები პოლიტიკაში დაბრუნებას სწორედ სხვადასხვა პარტიის ეგიდით აპირებენ.

ოპოზიციური პარტიებიდან ყველას ალიანსმა დაასწრო და მერობის კანდიდატთან ერთად საკრებლოს თავმჯდომარეობის კანდიდატიც დაასახელა. ირაკლი ალასანიასა და სოზარ სუბარის დასახელების შემდეგ, პარტიების ნაწილმა მხოლოდ მერობის კანდიდატები დაასახელა. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატს, ამაზე ღია განცხადება ჯერ არც ერთ პარტიას არ გაუკეთებია.

კულუარული ინფორმაციით, ალასანიას პარტიის წევრები ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავენ. ამ შეხვედრისას ბევრი რამ გაირკვევა. თუნდაც ის, როგორ გაგრძელდება საარჩევნო კოდექსზე მუშაობა.

გუშინდლამდე ალასანიას პარტიასთან შეუთანხმებლობა იყო თბილისის მერის ასარჩევ ბარიერთან დაკავშირებით. „ალიანსი საქართველოსთვის“, რომელიც სამ პოლიტიკურ სუბიექტს აერთიანებს — რესპუბლიკელებს, მემარჯვენეებსა და თავისუფალ დემოკრატებს, 50% ბარიერს მოითხოვს.

დანარჩენი პოლიტიკური პარტიები კი ეთანხმებიან იმას, რომ თბილისის მერის არჩევნებზე 30%-იანი ბარიერი დაწესდეს.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ალიანსი რამდენიმე კვირის წინ გარკვეულ კომპრომისზე მიდიოდა და თანახმა იყო თბილისის მერის არჩევნებზე 40% -იანი ბარიერი დაწესებულიყო, თუმცა, გასულ კვირას ალიანსმა ისევ 50%-იანი ბარიერის დაწესება მოითხოვა. ამის მიზეზად ზოგიერთი იმ კვლევებს ასახელებს, რომელიც ბოლო დროს გახდა ცნობილი. ამ კვლევების თანახმად, ოპოზიციას მაინცდამაინც სახარბიელო მონაცემები არა ჰქონდა. ამბობენ, რომ სწორედ ამ კვლევებისა და რეიტინგების ნახვის შემდეგ მოითხოვა ალასანიას ალიანსმა ისევ 50%-იანი ბარიერის დაწესება.

ზოგიერთი საპარლამენტო პარტიის წარმომადგენელი იმაზეც საუბრობს, რომ ალასანიას პარტიას ყველაზე მეტად ბარიერის საკითხი აწუხებს, დანარჩენი საკითხები კი ნაკლებმნიშვნელოვნად მიაჩნია.

ისიც ცნობილია, რომ დედაქალაქის მერის არჩევისას ბარიერის საკითხზე ალასანია ქვეყნის მეორე პირსაც შეხვდა, თუმცა, დავით ბაქრაძისგან რაიმე დამაიმედებელი პასუხი ვერ მიიღო. ეს რამდენიმე ხნის წინ იყო. ამჯერად დავით ბაქრაძე საქართველოში არ არის, ამიტომ მას ამ საკითხზე ვერავინ შეხვდება. თუ ვინმეს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა მოუნდება, მოცდა მოუწევს, რადგან ბაქრაძე რამდენიმედღიანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოდან გუშინ გაემგზავრა.

რაც შეეხება საარჩევნო კოდექსს, თუ პარტიებმა შეთანხმებას მიაღწიეს, კოდექსის ახალი რედაქცია პარლამენტში დეკემბრის ბოლოსთვის შევა. მას შემდეგ, რაც ახალი კოდექსის ვარიანტს დეპუტატები მიიღებენ, მასზე მსჯელობა დაიწყება.

კოდექსის ახალ რედაქციაზე მუშაობა „ენდიაის“ ოფისში მიმდინარეობს. კოდექსის შემუშავებაში საპარლამენტო ოპოზიციური პარტიები და რამდენიმე არასაპარლამენტო პარტია იღებს მონაწილეობას.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიას აღელვებს, შეეხება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წევრების წარდგენას. საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ზოგიერთ პარტიას ცესკოში წევრი არ ჰყავს და წევრს მოითხოვს. ასეთი პარტიები ცესკოს შემადგენლობის გაზრდას მოითხოვენ.

საბოლოოდ როგორი იქნება საარჩევნო კოდექსის ახალი ვარიანტი და რა აისახება და რა არა, დაახლოებით ერთ თვეში გახდება ცნობილი. ამის შემდეგ კოდექსზე საპარლამენტო დებატები და კამათი დაიწყება.


გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე **30-30** და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე **30-30** და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

*ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“*

# ერევანში გამართული ანტიქართული აქცია რუსეთის დაფინანსებული იყო

## ლარსის გახსნა აზერბაიჯანის და თურქეთის ინტერესებშიც შედის



თეა მარხვაიძე

რამდენიმე დღის წინ ძველ თბილისში სომხური ეკლესია ჩამოინგრა. სათანადო სამსახურები უკვე შეუდგნენ ეკლესიის აღდგენას და, ალბათ, ვერც ვერავინ წარმოიდგენდა თუ ეს ამბავი ერთი კვირის თავზე ანტიქართული კამპანიის ახალი ტალღის დაწყების საბაბი გახდებოდა.

24 ნოემბერს ერევანში საქართველოს საელჩოს წინ რამდენიმე ასეული ადამიანი შეიკრიბა. აქციის მონაწილეები ეკლესიის დანგრევაში საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ. აქციის მონაწილეებს ხელში ასეთი ტრანსპარანტები ეკავათ — „შეწყდეს კულტურული გენოციდი“ და „ქართველები ქრისტიანები არ არიან“.

სომხური მხარისგან ბევრი პრეტენზია და ბრალდება მოგვისმენია, მაგრამ აქამდე არასდროს უთქვამთ, რომ ქართველები ქრისტიანები არ არიან. რამ მიიყვანა აქციის ორგანიზატორები ამ დასკვნამდე, ამის გარკვევა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველ ვან ბაიბურთთან ვცადეთ, რომელმაც ტრადიციულად ყველაფერი რუსეთს დააბრალა. ინტერვიუზე კი საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ძლივს დავიყოლიეთ.

**ვან ბაიბურთი:**

— არა, ძალიან მაინტერესებს სულ მე რატომ უნდა ვაკეთებდე ერევანში მომხდარ ფაქტებთან კომენტარებს. საქართველოს პარლამენტში არიან დეპუტატები, რომლებსაც შეუძლიათ კომენტარის გაკეთება. დეპუტატის მოსაზრება, მგონი, უფრო საინტერესო უნდა იყოს.

***— ჩვენი პარლამენტის წევრების დიდ ნაწილს საზოგადოება არ იცნობს. ამდენად, მათი შეფასება ნაკლებად საინტერესო იქნება. ჯობია ისევ თქვენ გააკეთოთ კომენტარი.***

— კარგით, ისევ მე გავაკეთებ, მაგრამ ჯობია ამ თემაზე მაინც დეპუტატმა ისაუბროს. რახან მაინც არ იშლით, მკითხეთ.

***— ერევანში გამართულ საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით რას გვეტყვით? აქციის მონაწილეებმა საქართველოს ხელისუფლება და მთლიანად ქართველები სომხური ეკლესიების დანგრევაში დაადანაშაულეს?***

— მე ძალიან მეცინება ხოლმე, როცა ერევანში ზოგიერთი ძალა ასეთ „აღმოჩენებს“ აკეთებს. მაგრამ მათიც მესმის, თვის ბოლოა და ფული უნდა მიიღონ.

***— რაში უნდა მიიღონ ფული?***

— რაში და ანტიქართულ აქციებში. ამ ადამიანებს საქართველოს წინააღმდეგ გამართული აქციებისთვის ფულს უხდიან. მართალი თუ გინდათ, 24 ნოემბერს საქართველოს საელჩოს წინ გამართული აქცია ანტიქართული კი არა ანტისომხური იყო.

***— ანტისომხური რატომ იყო?***

— იმიტომ, რომ რა მიზანსაც ეს ძალები ემსახურებიან სომხეთისთვის დიდი ზიანის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. ამ ძალების მთავარი მიზეზია ქართველებს და სომხებს შორის ძალიან გაამწვავონ ურთიერთობა. ეს დავალება ზევიდან აქვთ მიღებული. ეტყობა ადრე ვერ შეასრულეს დავალება და წლის ბოლოსთვის ცდილობენ აქციები იმ რაოდენობით ჩაატარონ, რა რაოდენობითაც მათ დაუკვეთეს.

***— ვინ დაუკვეთა?***

— ვინ დაუკვეთა და თავიანთმა „ხაზეინებმა“, უფრო სწორად...

***— თუ ქართულად ვერ ამბობთ, რუსულად თქვით.***

— რუსულად რატომ უნდა ვისაუბრო, ქართულად ვიტყვი. გგონიათ „ხაზეინის“ ქართული თარგმანი არ ვიცი? კარგად ვიცი, ქართულად პატრონი რომ ჰქვია, მაგრამ მე მაინც „ხაზეინს“ ვიტყვი. მათ ასე უფრო შეეფერებათ. ჰოდა, ეს ხაზეინები ითხოვენ, რომ ამათ იაქტიურონ. ის ფული რომელიც გამოყოფილია ხო უნდა აითვისონ.

***— რა თანხაზეა საუბარი?***

— საქართველოს წინააღმდეგ გახურებისთვის დიდი ფულია გამოყოფილი. ხალხი, რომელმაც ეს აქცია გამართა, ჩვენთვის ძალიან კარგად არის ცნობილი. ეს ის ხალხია, ვინც უკვე დიდი ხანია, რაც საქართველოს წინააღმდეგ აწყობს აქციებს.

***— აქცია, რომელიც 24 ნოემბერს გაიმართა, ალბათ, სანქცირებული იყო?***

— არ ვიცი, უფრო არა.

***— აბა, რანაირად ჩაატარეს საელჩოს წინ?***

— რა ვიცი. ალბათ, ჩვეულებრივად. მე არ ვიცი, სანქცირებული იყო თუ არა ეს აქცია. სამაგიეროდ ვიცი ის, რომ ამ აქციებიდან ძალიან ცუდი სუნი მოდის. ეს აქციები სომეხი პატრიოტების მიერ არ არის მოწყობილი. ეს ხალხი არის სომხეთის მტერი, რომელსაც უნდა ქართველების და სომხების დაპირისპირება. ის ბრალდება, რომელიც მათ წამოაყენეს, არის აბსურდი. ისინი ამბობენ, რომ თითქოს სომხური ეკლესიის დანგრევაში ჩვენ მიგვიძღვის ბრალი. რა შუაში ვართ ჩვენ ეკლესიის დანგრევაში? ამ ეკლესიის ჩამონგრევამდე რამდენიმე ხნით ადრე იქვე ჩამოინგრა ორსართულიანი სახლი. სამი დღის წინ კი გურჯაანში ჩამოინგრა ეკლესია. რა, ესეც შეგნებულად არის გაკეთებული? რა თქმა უნდა, არა. სომხური ეკლესიის აღდგენა უკვე დაწყებულია. ამდენად, საქართველოს წინააღმდეგ აქციის გამართვა თანაც ასეთი ბრალდებით დაუშვებელია. ეს არის ძალიან დიდი სირცხვილი. სირცხვილია, მაგრამ მათ ფულს უხდიან და სირცხვილი უკვე აღარ ახსოვთ. ეს რუსეთის მიერ დაფინანსებული ძალები იქცევიან ასე, თორემ დანარჩენები საქართველოს წინააღმდეგ არასდროს არ წავლენ.

***— დანარჩენებში სომხეთის მოსახლეობას გულისხმობთ?***

— არა მარტო მათ. პარტიები და ორგანიზაციებიც მყავს მხედველობაში. ისინი საქართველოს წინააღმდეგ არასდროს არ წავლენ. ქართველების წინააღმდეგ მიდიან მარტო რუსები. ეს რომ ასეა, მოსკოვმა ძალიან ბევრჯერ დაამტკიცა. უკვე 20 წელია რუსეთი გვებრძვის, გვებრძვის და გვებრძვის. კი დაგვაზარალა მარა, მარტო საკუთარი ძალებით ბევრი ვერაფერი დაგვაკლო. ამიტომაც მონახა ვიღაცები სომხეთში და მათაც საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებს. დამიჯერეთ, რომ არც ერთი ჭეშმარიტი სომეხი საქართველოს წინააღმდეგ არ გამოვა.

***— გინდათ თქვათ, რომ საქართველოს საელჩოს წინ საქართველოს წინააღმდეგ აქცია არაჭეშმარიტმა სომხებმა გამართეს?***

— ისინი ჭეშმარიტი სომხები მართლაც არ არიან. ეგენი არიან დაქირავებული ადამიანები, რომლებიც ფულის გამო ყველაფერზე წავლენ. ამ აქციით ისინი არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთსაც დაუპირისპირდნენ.

***— მაშინ რატომ არ გააპროტესტა ეს ამბავი სომხეთის ხელისუფლებამ, მათ ხომ ახლა ძალიან სჭირდებათ საქართველო. ლარსის გახსნას ისინი მოუთმენლად ელოდებიან. თუნდაც ლარსის გახსნის ხათრით რატომ არ გააპროტესტეს ეს ამბავი?***

— ვერ გეტყვით, რატომ არაფერი თქვა და მოიმოქმედა სომხეთის ხელისუფლებამ. უხერხულ მდგომარეობაში რომ იქნებიან, ეს დანამდვილებით ვიცი.

***— ვითომ იქნებიან უხერხულ მდგომარეობაში?***

— ამაში დარწმუნებული ვარ. სხვა თუ არაფერი, ამაში ისეთი ძალები არიან გარეული, რომ ეს სომხეთის ხელისუფლებას უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა.

***— რა ძალები არიან ამისთანა?***

— ამაზე არ მინდა ლაპარაკი.

***— რატომ არ გინდათ ამ ძალების დასახელება, ბოლოს და ბოლოს იქნებ გვითხრათ, ვინ არიან ეს ძალები?***

— ახლა ისეთი რამე გინდათ მათქმევინოთ, რომ მერე დედა მიტირონ.

***— არა, ნამდვილად არ გვინდა, რომ დედა გიტიროთ, უბრალოდ თუ რაიმე სკანდალური ინფორმაცია გაქვთ, გვითხარით, თუ სკანდალია, სკანდალი იყოს.***

— კარგით, გეტყვით. სომხეთის საელჩოს წინ იცით ვინ გამოვიდა? ეს ის ხალხია, რომლებსაც რამდენიმე თვის წინ ერევანში სომხეთის ხელისუფლებამ აქცია არ მოაწყობინა.

***— ეს ის ხალხია, ვინც ჩვენი პრეზიდენტის წინააღმდეგ აპირებდა აქციის მოწყობას?***

— არა, ჩვენი პრეზიდენტის წინააღმდეგ არ აწყობდნენ აქციას. უბრალოდ საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი დაემთხვა.

***— უბრალოდ, როგორ დაემთხვა გაიძახოდნენ სააკაშვილმა სომხებს ბოდიში მოუხადოსო. აღარ გახსოვთ.***

— მახსოვს. ხო, ვთქვათ, უნდოდათ სააკაშვილის წინააღმდეგ აქციის გამართვა, მაგრამ იქაურმა პოლიციამ არ ჩაატარებინა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ აქციას ჯავახეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები აწყობდნენ. მივედი და ვნახე აქციის ჩატარების მსურველები. არც ერთი მათგანი ჯავახეთის მკვიდრი არ იყო.

***— კაციშვილი არ იყო ჯავახეთიდან?***

— ერთადერთი, ვინც იქ ჯავახეთიდან იყო, ოდიოზური შირაკ ტოროსიანი იყო.

***— მაინც ძალიან საინტერესოა, რატომ დაარბიეს სააკაშვილის საწინააღმდეგ აქცია და არ დაშალეს 24 ნოემბრის აქცია. ეტყობა სომხეთის ხელისუფლებას სააკაშვილის მოთაფვლა სურდა. ლარსის გახსნა ხომ მისი ნებართვის გარეშე ვერ მოხდებოდა.***

— ისევ ლარსზე დაიწყეთ საუბარი? მე გთხოვთ, რომ ამ თემაზე არ გვინდა საუბარი. მით უმეტეს, რომ ლარსის გახსნა ცუდი არ იქნება.

***— ცუდი როგორ არ იქნება, ვრცელდება ცნობა, რომ ლარსის გავლით სომხეთი რუსეთიდან იარაღს მიიღებს. ამის გამო აზერბაიჯანი ძალიან არის შეშფოთებული.***

— მე არა მგონია, აზერბაიჯანი შეშფოთებული იყოს.

***— რატომ არ უნდა იყოს. არის მოსაზრება, რომ მთიან ყარაბაღში კონფლიქტი იწყება და რუსეთი სწორედ ლარსის გავლით მიაწვდის სომხეთს იარაღს.***

— რასაც თქვენ ამბობთ, ეს არის სიცრუე.

***— ამას მე არ ვამბობ. ამის შესახებ აზერბაიჯანული მხარე საუბრობს.***

— აზერბაიჯანული მხარისგან მე სხვა რაღაცები მაქვს მოსმენილი. მე როგორც ვიცი, აზერბაიჯანსაც ძალიან უნდა, რომ ლარსი გაიხსნას.

***— შეიძლება ლარსის გახსნა მართლა უნდათ, მაგრამ იმას ნამდვილად არ მოიწონებენ რუსეთმა ლარსის გავლით, რომ მიაწოდოს სომხეთს იარაღი.***

— მერე და ვინ აწვდის სომხეთს იარაღს. ამის საშიშროება არ არსებობს.

***— რა ვიცი, თქვენ თავად ამბობთ, რუსეთი ყველაფერს იკადრებსო.***

— რუსეთი ყველაფერს იკადრებს, მაგრამ საქართველო არ დაუშვებს ამას. საზღვარზე არის ისეთი აპარატურა, რომელიც აღმოაჩენს იარაღს. ამ აპარატურას პისტოლეტის ტყვიის აღმოჩენაც კი შეეძლება. ამდენად, გამორიცხულია ლარსის გავლით იარაღის შემოტანა. რუსეთს ამის სურვილი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ საქართველო ამაზე არ დათანხმდება. ლარსის გახსნით, როგორც უკვე ვთქვი სომხეთი და აზერბაიჯანი არიან დაინტერესებული. თურქეთიც ელოდება, როდის გაიხსნება ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტი. ამ საგუშაგოს გახსნა საქართველოს ინტერესებშიც შედის.

***— საქართველოს ინტერესებში რანაირად შედის, როცა ამ საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ სომხებს შეეძლებათ?***

— ასე არ იქნება. ამით საქართველოც ისარგებლებს.

***— სარგებელის გარდა ამ საგუშაგოს გახსნით პრობლემებსაც მივიღებთ. ექსპერტები პროვოკაციებს არ გამორიცხავენ.***

— რუსულ პროვოკაციას ჩაკეტილი საზღვარი არ აკავებს. საზღვრის გახსნა მართლაც რისკთან არის დაკავშირებული. ამის მიუხედავად საზღვარი მაინც უნდა გაიხსნას. ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლებამ კარგად შეისწავლა. სერიოზული ხიფათი მოსალოდნელი რომ ყოფილიყო, არ დათანხმდებოდნენ. რაკი დათანხმდნენ გამოდის, რომ არც ისე მძიმედ არის საქმე. ეს სარისკო საქმეა მაგრამ უნდა გავრისკოთ. მით უმეტეს, რომ ეს რისკი სარგებელს მოიტანს.

***— გინდათ თქვათ, რომ ვინც არ რისკავს, არც შამპანიურს სვამს?***

— ეს მე არ მითქვამს, ეს თქვენ თქვით. ამ შემთხვევაშიც მართლა ასეა. რისკი არის, მაგრამ საზღვრის გახსნა შეიძლება. ამქვეყნად არავინ არ არის არაფრისგან დაზღვეული. შეიძლება ხვალ ქუჩაში გაიაროთ და აგური დაგეცეთ თავში.

***— დიდი მადლობა, ბატონო ვან, ამ წინასწარმეტყველებისთვის.***

— მე ისე მოვიყვანე ფრაზა, მართლა აგური კი არ დაგეცემათ. არავინ არაფრისგან არ არის დაზღვეული. მით უმეტეს, მაშინ, როცა რუსეთთან გვაქვს საქმე.

# მოშიმშილე ცოტნე გამსახურდიამ ექიმების მომსახურებაზე უარი თქვა

გულიკო ბალაძე

მე-8 საპყრობილეში მყოფმა პირველი პრეზიდენტის ვაჟმა ცოტნე გამსახურდიამ პროტესტის ფორმა გაამწვავა და 24 ნოემბრიდან მან ექიმების მომსახურებაზე უარი განაცხადა.

— 24 ნოემბერს საპყრობილეში ვინახულე ცოტნე გამსახურდია. ის 30 დღეა უკანონო პატიმრობაში იმყოფება, რის გამოც ის პროტესტის ნიშნად შიმშილობს. 24 ნოემბრიდან ის უარს აცხადებს მედპერსონალის მომსახურებაზე, რაც კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აყენებს მის ჯანმრთელობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფატალური შედეგი. ამ ფონზე არანაირი წინსვლა მისი საქმის გამოძიებაში არ არის. დღემდე არ იკითხება დაზარალებული ბაჯელიძე და არ დააკმაყოფილეს დაცვის მხარის შუამდგომლობა დამოუკიდებელი ექსპერტის დაკითხვაზე, რომელმაც სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნა დენთის კვალის აღმოჩენის თაობაზე, მთლიანად გააბათილა, — ამის თაობაზე მისმა ადვოკატმა ქეთი ბექაურმა გვამცნო გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ადვოკატის თქმით, მას შეატყობინეს, რომ ცოტნე გამსახურდიას გათავისუფლების მოთხოვნით საქართველოს ქალაქებში თელავში, ყვარელსა და ქუთაისში აქცია დაიწყო.

— აქციის მონაწილეთა მოთხოვნა ერთადერთი და ცალსახაა, რომ უპირობოდ იქნას გათავისუფლებული უკანონო პატიმრობიდან საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია, რომელიც ყოველგვარი ბრალისა და მტკიცებულების გარეშე უკვე 29-ე დღეა შესახლებულია თბილისის მე-8 საპყრობილეში და 29 დღეა, რაც პროტესტის ნიშნად, ვინაიდან საქმეზე არ მიმდინარეობს ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება, აგრძელებს შიმშილობას. აქედან 8 დღეა ის გადასულია მშრალ შიმშილობაზე. ჩვენი შეკრების მიზეზი გახდა ერთი შემაშფოთებელი ფაქტი, რომ 24 ნოემბრიდან ცოტნე გამსახურდიამ გაამწვავა პროტესტის ფორმა. მან სამედიცინო პერსონალის მომსახურებაზე უარი განაცხადა, — ამბობს ქეთი ბექაური.

ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი ქეთი ბექაური საჩივრით მიმართავს ქალაქ თბილისის პროკურორ მამუკა გვარამიას, რომელიც იმავდროულად გახლავთ საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე. მამუკა გვარამია საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს გამოძიების კანონიერებასა და იმ კანონდარღვევებზე, რაც მოცემულია საჩივარში.

— იმედი გვაქვს, ბატონი მამუკა გვარამია გაატარებს ქმედით ზომებს ცოტნე გამსახურდიას საქმეში არსებული დარღვევების აღსაკვეთად. ჩვენ ვითხოვთ, გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო ქმედებებზე გარკვეული კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას. მიგვაჩნია, რომ ცოტნე გამსახურდია, რომლის სისხლის სამართლის საქმეში ელემენტარულად არც დადგენილება დევს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ და არც დაზარალებული დავით ბაჯელიძე პრინციპულად დღემდე არ არის დაკითხული. არ არის ამოღებული არც დანაშაულის იარაღი, რომელიც არის გამოძიების ვარაუდით ცეცხლსასროლი იარაღი პსმ; არც რაიმე ნივთმტკიცება არ არის მოპოვებული. არც თვითმხილველი მოწმეები არ არიან. ამიტომ ჩვენი მივდივართ ერთადერთ დასკვნამდე, რომ ცოტნე გამსახურდია არის უკანონო პატიმარი. ის გახლავთ, გნებავთ სინდისის პატიმარი და ვითხოვთ მის უპირობო გათავისუფლებას და მის მიმართ უპირობოდ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას, — მოითხოვს ადვოკატი.

ადვოკატი ქეთი ბექაური აცხადებს, რომ თუ მათ მოთხოვნა არ იქნება გაზიარებული, დაცვის მხარის შემდგომი მოქმედება იქნება თბილისის საქალაქო სასამართლოში საჩივრის შეტანა.

მისივე თქმით, ამ დროისთვის ცოტნე გამსახურდიას მიმართ აღძრული წინა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სასამართოში უნდა წარმართულიყო, გაყინულია. თუ ეს საქმე სასამართლოში წარიმართება, მოსალოდნელია, რომ ორი საქმე გაერთიანდეს.

— გამომძიებელ ზურაბ სხირტლაძეს და პროკურორ ზურაბ კუპატაძეს ჰგონიათ, რომ მხოლოდ პროცესუალურ დარღვევებს უშვებენ ცოტნე გამსახურდიას საქმეზე. საქმეს კი არ იძიებენ, არამედ ლაზღანდარობენ. გუშინ ველაპარაკე გამომძიებელს. მისი განმარტებით, თურმე ნუ იტყვით და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს დაზარალებულის დაკითხვასო. რად მინდა ამ საქმეზე დაზარალებულ ბაჯელიძის ჩვენება, ისედაც ყველაფერი ცხადზე ცხადიაო. ასეთი უტიფარი და უაპელაციო განცხადება გააკეთა. ეს არის უცოდინრობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი. საერთოდ, ასეთი ადამიანები არ უნდა მსახურობდნენ არც გამომძიებლებად და არც პროკურორებად.

თუ ცოტნე გამსახურდიას საქმის გამომძიებელსა და პროკურორს ჰგონიათ, რომ უმნიშვნელო საპროცესო დარღვევებს უშვებენ ცოტნეს საქმეზე, ძალიან ცდებიან. ცოტნე გამსახურდიას საქმის გამომძიებლის და პროკურორის მოქმედება სისხლის სამართლის დანაშაულში გადადის.

გამომძიებლის და პროკურორის მხრიდან ირღვევა სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე და 147-ე მუხლები. ერთი გახლავთ პირის უკანონოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რაც გააკეთეს ცოტნე გამსახურდიას მიმართ. შემდგომი მუხლი გახლავთ პირის უკანონოდ დაკავება და უკანონოდ დაპატიმრება, რომელიც, სხვათა შორის, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნება და ისჯება სისხლის სამართლის წესით. თუ ჰგონიათ, რომ ეს ძალიან მარტივად ჩაივლის, ძალიან ცდებიან. ჩვენ არ გავჩერდებით, — აცხადებს ადვოკატი.

## სომხურმა ორგანიზაციებმა საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენეს

ლორის ოლქის (სომხეთის) 14-მა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ სომხეთის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართვა გაუგზავნეს, რომელშიც „ჩრდილოეთ ლორის" დაბრუნებას ითხოვენ.

სომხური წყაროების ცნობით, ოთხპუნქტიანი მოთხოვნის მიხედვით, საზოგადოებრივი ორგანიზაციები „ჩრდილოეთ და სამხრეთ ლორის" შორის სადემარკაციო სამუშაოების შეწყვეტას ითხოვენ, რადგან, მათი მტკიცებით, ეს საზღვარი სსრკ-მ სომხეთს თავს უკანონოდ მოახვია.

ორგანიზაციების მტკიცებით, რეალური საზღვარი მდინარე ხრამზე გადის და ეს დაფუძნებულია 1920 წლის პარიზის კონფერენციის სამართლებრივ გადაწყვეტილებებზე. სომხური ორგანიზაციები ოფიციალური ერევნისგან "ჩრდილოეთ ლორის" სომხური მოსახლეობის უფლებების დარღვევაზე ყურადღების გამახვილებას და ისტორიული და იურიდიული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, მეთოდური მუშაობის დაწყებას ითხოვენ.

— ლორი საუკუნეების განმავლობაში სომხური კულტურისა და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აკვანი იყო. თავისი გეოგრაფიული რელიეფიდან გამომდინარე, ლორი მე-20 საუკუნის პოლიტიკურ და დემოგრაფიულ ცვლილებებამდე განუყოფელი იყო, — აღნიშნულია სომხური ორგანიზაციების განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## ბურჯანაძის პარტიამ ეკონომიკური პროგრამა შეიმუშავა

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო" საზოგადოებას პარტიის მიერ შემუშავებულ ეკონომიკურ პროგრამას გააცნობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს, პროგრამა მოიცავს მოძრაობის ხედვას ქვეყნის ეკონომიკური მიმართულებებისა და განვითარების თაობაზე. დოკუმენტში ასევე აღნიშნული იქნება არსებული ეკონომიკური ხარვეზების შესახებ.ღონისძიებაზე მიწვეულნი არაინ ექსპერტები, საქართველოში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატები, არასამთავრობო სექტორისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის პარტიამ უკვე გამართა უსაფრთხოების კონცეფციისა და სოციალური პოლიტიკის პროგრამების პრეზენტაცია.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში ღორის გრიპის 120 შემთხვევა დაფიქსირდა

ბოლო მონაცემებით, საქართველოში ღორის გრიპით ინფიცირების 120 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევაა დაფიქსირებული.

ამის შესახებ „პირველს" დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ შოთა ცანავამ განუცხადა.

მისი თქმით, ე.წ. ღორის გრიპით დაავადებულთა მდგომარეობა მძიმე არ არის და პაციენტების უმრავლესობა მკურნალობას სახლის პირობებში გადის.

შეგახსენებთ, რომ გუშინ 150 საეჭვო პაციენტის ლაბორატორიული შემოწმება განხორციელდა.

**პირველი**

## რიყეზე მშენებლობის შეწყვეტას ითხოვენ

სამოქალაქო მოძრაობა „რატომ?" რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვს.

როგორც გუშინ გამართულ აქციაზე მოძრაობის წევრებმა განაცხადეს, მშენებლობის ავტორების მხრიდან მშენებლობის შესახებ კანონის ყველა ძირითადი პუნქტი დარღვეულია.

— რიყეზე მიმდინარე მშენებლობის შესახებ საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი. ამასთან, მშენებლობის ტერიტორიაზე არ არის შესაბამისი აბრა, რაც კანონის უხეში დარღვევაა და მკაცრად ისჯება, - განაცხადა მოძრაობის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა დათო ფაცაციამ და დასძინა, რომ ის პროექტი, რომელიც აღნიშნული მშნენებლობის შედეგად უნდა შედგეს, თბილისის ისტორიულ ნაწილს - მეტეხის ეკლესიის და ხიდის ხედს სრულიად გადაფარავს და დაამახინჯებს.

**პირველი**

# „ნოღაიდელი სააკაშვილის დავალებით დადის მოსკოვში"

### „რა უნდოდა ინაიშვილს პრიმაკოვის დაბადების დღეზე?"

**შორენა კოწოწაშვილი**

**ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ გვესაუბრება გოგა ხაინდრავა.**

***— ბატონო გოგა, როგორ შეაფასებდით სააკაშვილის ხელისუფლების მოღვაწეობას? შეიძლებოდა ამ ყველაფრის წინასწარ გათვლა, რისი მომსწრეც გავხდით?***

— ამის წინასწარ გათვლა ნამდვილად ძნელი იყო. ამის წარმოდგენაც არ შემეძლო. ამაზე ხშირად პრეტენზიასაც მიყენებენ და ვღებულობ კიდეც. ვერ წარმოვიდგენდი, რომ 21-ე საუკუნეში ეს ახალგაზრდა ბიჭები ასეთ პოლიციურ და კორუფციულ სახელმწიფოს ჩამოაყალიბებდნენ. შევარდნაძე თავისი მთავრობით პიონერთა სასახლე იყო. პიონერთა სასახლეში რომ იკრიბებოდნენ საბჭოთა დროს, იმ დონის კორუფციონერები და კანონ დამრღვევები იყვნენ ამათთან შედარებით. ესენი არიან ძნელად წარმოსადგენი კრიმინალები.

***— სააკაშვილის ხელისუფლება გამუდმებით აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო შემდგარია.***

— ბანერებზე კი, რა თქმა უნდა. გაიარეთ თბილისის ქუჩებში და დაინახავთ, რომ ცელოფნის საქართველო აქვთ აშენებული. დარეკეთ სარეკლამო კომპანიებში, რომლებიც ამ ბანერებს აკეთებს, ვის ეკუთვნის ეს რეკლამები. ეს არის მათი საკუთარი კომპანიები და კითხეთ: რა ღირს ერთი კვ.მ. ბანერი. გაამრავლეთ შემდეგ ეს ციფრი რაოდენობაზე და ნახავთ, რომ მილიონობით თანხაა, ჩვენი გაჭირვებული მოქალაქეების ჯიბიდან ამოღებული ფულით კეთდება ეს მასხარაობა. „მე მიყვარს საქართველო". „მე" — ვინ არის, მაინტერესებს. მიშა სააკაშვილს უყვარს საქართველო? იმიტომ დააჩანაკა, გააუბედურა, გადაწვა-გადაბუგა და რუსეთს გადასცა და ამაში გამოიხატება მისი სიყვარული თუ ამ ტყუილებში? ორი დღის წინ დაიჭირეს ჯაბა ჯიშკარიანი, დაჩი ცაგურია და ირაკლი კორძაია. სასამართლოზე მივედით, ყველამ წინასწარ იცოდა, რაზეც მივდიოდით. სპეციალურად გავაყოლეთ ხალხი, რომლებმაც გადაიღეს ვიდეოფირზე, რომ არანაირი კანონდარღვევა და დანაშაული არ ყოფილა. არც კი დაუწყიათ მათ აქცია, მოვარდნენ პოლიციელები, ჩატენეს მანქანაში და წაიყვანეს. სამი მოსამართლე ასამართლებდა სამ კაცს. იქ იყვნენ პატრულის ეკიპაჟის წარმომადგენლები, რომლებიც იტყუებოდნენ. ვაცალეთ ლაპარაკი, შემდეგ ადვოკატები ადგნენ და თქვეს: ჩვენ გვაქვს ვიდეომასალა, სამი სხვადასხვა ადამიანის გადაღებული, გაუშვით, ნახეთ და სიმართლეში დარწმუნდებით თქვენი თვალით. სამივე მოსამართლე ამაზე უარს იძახის. ამბობენ, ჩემი შინაგანი რწმენით მჯერა ამ პატრულის თანამშრომლებისო. დააკისრეს 500 ლარიანი ჯარიმა ყველას.

***— დღესაც გახსნილად არ ითვლება პრემიერ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმე. რა მოხდა სინამდვილეში?***

— ზურაბ ჟვანიას ახლო მეგობარი არასოდეს ვყოფილვარ. ჟვანიას ჩემი დასაცავი არაფერი სჭირს. სხვა საქმეა ის, რომ გუნდი, რომელთანაც ის მოღვაწეობდა, გამყიდველების გუნდი აღმოჩნდა. ამ გუნდმა დაღუპა ეს ქვეყანა, შემოიტანა უამრავი მანკიერება, რაც პირველ რიგში არის სიცრუე, გაყალბებები და ათასგვარი საარჩევნო მექანიზმები. ამის დიდოსტატები გახდნენ ხათუნა გოგორიშვილი, მაჭავარიანი, ბარამიძე და ა.შ. ეს მისი პირადი ტრაგედია იყო. მე ამას ჟვანიას პირდაპირ ვეუბნებოდი. ვეუბნებოდი, პირველს შენ მოგიცილებენ. რაღაც მომენტიდან ვეუბნებოდი, რომ მოგკლავენ, სააკაშვილი პირველს შენ მოგიცილებს. ეს ყველაფერი 2005 წლის ივნისში უკვე ნათელი გახდა, როცა დაიწყო ცხინვალთან პირველი ავანტიურა. მაშინ გია ბარამიძე იყო შს მინისტრი. ეს ოპერაცია მერაბიშვილ-ბარამიძის გაკეთებული იყო. ირაკლი ოქრუაშვილმა მაშინ ხელში აიღო ინიციატივა, იმიტომ, რომ მან იქაურობა იცოდა და არასოდეს მალავდა. ჩვენ ორი ფრთა ვიყავით, მაგრამ ეს არ იყო ხალიჩის ქვეშ ბრძოლა. ეს იყო პირდაპირი დაპირისპირება. სახელმწიფოსთვის ეს გარკვეულ ეტაპზე სასარგებლოც იყო. იმიტომ, რომ იყო ბანაკი თავდაცვის მინისტრიის, რომელიც ამბობდა, იქ აღვადგენთ კანონიერებას სახელმწიფოსთვის დასაშვები ყველა მეთოდით. მეორე ბანაკი, რომელსაც მეც წარმოვადგენდი, ამბობდა: არა, ჩვენ მოლაპარაკების გზით უნდა წავიდეთ. ეს იყო პოლემიკა, მერე უბრალოდ გადაიზარდა ბანდიტიზმში. ის, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

***— ბენდუქიძე სააკაშვილმა ჩამოიყვანა რუსეთის დავალებით?***

— ეს იყო რუსული დავალება, რუსული სცენარის განხორციელება საქართველოში. ეკონომიკურ ინფორმაციებს ნაკლებად ვფლობ, მაგრამ ვიცი არსი, რის გამოც იყო ბენდუქიძე—ჟვანიას დაპირისპირება. ეს იყო პორტები, მადნეული და სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც ყველაზე მეტად ფასობდა საქართველოში. თავის დროზე, მაგალითად, რკინიგზა გაყიდვას ზურაბ ჟვანიამ გადაარჩინა. ბენდუქიძე ყველაფერს აკეთებდა, რომ მაგისტრალური გაზსადენი გაყიდულიყო. მაშინ ამერიკიდან სპეციალურად ჩამოვიდა კაცი და უთხრა, რას აკეთებთო. ჟვანია წინ აღუდგა არალეგალურ რუსულ პოლიტიკას საქართველოში, თუმცა ღია პოლიტიკის თვალსაზრისით ის ყოველთვის მომხრე იყო რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების.

***— ანუ ჟვანია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების მომხრე იყო?***

— იყო ერთი ლეგალური ღია მცდელობა ჟვანიასი რუსეთთან ყოფილიყო ნორმალური ურთიერთობები და არა ისეთი, როგორიც სააკაშვილმა ჩამოაყალიბა; და მეორეს მხრივ; ის იყო იმ ფარული შეთანხმებების წინააღმდეგი, რამაც პრაქტიკულად მთელი საქართველოს დოვლათი და ეკონომიკა რუსეთის ხელში გადაიტანა. ყველა სტრატეგიული ობიექტი, რომელიც ვითომ ჩინურ, ყაზახურ კაპიტალს მიასყიდეს, სინამდვილეში რუსების ხელშია. ამის ავტორი ბენდუქიძეა, როგორც ყველა იმ სქემის, რომლითაც მერაბიშვილმა, სააკაშვილმა და ადეიშვილმა საკუთარი ნაქურდალი ქონება საქართველოდან ჯერ გაიტანეს და ოფშორების საშუალებით ისევ ლეგალურ ბიზნესში, უკან შემოიტანეს. მთელი სათამაშო ბიზნესის უკან მერაბიშვილი დგას, ის ასევე აკონტროლებს ყველაზე მნიშვნელოვან ბიზნესს — ნარკობიზნესს. წარმოიდგინეთ, ეს რა რაოდენობის არალეგალური „შავი ფულია".

***— ზემოთ ბარამიძე ახსენეთ. ბარამიძე ამდენი ხანია ინარჩუნებს მაღალ თანამდებობას და სააკაშვილს მისი ჩამოცილება არც უცდია. რატომ?***

— გია ბარამიძე არის მოწმე ზურაბ ჟვანიას მკვლელობის. მან ზუსტად იცის, იქ რა



**„მე მაქვს დოკუმენტები, რომლებსაც მერაბიშვილი ვერ მისწვდება"**

მოხდა და იმიტომ შემორჩა. მეტსაც გეტყვით, მაგას მოაბანინეს პირი იმ ბნელ და ბოროტმოქმედებას. ბარამიძე ისე წავიდა სახლიდან, რომელიც ზურას და ნინოს სახლის გვერდით არის წყნეთში, რომ ნინოს არც გააგებინა. ზურაბ ჟვანიას ქვრივი კი ფეხით წამოვიდა წყნეთიდან. თითქმის თბილისამდე ჩამოვიდა ფეხით იმიტომ, რომ არ წაიყვანეს, არ უნდოდათ, ზურას მეუღლე იქ მოსულიყო. ბარამიძემ უთხრა, მე მივდიოდი იმიტომ, რომ გამეკეთილშობილებინა იქაურობაო. მახსოვს ნინოს პასუხი: ჩემზე უკეთესად გააკეთილშობილებდი ჩემს ქმარს და ჩემზე უკეთესად მოუვლიდიო? აი, ამიტომ შემორჩა ბარამიძე ამდენ ხანს. მან იცის, რა მოხდა ჟვანიას მკვლელობის ღამეს. ირაკლი ოქრუაშვილი ბარამიძეს დაჭერას უპირებდა. მე ვიჯექი ჟვანიას კაბინეტში, როდესაც ბარამიძე თაგვივით შემოიძურწა და ზურას მადლობა უთხრა. ეს ზურას მეუღლემაც იცის და ამას ისიც დაგიდასტურებთ. ჟვანიამ გადაარჩინა მაშინ ბარამიძე დაჭერას.

***— რის გამო აპირებდა ოქრუაშვილი ბარამიძის დაჭერას, ცხინვალის გამო?***

— ბევრი რამის გამო, შიგნით უკეთესად იციან. ოქრუაშვილსა და ბარამიძეს შორის დატაკებაც იყო. ტელევიზიით აჩვენეს, როგორ დასვა ბარამიძე და ოქრუაშვილი სააკაშვილმა სახალხოდ კაბინეტში, კამერები დააყენა და ვითომ შეარიგა. სააკაშვილმა თქვა, საკმარისია ჩემი გასვლა ქვეყნიდან, ბავშვებივით ჩხუბობენო. რა ფუნქციას ასრულებს დღეს გია ბარამიძე, რისი მინისტრია? საზღვარგარეთ სიარულის მინისტრია? რას აკეთებს, ისევე როგორც იაკობაშვილი.

***— იაკობაშვილთან რა პრეტენზიები გაქვთ?***

— თემურ იაკობაშვილი სტუდენტობის პერიოდში კურირებდა უშიშროების ხაზით სტუდენტებს, რომლებიც მაშინ არაბეთიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ. იაკობაშვილი დიდი ხანია არის უშიშროების თანამშრომელი. შემდეგ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში იგივე განხრით მუშაობდა და უთვალთვალებდა უცხოელ სტუდენტებს. ყველაზე დაბალი კატეგორიის დამსმენი იყო, ოღონდ ოფიციალური. გამაგებინეთ, დღეს რას აკეთებს იაკობაშვილი, რა ფუნქცია აქვს საქარ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ჩინური კომპანია — ZTE Corporation მაგთიკომის არასაიმედო პარტნიორი

უკვე 2 წელიწადი სრულდება, რაც შპს „მაგთიკომმა" – საქართველოს კავშირგაბმულობის უდიდესმა ოპერატორმა, წამოიწყო უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომლის ფარგლებშიც დაიწყო მთელი საქართველოს ტერიტორიის უსადენო ფიქსირებული სატელეფონო ქსელით დაფარვა. პროექტში დღეისათვის, მხოლოდ საწყის ეტაპზე, უკვე ინვესტირებულია 75 მილიონ ლარზე მეტი. მოგეხსენებათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობისთვის საიმედო და იაფი კავშირის არსებობა იმ ადგილებშიც კი, სადაც აქამდე ფიქსირებული სატელეფონო კავშირი პრაქტიკულად არ არსებობდა. ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა მაგთიკომის პროდუქტი მაგთი ფიქსი ძალზე პოპულარული გახადა საქართველოს მოსახლეობაში და მაგთი ფიქსის ტელეფონებზე მოთხოვნა დღიდან დღემდე იზრდება. მაგთიკომში მოელოდნენ მოვლენების ამგვარ განვითარებას და სატელეფონო აპარატების მარაგის უზრუნველყოფის მიზნით ჩინურ კომპანია ZTE Corporation–სთან გააფორმეს კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც ZTE Corporation მაგთიკომს ეტაპობრივად მიაწვდიდა კონტრაქტით გათვალისწინებულ ტელეფონებს. ZTE Corporation–სთან დადებული კონტრაქტი მაგთიკომს საფუძველს აძლევდა, დაეგეგმა ტელეფონების მარაგი ისე, რომ არ შეფერხებულიყო ამ ტელეფონების მომხმარებლამდე მიწოდება. თუმცა ბოლო მომენტში გაირკვა, რომ ჩინური კომპანია ვერ ასრულებს საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს და დაგეგმილი 40 000 ტელეფონიდან, რომლებიც 2009 წლის 8 დეკემბერს უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, მხოლოდ 10.000 ტელეფონი გამოაგზავნა. აღნიშნულმა გარემოებამ მკვეთრად შეცვალა სურათი და მაგთიკომის ტელეფონების მარაგი, (რომელიც 40 000 ტელეფონის ნაცვლად, მხოლოდ 10 000–ით შეივსო) ამოწურვის პირასაა, რის შედეგადაც მაგთიკომმა უდიდესი ფინანსური და მორალური ზარალი ნახა. გარდა ამისა, უამრავი ადამიანი, ვინც წინასაახაწლოდ გეგმავდა საკუთარ ოჯახში მაგთი ფიქსის ტელეფონი შეეტანა, დარჩა კავშირის გარეშე, რამაც მათი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. სიტუაციას ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული შეფერხება დაემთხვა წინასაახალწლო პერიოდს, როდესაც მოთხოვნა ნებისმიერი სახის პროდუქტზე, მათ შორის მაგთი ფიქსის ტელეფონებზეც, მნიშვნელოვნად მატულობს. ამ ყველაფერთან ერთად კომპანია ZTE Corporation-ში დღემდე ვერ ასახელებენ ტელეფონების გამოგზავნის ზუსტ თარიღს და შეფერხებას მესამე მხარეს, ამერიკულ კომპანია Qualcomm–ს აბრალებს, რომლის მიკროსქემების ბაზაზეც ხდება ტელეფონების დამზადება. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ აღნიშნული არგუმენტი ვერანაირად ვერ გაამართლებს აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. მაგთიკომში უკვე ითვლიან ZTE Corporation–ს არასანდო პარტნიორობით მიყენებულ ზარალს. კიდევ ერთხელ მართლდება მარტივი ჭეშმარიტება - წარმატებული ბიზნესის საწინდარი საიმედო პარტნიორების ყოლაა, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით ჩინურ კომპანია ZTE Corporation-ზე, რომელმაც თავისი ბიზნესისთვის მიუღებელი საქციელით ყველა ჩინურ კომპანიას მიაყენა ჩრდილი და უდიდესი პროექტის განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა, რითაც საფრთხე შეუქმნა პროექტში დამატებითი ინვესტიციების ჩადებას.

# ქრისტიან-დემოკრატებმა საკონსტიტუციო ცვლილებები მოამზადეს

ნანა მიშელაშვილი

**ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას მოითხოვენ. ქრისტიან-დემოკრატების მიერ მომზადებული კონსტიტუციური კანონის პროექტის თანახმად, საქართველო უარს აცხადებს იმ სახელმწიფოთა მიერ შექმნილ სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გაერთიანებებში მონაწილეობაზე ნებისმიერი ფორმით, რომლებიც არ ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.**



ოპოზიციური ფრაქციის პროექტი ითვალისწინებს იმას, რომ საქართველო არასდროს გაწევრიანდება ისეთი ტიპის ალიანსში ან გაერთიანებაში, რომლებიც არ სცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქციის წევრმა ნიკა ლალიაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში სულ უფრო ხშირად ისმის მტკიცება, რომ საქართველოში მხოლოდ სააკაშვილი და მმართველი პოლიტიკური კლასია დასავლური ღირებულებების მატარებელი და როგორც კი ქვეყანაში მოხდება ხელისუფლების შეცვლა და ოპოზიცია მოვა ხელისუფლებაში, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორები მკვეთრად შებრუნდება ჩრდილოეთის მიმართულებით.

ნიკა ლალიაშვილის თქმით, რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ამტკიცებს, რომ საქართველოს დაბრუნება დსთ-ს სივრცეში გარდაუვალია. დეპუტატი მიიჩნევს, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები აუცილებლად უნდა განხორციელდეს, ვინაიდან საქართველოს ორიენტირი უკვე აქვს აღებული ნატოსკენ და ევროკავშირისკენ.

ქრისტიან-დემოკრატები მიიჩნევენ, რომ საქართველოს კონსტიტუციას უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი: 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ა/რ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებისა და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე საქართველო უარს აცხადებს იმ სახელმწიფოთა მონაწილეობით შექმნილ პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ ან სხვა გაერთიანებაში რაიმე ფორმით მონაწილეობაზე, რომლებიც არ სცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.

აღნიშნულ წინადადებას „ქრისტიან-დემოკრატები“ საკონსტიტუციო კომისიას გადაუგზავნიან, რათა ხელი შეეწყოს საკონსტიტუციო რეფორმების თანამიმდევრულ და ერთიან სისტემაში წარმართვას.

ამჟამად საქართველო დსთ-ს წევრი არ არის. დსთ-დან გამოსვლას არაერთი ოპოზიციონერი დეპუტატი მოითხოვდა, მაგრამ ეს მხოლოდ ამ პარლამენტის დროს მოხერხდა.

საქართველოს დსთ-დან გამოსვლის პროცედურები უკვე დასრულებულია. ძნელად წარმოსადგენია, რომ საქართველო დამოკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას როდესმე დაუბრუნდეს და ამ ორგანიზაციის წევრი გახდეს.

# ვინ შეცვლის „ყვითელ პროფკავშირებს“

გერა მამულაშვილი

**საქართველოში მოსახლეობის შრომითი უფლებები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. შრომის კოდექსი კი საერთაშორისო წრეებშიც არაერთხელ გამხდარა უარყოფითი განსჯის საგანი. ხელისუფლება იძულებულია პირობა დადოს, რომ დისკრიმინაციულ შრომით გარემოს გამოასწორებს, თუმცა, ამ გზაზე ის დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა.**

ამ ფონზე საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები დედაქალაქის შემდეგ ქვეყნის რეგიონებშიც ააქტიურებს მუშაობას. მსხვილ საწარმოო-დაწესებულებებში ადგილობრივი პროფკავშირული გაერთიანებების ფორმირება ხდება. ისინი იმ ე.წ. „ყვითელი პროფკავშირის“ ადგილს იკავებენ, რომლებიც საწარმოების ხელმძღვანელების მიერ იყო შექმნილი და მათ დაკვეთებსვე ასრულებდა.

ამ დღეებში ზესტაფონის „ფერო“ და „ჭიათურმანგანუმი“ პროფკავშირებს შეუერთდნენ. ზესტაფონში ოფიციალურად დაფუძნდა იმერეთის მხარის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფსიული კავშირი, რომელშიც ამ ორი საწარმოს წარმომადგენლები გაერთიანდნენ.

დღეს იმერეთის ამ ორ უმსხვილეს საწარმოში (ისევე როგორც სამწუხაროდ ბევრ საწარმოში) მოქმედებს ე.წ. „ყვითელი პროფკავშირები“, რომელიც საკუთარ წევრებს დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად ეპყრობა. ყველა კომისიაში, საწარმოო უბედური შემთხვევის გამოკვლევის ჩათვლით, დამსაქმებელს როგორც მხარე, ჩართული ჰყავს მის მიერვე შექმნილი „ყვითელი პროფკავშირები“ და ისიც ყოველთვის მის ინტერესებს ითვალისწინებს.

ცნობილია, რომ ამ პრაქტიკამ უნდობლობა გააჩინა ზოგადად პროფკავშირების მიმართ. შესაბამისად საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ დასაქმებულ ადამიანებს ერთიანობის და სოლიდარობის რეალური ძალა დაანახოს.

— „ფეროსა“ და „ჭიათურმანგანუმის“ 215-მა მუშაკმა სოლიდარობის ამ ძალის ირწმუნა. სწორედ ამდენმა ადამიანმა დააფუძნა ახალი პროფკავშირი. მთლიანად ამ საწარმოებში 6.000 ადამიანი მუშაობს და რეალური პროფკავშირების შექმნის ინტერესიც ბევრს აქვს. ამის გათვალისწინებით, დამფუძნებელმა შეკრებამ ამ ეტაპზე პროფკავშირების თავმჯდომარე და მოადგილეები არ აირჩია.

ვიდრე ახალი ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა გაიზრდება და მის ხელმძღვანელობას გაცილებით მაღალი ლეგიტიმაცია ექნება, იმერეთის მხარის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირს 15-კაციანი გამგეობა და აქედან არჩეული ხუთკაციანი სამდივნო ჩაუდგება, — განმარტვენ გაერთიანებულ პროფკავშირებში.

იქვე ამბობენ, რომ ამ ნაბიჯის სისწორე მალევე ნათელი გახდა — ორგანიზაციის დაფუძნებიდან სამ დღეში ახალ პროფკავშირში შესვლის განცხადებას 500-მა მუშაკმა მოაწერა ხელი.

— ეს იმას ნიშნავს, რომ გაერთიანებამ იმერეთის რეგიონში კვლავ ბევრი უნდა იმუშაოს, — ამბობს საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრია.

შეხვედრაზე ბევრი გამომსვლელი იყო. ბევრი მტკივნეული პრობლემა დაისვა დღის წესრიგში. ყველაზე დიდი პრობლემა ამ საწარმოებში დასაქმებულებისთვის დაბალი ანაზღაურებაა. „ფეროში“ საშუალო ხელფასი 320 ლარია. ეს არის ფული, რომელსაც ადამიანებს უმძიმეს პირობებში მუშაობისთვის უხდიან. უარესი ვითარებაა „ჭიათურმანგანუმში“. იქ ხელფასები 150 ლარიდან იწყება და 400 ლარს არ შორდება. ესეც — გამონაკლის შემთხვევებში.

მაღალია საწარმოო ტრავმების, ამით გამოწვეული ინვალიდობისა და სივდილიანობის მაჩვენებელი. ჩვენ აქამდეც ვეხმარეობდით ამ საწარმოების წარმომადგენლებს, მაგრამ გვინდა, რომ უფრო მეტი გავაკეთოთ მათთვის. ამისთვის იყო საჭირო პროფკავშირის შექმნა. სხვაგვარად ვერ ვიქნებოდით მართლები კანონის, ჩვენი წევრების წინაშე. თუნდაც ფინანსების ხარჯვის თვალსაზრისით, რადგან ამ ადამიანების დაცვას ფინანსებიც სჭირდება. ახლა ისინი საკუთარ სახსრებს „ყვითელ პროფკავშირს კი არ გადაუხდიან, თავიანთ თავს მოახმარენ და შესაბამისი შედეგიც ექნებათ, — აცხადებს გოჩა ალექსანდრია.

ამ დროისთვის იმერეთის მხარის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის საქმიანობაში საწარმოების ხელმძღვანელების, ან ხელისუფლების მხრიდან რაიმე ტიპის უარყოფითი ჩარევა ჯერჯერობით არ აღინიშნება. თუმცა, პროფკავშირებში აცხადებენ, რომ ამაზეც გარეთიანებას მოუწია, რომ წინასწარ ეზრუნა.

ცოტა ხნის წინათ თბილისში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, გაერთიანებამ გაავრცელა პროფკავშირების ზესტაფონელი წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი.

გოგა ბრეგაძე იტყობინებოდა, რომ საწარმოს „ფეროშენადნობთა“ ქარხნის მუშებთან გამართული შეხვედრის შემდეგ, საწარმოს ხელმძღვანელებმა მისი, მისი ოჯახის წევრებისა და თანამებრძოლების დევნა დაიწყო. გაერთიანების თავმჯდომარემ ამგვარი ქმედებების შეწყვეტა მოითხოვა და მოუწოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივანს, საკითხი კონტროლზე აეყვანათ.

საქართველოს ხელისუფლებას მოუწია პირობის დადება, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა. ჯერჯერობით ეს პირობა სრულდება.

დასაწყისი მე-5 გვერდზე

# „ნოღაიდელი სააკაშვილის დავალებით დადის მოსკოვში“

თველოს მთავრობაში რეინტეგრაციის მინისტრს, რომელიც ერთხელაც არ ჩასულა კონფლიქტის ზონაში, თუნდაც ამ ბოლო ფაქტის გამო, როდესაც სკოლის მოსწავლეები დააპატიმრეს?! შეიძლება ვინმეს ჩემი მუშაობა მინისტრად არ მოსწონდა, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე არ ჩავსულიყავი კონფლიქტის ზონაში ნებისმიერი ინციდენტის დროს. თუნდაც მაშინ, როდესაც 50 ქართველი ჯარისკაცი დააყენეს მუხლებზე. კონფლიქტის ზონაში არავინ ჩადის, ამაზე მხოლოდ ლაპარაკობენ და პიარს იკეთებენ. რეალური საქმე არ კეთდება.

სააკაშვილის გარშემო არიან ადამიანები, ვისაც თავის ხელით ჰყავთ ადამიანები მოკლული. ის „მასტერა“ სად გააქრეს, არ გაინტერესებთ? სად არის ოლეგ მელნიკოვი, რომელიც გირგვლიანის მკვლელობასთანაა დაკავშირებული? სად არიან ის ფიგურები, ადრე რომ ჩანდნენ. ანდა, სად არის გივი თარგამაძე?

***— ფიქრობთ, რომ ამ ადამიანებმა ქვეყანა უკვე დატოვეს?***

— ვფიქრობ კი არა, ვიცი.

***— სამივემ უკვე დატოვა საქართველო?***

— მგონი, სამივემ. მელნიკოვის ახლა არ ვიცი, მაგრამ წასული რომ იყო, ეს ფაქტია. „მასტერა“ რომ წასულია, უეჭველია, ის შეიძლება საერთოდ დაიკარგოს.

***— სააკაშვილმა ორიოდე დღის წინ გზის გახსნისას კიდევ ერთხელ თქვა, რომ ამ გზით აუცილებლად ჩავალთ სოხუმში.***

— კარგით, რა. ეს უკვე პათოლოგიაა. სააკაშვილის გზებით სოხუმამდე ვერ ჩავალთ, მაგრამ ჩვენ ისე ჩავალთ აუცილებლად.

***— ბატონო გოგა, თქვენი მინისტრობის პერიოდში რამდენად იყო გამოკვეთილი, რომ მოლაპარაკების გზით შეიძლებოდა ურთიერთობის დათბობა თუნდაც ცხინვალის რეგიონთან?***

— ცხინვალის კი. ცხინვალის პრობლემის მოგვარება იყო 6 თვის, 1 წლის ამბავი, ამის კეთილი ნება რომ ყოფილიყო ხელისუფლების მხრიდან. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ და შემიძლია დავასაბუთო. პირველი დღიდან მე მიმყავდა ეს საქმე, ბრიუსელის კონფერენცია იყო არნახული ნაბიჯი შერიგების გზაზე. იმიტომ მიდიოდა სულ მერაბიშვილი ამის წინაალმდეგი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. მე ამას დოკუმენტურად დავამტკიცებ. ყველა დოკუმენტი გაგზავნილი მაქვს საზღვარგარეთ, იქ ინახება. ამიტომ ვანო მერაბიშვილს ხელი არ მიუწვდება. მე რომ რამე დამემართოს, ეს დოკუმენტები დარჩება.

***— ამ დოკუმენტებით მერაბიშვილი დაინტერესდა?***

— კვალის მოსპობა უნდათ, მაგრამ ველარ მოსპობენ. თანაც სადაც საჭიროა, ინფორმაცია უკვე არსებობს. ტელეპროექტი „ხალხი ასამართლებს“ რომ დაიწყება, მე მოვითხოვ რამდენიმე დღეს, სადაც მექნება საშუალება, რომ დოკუმენტებით ხელში დავჯდე და ქართველ საზოგადოებას ნაბიჯ-ნაბიჯ ვაჩვენო, რას აკეთებდა და რას ამბობდნენ სააკაშვილი, ჟვანია. ჟვანიას და კოკოითის შეხვედრა სოჭში პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. იყო ხელმოწერილი დოკუმენტი, სადაც პირდაპირ ამბობდა კოკოითი, რომ პოლიტიკური მოგვარების საკითხი იდგა. მან ხელი მოაწერა. ამათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს დოკუმენტი და საერთოდ ბრიუსელის კონფერენციის შედეგები გამქრალიყო. 40 ქვეყანამ განაცხადა მზადყოფნა, რომ ამ კონფლიქტის მოგვარებაში მიეღო მონაწილეობა. საერთაშორისო დონეზე იყო ეს საკითხი გადაწყვეტილი. მოვიდა იაკობაშვილი და ყველაფერი გააკეთა, რომ ყველა ფორმატი დაენგრია, სადაც ჩვენ ერთმანეთს ველაპარაკებოდით.

> „გია ბარამი ე ზურაბ ჟვანიას მკვლელობის მოწმეა“

***— იაკობაშვილმა რეალურად შეწყვიტა კოკოითთან მოლაპარაკება?***

— მე ვიყავი ცხინვალში მინიმუმ 100-ჯერ 2 წლის და 8 თვის განმავლობაში. ჩემ შემდეგ სამი მინისტრი იყო ერთნახევარჯერ. ეს არის სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა თუ არა? იაკობაშვილმა და მერაბიშვილმა მოამზადეს რუსეთის ინტერვენცია საქართველოში იმისთვის, რომ ის განხორციელებულიყო, რაც მოხდა აგვისტოში. ეს იყო დავალება, რომელიც პირნათლად შეასრულა ამ ჯგუფმა. მიუხედავად იმისა, რომ გაუთავებლად არის ლაპარაკი და ლაილაი რუსეთთან დაპირისპირებაზე.

***— როგორია პოლიტიკური ფონი საქართველოში?***

— ახლა არის პოლიტიკური ზოზინის დრო საქართველოში, რომელშიც ძალიან აქტიურად არის ჩართული ამერიკული მხარე. მინდა მჯეროდეს, რომ მათ ესმით ის დანაშაული, რომელიც ჩადენილი აქვთ ქართველი ხალხის წინაშე და საერთოდ, იმის წინაშე, რასაც ჰქვია ცივილიზებული ურთიერთობები და დემოკრატიის გავრცელება პოსტსაბჭოთა რეგიონზე. ის, რაც გააკეთა ბუშის ადმინისტრაციამ საქართველოში, არის დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე, როდესაც მათ აიძულეს ქართველი ხალხი, რომ დამორჩილებოდნენ უკანონობას, გაყალბებას და დაგვისვეს თავზე არალეგიტიმური ხელისუფლება სააკაშვილის სახით.

***— თქვენი აზრით, შეძლებს სააკაშვილი 2113 წლამდე მართოს ქვეყანა?***

— სააკაშვილის რეჟიმს არ გააჩნია პოტენცია, მას არ გააჩნია შესაძლებლობა, რომ მართოს ქვეყანა არც ქვეყნის შიგნით, არც ქვეყნის გარეთ.

***— ლეიბორისტების ინფორმაცით, სააკაშვილი აქტიურად გზავნის ემისრებს პუტინ-მედვედევის კარზე იმისთვის, რომ პოზიციები მოიმაგროს.***

— მე სახელმწიფო მინისტრის რანგში 15 წამის განმავლობაში ველაპარაკე რუსეთის საელჩოს წარმომადგენელს ტელეფონით. ეს დაუდეს საფუძვლად ჩემ წინააღმდეგ ბრალდებას ჯაშუშობაზე. ნოღაიდელი მეორედ მიდის მოსკოვში ერთი კვირის განმავლობაში შეხვედრაზე. წინა შეხვედრაზე ნოღაიდელი კარასინს შეხვდა. ეს ის კარასინია, ცეცხლს რომ უკიდებენ ჩვენთან ნაციონალები წიკლაურები და დარჩიაშვილები. ნოღაიდელი ვისი დავალებით მიდის? რა თქმა უნდა, სააკაშვილის დავალებით მიდის. ამას ლაპარაკი რად უნდა. თორემ ნოღაიდელს მილიონები აქვს მოპარული, მართლა კალოშებით არის მოსული საქართველოს ხელისუფლებაში და საიდან აქვს 70 მილიონი, გამაგებინეთ. 12 წელიწადი კაცი იყო ჩინოვნიკი, ხელფასზე ცხოვრობდა, კანონით ჰქონდა აკრძალული მეწარმეობის უფლება. ოფიციალურად აქვს ნოღაიდელს ეს მილიონები დაფიქსირებული, ამოიღეთ მაგისი დეკლარაცია და ნახეთ, საიდან? ამ კითხვას რატომ არავინ სვამს?

***— სააკაშვილი ფიქრობს, რომ რუსეთში ურთიერთობებს ნოღაიდელი მოუგვარებს?***

— კიევში სააკაშვილი იმიტომ იყო ჩასული, რომ იმედი ჰქონდა, პუტინს შეხვდებოდა. დისკოტეკაზე იყო მერე მთელი ღამე. ნოღაიდელი ცდილობს მოსკოვში მოსინჯოს შესაძლებლობები. შიგნით რა მოლაპარაკებებია არ ვიცი, მაგრამ რაც ღიად ჩანს, ფაქტია. ვის წარმოადგენს ნოღაიდელი მოსკოვში და ვისი სახელით დადის? ვის წარმოადგენს — პეტრე მამრაძეს? რატომ ხვდება რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება ნოღაიდელს? კარასინი რატომ შეხვდა? ახლა ოფიციალური ვიზიტით რომ წავიდა, ვისი სახელით ელაპარაკება და რაზე ელაპარაკება? რას იტყვის ნოღაიდელი, თუ სააკაშვილისგან არ აქვს ზურგი გამაგრებული? რა უნდოდა ჯემალ ინაიშვილს პრიმაკოვის დაბადების დღეზე? საიდან იცნობს საერთოდ პრიმაკოვს, ვისი დესპანი იყო იქ? სომხეთს რატომ დაუტკბა ასე სააკაშვილი? სპეციალურად სომხებისთვის ხსნის ლარსის საბჟოს. ასეთი რამ გინახავთ, საომარ მდგომარეობაში ვართ ქვეყანასთან, ოკუპანტები არიან და ლარსს უხსნიან მხოლოდ სომხებს? რატომ? იმიტომ, რომ ჟორჟ სარქისიანისგან ცდილობდა რუსეთთან გაფუჭებული საქმის მოგვარებას.

ჩვენი პრობლემა სააკაშვილი კი არ არის, ჩვენი პრობლემა არის სისტემა, რომელიც აქ ჩამოყალიბდა. ამ სისტემის სათავეში ვანო მერაბიშვილი დგს და არა — სააკაშვილი, ბევრად უფრო ძლიერი და გავლენიანი ფიგურა.

***— სააკაშვილსაც მერაბიშვილი მართავს?***

— რა თქმა უნდა, ამაში ეჭვი ერთი წუთითაც არ მეპარება. ამათ ამბები აქვთ ჩადენილი და მერაბიშვილს გადაღებული და ჩაწერილი, სხვაგვარად ვერც იქნება. მერაბიშვილი უჭკუო კაცი არ არის. სხვა საქმეა, რა წარმოშობისაა ეს ჭკუა. დღეს საქართველოს აკონტროლებს მერაბიშვილი.

# ოპოზიციაში ეროვნული ძალები არ ჩანან

**გუშინ გეომოდელირების ცენტრის ექსპერტმა გია მამალაძემ ვარდების რევოლუციის შედეგები სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე შეაჯამა. მამალაძე ის განცხადებით, ვარდების რევოლუციის შემდგომ ბევრი რამ გაკეთდა, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუმცა, მამალაძე არსებულ პრობლემებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ბევრი საკითხის მოგვარება მომავლის პერსპექტივაა.**

შორენა გონგლაძე

— 2003 წლის ვარდების რევოლუციას მე არ მივესალმე იმის გამო, რომ ეს იყო სახიფათო მოვლენა, ეს პროცესები რუსეთს შესაძლოა ცუდად გამოეყენებინა, მე ვთვლი, რომ რევოლუციებით ხელისუფლების ცვლილება არ არის მისაღები და მიმაჩნდა, რომ ის პოლიტიკური ელიტა, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა, მე არ მომწონდა. რევოლუციის შემდეგ, სამწუხაროდ, ოპოზიციის ნიშა დაიკავეს იმ ძალებმა, რომლებიც მაშინ იყვნენ რევოლუციის მონაწილენი. რა არ მომწონს რევოლუციის შედეგ, ბევრი რამ გაკეთდა, შინაგან საქმეთა ორგანოებში ბევრი რამ კარგად გაკეთდა, არის გადაცდომები, დანაშაულობები, მაგრამ შეიქმნა საპატრულო პოლიცია, ქვეყანაში შემცირდა კრიმინალური დანაშაულობები, მოწესრიგდა ასევე ტრანსპორტის მოძრაობა, გაკეთდა გზები, ჯანდაცვის სისტემაც მეტნაკლებად მოწესრიგდა, მოგვარდა ელექტროენერგიის და გაზიფიკაციის პრობლემები, გაძლიერდა ჯარი. მოკლე ხანში ყველაფერს ერთად ვერ გავაკეთებთ, ბევრი რამ სამომავლო პერსპექტივაა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალიან ბევრი რამ მართლაც დადებით მოვლენად შეიძლება ჩავთვალოთ, თუმცა, მთავარი, რაც არ გაკეთდა, ეს არის სოციალური პრობლემების მოგვარება. ქვეყანაში სოციალური დახმარება, როგორც ასეთი, არ არსებობს, რაც ძალიან ცუდია. რევოლუციას უკავშირებენ რუსეთ-საქართველოს ომს, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ რუსეთთან ომი ჩვენთვის დაიწყო 1801 წლის 18 დეკემბერს. მას



შემდეგ გვაქვს ომი რუსეთთან. მე ვფიქრობ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას გარკვეულწილად თავი უნდა შეეკავებინა ცეცხლის გახსნისაგან, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო იმ სიტუაციაში. ჩვენ რომ უფრო კარგად მომზადებული ჯარი გვყოლოდა, უფრო ეფექტურად ემოქმედა ამერიკის შეერთებულ შტატებს და ევროპას, გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ამიხსნით, ცეცხლი არ არის ახლა გასახსნელი, როდესაც ჩვენი ბავშვები დაკავებული ჰყავთ და ჯანმრთელობას უსპობენ ცხინვალის იზოლატორში. ამ შემთხვევაში მინდა ჩვენს ოპოზიციას მივმართო, რომელიც ამბობდა, მძინარე ცხინვალი დაბომბა ქართულმა ჯარმაო. ისინი ამით შეურაცხყოფას აყენებდა ქართულ ჯარს, მოსწონთ ახლა მათ ეს სიტუაცია? ამიტომ მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ უფრო გააძლიეროს ქართული ჯარი, ეს არის უდიდესი შეცდომა, როდესაც ამცირებს შეიარაღების ხარჯებს, შეიარაღების ხარჯები პირიქით, უნდა გაიზარდოს, ქართული ჯარი უნდა გაძლიერდეს ისე, რომ რუსეთს ნებისმიერ პროვოკაციულ ქმედებაზე შესაბამისი პასუხი გასცეს. — აცხადებს მამალაძე, მისივე განცხადებით, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ოპოზიციაში არ ჩანან ეროვნული ძალები, მომავალ არჩევნებზე კი საზოგადოებამ სწორედ ამ ადამიანებზე უნდა გააკეთოს გათვლა.

— რაც შეეხება პერსპექტივებს, სამწუხაროდ, ისე ხდება, რომ პერსპექტივა ნამდვილ ეროვნულ ძალებს არ აქვთ, ჯერჯერობით რა პოლიტიკური ორგანიზაციებიც არის გამოკვეთილი, ეროვნულად ოპოზიციური ძალები, სამწუხაროდ, არ ჩანს, ან თუ ჩანს, ძალიან სუსტები არიან. სამწუხაროდ, ხელისუფლების ყოფილი წევრები იკავებენ ოპოზიციის ნიშას, ეს ძალიან ცუდია. ამიტომ ჩვენ ნოემბრის მოვლენებიდან უნდა ვისწავლოთ ის, რომ გადატრიალებით და რევოლუციებით ხელისუფლების შეცვლა არ შეიძლება. წინ გვაქვს არჩევნები, რომელიც, რა თქმა უნდა, დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს და მოსახლეობამ ხმა უნდა მისცეს ეროვნულად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ძალებს. — აცხადებს მამალაძე.

# რუსეთი პანკისზე დასარტყმელად ემზადება

**პანკისის ხეობაზე რუსეთიდან სამხედრო დარტყმა მზადდება. ეს ხეობა სხვადასხვა დროს, წლების განმავლობაში, რუსეთისთვის საქართველოზე ზეწოლის იარაღად იყო გამოყენებული. რუსეთი ხშირად საუბრობდა პანკისში ტერორისტების არსებობაზე და საქართველოს ამ წერტილში მისი შემოჭრის საბაბს ეძებდა. შესაბამისად, ამ კუთხეში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის შესუსტების საშიშროება იქმნებოდა.**



გულიკო ბალაძე

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ **ნოდარ ნათაძემ** განაცხადა, რომ მოსალოდნელია რუსეთის სამხედრო დარტყმა პანკისის ხეობაზე. შედეგად კი პანკისის ხეობა შეიძლება ისეთივე ზონა გახდეს საქართველოში, როგორიც არის აფხაზეთი და ცხინვალი.

— ამ მოვლენისთვის მუდმივი ფონი შემდეგია: რუსეთი ებრძვის ნამდვილად ან მოჩვენებითად ობამას მიერ გამოცხადებულ ახალ პოლიტიკურ პრინციპს — არავითარი გავლენის ზონები პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამიტომ მას ხელს აძლევს კიდევ ერთი ახალი, პატარა ომი, რომელსაც დასავლეთის ჩარევის შედეგად შეაჩერებს გაურკვეველ მდგომარეობაში, როგორც ცხინვალის ომი შეაჩერა. პანკისი ამისთვის შესაფერისი ადგილია, — ასეთ პროგნოზს აკეთებს ნოდარ ნათაძე.

ნათაძის თქმით, რუსეთს უნდა რომ მოწინააღმდეგე მისგან სულ ომს ელოდეს.

— რუსეთი დემონსტრაციულად აგრესიულს ხდის თავის იდეოლოგიას, თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობისა და უშიშროების დოქტრინის ჩათვლით. ის ასევე დემონსტრაციულად აწარმოებს ყალბ პიარ კამპანიას საქართველოში „ალ ქაიდას“ მოქმედების შესახებ. ახალი ფაქტი, რომელიც დასკვნის საფუძველს იძლევა, ისაა, რომ საქართველოს ტელევიზიაში ვხედავთ მოწვეულ რუს ჟურნალისტს ლატინინას, რომელიც ავრცელებს დეზინფორმაციას, თითქოს დღევანდელ ჩრდილო კავკასიაში რუსების წინააღმდეგ ბრძოლას მოლინადე ან ძირითადად რელიგიური ხასიათი აქვს და არა ეროვნულ-გამათავისუფლებელი. თითქოს ჩეჩნეთის მებრძოლი ელემენტი ახლა კადიროვის მომხრეა. ტყეში კი მხოლოდ ახალწამოჩიტული ახალგაზრდები გადიან, — ამბობს ნოდარ ნათაძე, — ამ ორმაგი დეზინფორმაციის გახმოვანება საქართველოს ტელევიზიით, სხვა ვერაფრით აიხსნება, თუ არა ხელისუფლების განზრახვით, ხელი შეუწყოს კიდევ ერთხელ რუსული დარტყმის გეგმას. სავარაუდოა, რომ ამისთვის მოხდება საქართველოში მყოფ ჩეჩნებთან და პანკისის მოსახლეობასთან „კონფლიქტის სიმულაცია“, რაც ახალი პროვოკაციებისა და დეზინფორმაციისათვის ხელსაყრელ ნიადაგს შექმნის.

კითხვაზე, ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება შეუწყოს ხელი პანკისის ხეობაში ვითარების დაძაბვას, ნოდარ ნათაძემ უპასუხა, რომ „შეუძლებელია ტელევიზიაში მიიწვიონ რუსი ჟურნალისტი და მან ილაპარაკოს ჩეჩნეთის სიტუაციაზე ისე, რომ ეს ხელისუფლებასთან არ იყოს შეთანხმებული. ხომ ვიცით, ტელევიზია რა არის. ვახო სანაიას გადაცემაში ლატინინას პირით პირდაპირ რუსეთის შეკვეთით გაკეთდა განცხადება, რომელზეც მოგახსენებთ.

რუსეთი მცირე ომების პოლიტიკას რომ ადგას, ცნობილია, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას პანკისში ახალი თეთრი ლაქა — ომის დაწყება რატომ უნდა აწყობდეს? „საქართველოს ხელისუფლება აკეთებს იმას, რაც რუსეთს უნდა. ერთადერთი მიზეზი ესაა“.

***— ბატონო ნოდარ, მხოლოდ რუსეთის კარნახით აკეთებს საქართველოს ხელისუფლება?***

— რასაკვირველია. სხვა მოტივი იქ არ არის.

***— რა შედეგები შეიძლება მოიტანოს პანკისში „ომის დაწყებამ“ საქართველოსთვის?***

— პანკისში ომის დაწყებამ ძალიან მძიმე შედეგები შეიძლება მოიტანოს. შეიძლება ისეთივე ზონა შეიქმნას, როგორიცაა აფხაზეთსა და ცხინვალში, ანუ რუსების მიერ ოკუპირებული ზონა შეიქმნას პანკისის ხეობაშიც.

***— ასეთ შემთხვევაში სააკაშვილის ხელისუფლებისთვის რა პირობები შეიქმნება?***

— იგივე, რაც დღეს არის. ცხინვალში მათ ქცევას, იცოდნენ, რაც მოჰყვებოდა, მაგრამ რუსის ბრძანება შეასრულეს. ახლაც შეასრულებენ.

***— პანკისში სეპარატისტები რომ არ არიან და კრიმინალური ვითარებაც არ არის მწვავე?***

— პანკისში სეპარატისტები არ არიან, მაგრამ ხეობას დაარტყამენ ტერორისტებთან ბრძოლის ნიღბით. იტყვიან, ბილ ლადენი იქ არის და უნდა შევიდეთო.

***— რუსი იქ ჯარს დააყენებს?***

— დიახ, ამისთვის კეთდება ყველაფერი. ეს საზოგადოებამ უნდა იცოდეს.

# მედვედევი მოსკოვსა და მინსკს შორის პრობლემების არსებობას აღიარებს

გერა მამულაშვილი

**თუ ბელორუსი „ჭკვიანურად მოიქცევა" და კრემლის დაკრულზე იცეკვებს, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების „აღიარების" საკითხში, ის გაზზე 30-40-პროცენტიან ფასდაკლებას მიიღებს. პუტინ-მედვედევის ორთავიანი არწივი მეზობლის მოქრთამვას კვლავაც მცდელობას არ აკლებს. რა გამოვა აქედან, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.**

რუსეთის და ბელორუსის ლიდერები „სტრატეგიულ პარტნიორობაზე“ საუბარს ერთმანეთს ასწრებენ, თუმცა, ორი ქვეყნის ინტერესები არცთუ იშვიათად ერთმანეთისგან განსხვავდება.

პრეზიდენტმა მედვედევმა ბელორუსიაში ვიზიტის წინ, იქაურ ჟურნალისტებთან შეხვედრისას შემდეგი პირობა დადო: „მომავალ წელს მოსკოვი მინსკს ბუნებრივ აირს 30-40 პროცენტის ფასდაკლებით მიაწვდის“.

მოსკოვის დე-იურე ლიდერი აღნიშნავს, რომ ბელორუსია ფასდაკლებას „განსაკუთრებული ორმხრივი ურთიერთობების“ საშუალებით იღებს, მათ შორის ბელორუსიის საგაზო-სატრანსპორტო სისტემაში „გაზპრომის“ მონაწილეობის გათვალისწინებით.

„მეოთხე კვარტალში გაზს ათას კუბურ მეტრზე 122 დოლარად ვაწვდით — ეს 30-პროცენტიანი ფასდაკლების გათვალისწინებით ხდება; ეს გადაწყვეტილება „გაზპრომმა“ თავის კონტრაგენტებთან მიმდინარე წელს მიიღო“, — გვახსენებს მედვედევი.

— პრეფერენციების საერთო რაოდენობამ, რაც ბელორუსის ეკონომიკაზე მივმართეთ, დაახლოებით 50 მილიარდი დოლარი შეადგინა. ჩვენ არავისთან გვაქვს ისეთი განსაკუთრებული ურთიერთობები, როგორიც ბელორუსთან, — აცხადებს მედვედევი.

პრეზიდენტი ირწმუნება, რომ მოსკოვს მინსკისთვის არასოდეს შეუთავაზებია, რომ რუსეთის ერთ-ერთი რესპუბლიკა გამხდარიყო:

— „თქვენ ალბათ საუბრობთ პრეზიდენტების, ლუკაშენკოს და პუტინის ცნობილ პრესკონფერენციაზე, სადაც საუბარი გაზის საფასურზე გაიმართა. ერთ-ერთი რეპლიკის დროს ჩემმა წინამორბედმა (პუტინმა) თქვა: „ვისაც გაზზე განსაკუთრებული ფასები სურს, ვისაც შიდა ფასების მიღება სურს, უნდა ესმოდეს, რომ ასეთი ფასები მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებისთვის არსებობს“. მაგრამ აქედან ხომ არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ ფედერაციაში გასაწევრიანებლად ბელარუსი, ან სხვა ქვეყანა მოვიწვიეთ“, — ამბობს მედვედევი.

გასულ ზაფხულს რუსეთის და ბელორუსის სტრატეგიული პარტნიორობა ახალი გამოცდის წინაშე დადგა. რამდენიმე კვირის მანძილზე ორ ქვეყანას შორის ე.წ. რძის ომი გრძელდებოდა. რომლის დროსაც მოსკოვმა რუსეთის ტერიტორიაზე ბელორუსული რძის გაყიდვა აკრძალა.

დაპირისპირება ორივე მხრიდან საკმაოდ მკვეთრი განცხადებების თანხლებით ვითარდებოდა. რუსეთის ჩინოვნიკები ბელორუსიას გადახდისუუნარობაში ადანაშაულებდნენ. ხოლო ლუკაშენკომ რუსეთის ფინანსთა მინისტრი „ჭკუის სწავლებისთვის“ გააკრიტიკა და საკუთარი მთავრობის წევრებს მოუწოდა, რომ „არ დაჩოქილიყვნენ“ და შეეწყვიტათ რუსეთისთვის მხარდაჭერის თხოვნა.

მედვედევი მოსკოვსა და მინსკს შორის პრობლემების არსებობას აღიარებს და ლუკაშენკოს თავის „გამონათქვამებში სიფრთხილის გამოჩენისკენ“ მოუწოდებს.

— ბოლო დროს ბელორუსელი კოლეგების, პრეზიდენტის მხრიდან ბევრი ემოციური განცხადება გაკეთდა, რომლებიც ხშირად დიპლომატიურ ჩარჩოებს სცილდებოდა. ხოლო თუკი ღიად ვისაუბრებთ, იგი სპეციფიკურ ხასიათს ატარებდა ჩვენი თანამდებობის პირებთან მიმართებაში. მხედველობაში მაქვს მთავრობის წევრები და რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე. მე ეს არ მომწონს. ამას დაუშვებლად მივიჩნევ, — აცხადებს მედვედევი.



კითხვაზე პასუხისას, შეუძლია თუ არა ამჟამად ბელორუსის ოპოზიციასთან შეხვედრა, მედვედევმა მიანიშნა, რომ ეს შესაძლებელია.

— პოლიტიკოსებს შორის ურთიერთობა — ეს ნორმალურია. როდესაც ჩვენთან უცხოელი ლიდერები ჩამოდიან, ისინი ჩვენს ოპოზიციას ხვდებიან. ეს ჩვენ მოგვწონს თუ არა. შესაძლოა მე რაღაც არ მომწონს, მაგრამ ისინი რეგულარულად იძახებენ თავისთან რუსული ოპოზიციის წარმომადგენლებს, რათა ჩვენს სახელმწიფოში საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობაზე უფრო სრული სურათი მიიღონ.

მედვედევი, რაღა თქმა უნდა, იმასაც უარყოფს, რომ მოსკოვი პოლიტიკური და ეკონომიკური პრეფერენციების სანაცვლოდ, მინსკისგან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებას მოითხოვს:

— „არც საჯარო სახით, არც პირადი შეხვედრებისას ბელორუსის ლიდერისგან, ან სხვა თანამდებობის პირისგან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება არ მომითხოვია. ამ წინადადებით არც პირდაპირ და არც ირიბად არ მიმიმართავს. ამის შესახებ ყველა საუბარი თითიდან არის გამოწოვილი და ვაჭრობას წააგავს“.

ამასთან, მედვედევი ამბობს, რომ „ალექსანდრ გრიგორიევიჩისგან (ლუკაშენკოსგან) არაერთხელ მოუსმენია, რომ ბელორუსი აუცილებლად განიხილავს ამ საკითხს და ალბათ აღიარებს ამ რესპუბლიკებს, მაგრამ ამას გააკეთებს დამოუკიდებლად, გარედან ზეწოლის გარეშე“.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ მოსკოვი ამ ზაფხულს მინსკის დასავლეთთან დაახლოებით აშკარად უკმაყოფილებას გამოხატავდა. ამის გამო ბელორუსს აღარც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების სურვილი გამოუხატავს.

დამოუკიდებელი ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ კრემლი არ შეიძლება კმაყოფილი იყოს ლუკაშენკოს მუდმივი კონტაქტებით უკრაინის პეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსთან — პოლიტიკოსთან, რომელსაც ამჟამად მოსკოვში სრულ იგნორირებას უკეთებენ. ნოემბრის დასაწყისში ლუკაშენკომ საკმარისად თბილი შეხვედრა გამართა იუშჩენკოსთან; რომლის დროსაც პრეზიდენტებმა ევროკავშირის „აღმოსავლური პარტნიორობის“ ფარგლებში თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს.

როგორც ლუკაშენკო აცხადებს, თუკი ვიღაცას არ მოსწონს იუშჩენკოსთან მისი შეხვედრები, „ეს მხოლოდ მისი პრობლემაა“. აქვე ამატებს, რომ უკრაინის პრეზიდენტთან, რომელსაც მეგობრულად სახელით მიმართავს — „მესამე ქვეყნების წინააღმდეგ არ მეგობრობენ“.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წელს იუშჩენკო და ლუკაშენკო უკვე ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

# „მეტეხი“ რუსეთში მიდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პრემიერა საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში სამი დღის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი. ეს არის სრულიად ახალი პროგრამა, თავისი ახალი ცეკვებით და დეკორაციებით.

*— ვინ არის ამ შოუს ავტორი?*

— რამდენიმე ძველი ნომერიც არის ამ პროგრამაში შესული, ისეთები, რომლებიც მიგვაჩნია, რომ არ დაძველებულა, მაგრამ მთლიანობაში სპექტაკლი სრულიად ახალია. რაც შეეხება ამ სპექტაკლის ავტორს, სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი არის ბატონი გელოდი ფოცხიშვილი. სპექტაკლში არის როგორც ბატონი გელოდის დადგმები, ასევე ჩვენი, მისი შვილების გელა და დავით ფოცხიშვილების დადგმები. ეს სპექტაკლი სამი ადამიანის ნამუშევარია.

*— რუსეთში მართლა აპირებთ ამ სპექტაკლის ჩატანას?*

— დიახ, ეს სიმართლეა.

*— არ გეშინიათ კრიტიკის?*

— ვისი მხრიდან კრიტიკის?

*— თუნდაც ქართველი საზოგადოების ან თუნდაც ქართველი პოლიტიკოსების კრიტიკის?*

— თუ ქართველ საზოგადოებაზე ვილაპარაკებთ, ქართველი საზოგადოების მხრიდან კრიტიკის ნამდვილად არ გვეშინია. ჩვენ რუსეთში ქართული ცეცხლი და საქართველოს სახე მიგვაქვს. ჩვენ ყველაფერს კიდევ ერთხელ ვანახებთ რუსებს, ვინ არის ქართველი ერი და ადგილზე ჩავუტანთ ჩვენს სათქმელს რუს მაყურებელს. რაც შეეხება პოლიტიკოსებს და მათ კრიტიკას, პოლიტიკური მხრიდანაც კარგია ჩვენი სპექტაკლის იქ წარდგენა, იმიტომ, რომ გაჩერება არაფრით არ შეიძლება. საბაზრო ეკონომიკური თვალსაზრისითაც რომ მივუდგეთ, რუსეთი არის დიდი ბაზარი, თუ არადა, საქართველოში გვაქვს მხოლოდ თბილისი, ქუთაისი და ბათუმი, სადაც შეიძლება ჩვენი პროდუქტი „გაიყიდოს“ ან პრომოუტი გაუკეთდეს.

*— თბილისში მხოლოდ სამი დღე ამხელა პროექტის პრემიერისთვის საკმარისია?*

— ჩვენ 26, 27 და 28 ნოემბერს გავმართავთ სპექტაკლის პრემიერას. გვგონია, რომ სამი დღე აბსოლუტურად საკმარისია.

*— თქვენი კონცერტები „სუხიშვილებს“ რომ დაამთხვიეთ?*

— ჩვენ არ დაგვიმთხვევია მათთვის ჩვენი სპექტაკლები, უფრო ისინი დაგვემთხვნენ, იმიტომ, რომ ჩვენ უფრო ადრე გვქონდა გადაწყვეტილი ამ სპექტაკლის პრემიერა სწორედ ნოემბრის ბოლოს. ნერვიულობით ნამდვილად არ ვნერვიულობთ, იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს სრულიად სხვა გააზრების პროგრამა, სხვა კონტექსტში წარმოდგენილი ხელოვნება, სუხიშვილებს კი უკვე თავისი სტილი და მიმართულება აქვთ. მაყურებელს ნამდვილად უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ჩვენი კონცერტებიც ნახოს და სუხიშვილებისაც. უბრალოდ, უსიამოვნო ფაქტია, რომ ერთსა და იმავე რიცხვებში გვაქვს კონცერტები, მაგრამ არა უშავს, ვისაც გულით უნდა, მაყურებელი ორივე კონცერტზე გადანაწილდება და ჩვენთანაც მოვა და სუხიშვილებთანაც.

*— უკვე გადაწყვიტეთ, სად ჩაატარებთ რუსეთში კონცერტებს?*

— იმის გარდა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დაძაბული ურთიერთობაა, ჩვენ ელემენტარული ვიზების აღების პრობლემის წინაშეც დავდექით. თუმცა, ქართული ცეკვისადმი და ზოგადად ქართული კულტურისადმი რუსეთში, განსაკუთრებით კი რეგიონების ქალაქებში, სიყვარული იმხელაა, რომ ყველა ბარიერის გადალახვა ადვილად მოხდა. მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ კონცერტებზე შეგნებულად ვთქვით უარი.

*— რატომ?*

— იმიტომ, რომ მოსკოვი და სანკტ-პეტერბურგი რუსეთის დედაქალაქებად არის მიჩნეული. ჩვენ პირველ ეტაპზე გამოვდივართ მთელი რუსეთის შემოგარენში — ტიუმენში, ეკატერინბურგში, ციმბირიდან ვიწყებთ და მთელ რუსეთს მოვივლით. ამ ქალაქებში სერიოზული წამყვანი თეატრებია, სადაც წამყვანი ქართველების დახვედრაც მოხდება. ისინი უკვე წლებია იქ ცხოვრობენ და არ ჰქონიათ ასეთი სანახაობის ხილვის საშუალება, იმიტომ, რომ თუკი რომელიმე ქართული ანსამბლი ჩადის რუსეთში, ჩადის ერთი კონცერტით და შემოიფარგლება მხოლოდ მოსკოვით ან სანკტ-პეტერბურგით. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ შემოვიაროთ მთელი რუსეთის შემოგარენი და ჩავატაროთ სერიოზული კონცერტები. აქ არ არის საუბარი ერთ ან ორ კონცერტზე, აქ ათობით კონცერტზეა ლაპარაკი. მარტო ციმბირში გვაქვს 12 კონცერტი. არც იქაურმა პუბლიკამ და არც აქაურმა არ უნდა თქვას ის, რომ ჩვენ არასწორ ნაბიჯს ვდგამთ, ეს არ არის ერის ღალატი, პირიქით, თუკი ვინმეს ერი უყვარს, ყველა უნდა წავიდეს და იქვე უნდა ანახოს თავისი სიძლიერე. ასე ვფიქრობთ ყველანი ანსამბლში.

*— როდის იწყება თქვენი გასტროლები რუსეთში?*

— რუსეთამდე ჩვენ ორკვირიანი გასტროლი გვაქვს დუბაიში. ამ გასტროლის შემდეგ ახალ წელს შევხვდებით საქართველოში და ვიწყებთ სერიოზულ საგასტროლო ტურნეს რუსეთში. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ რუსეთის გარდა გასტროლები გვაქვს ყაზახეთში, უკრაინასა და ბელორუსიაშიც.

*— თქვენ საკმაოდ თამამ ნაბიჯს დგამთ სხვა ხელოვანებისგან განსხვავებით, ამიტომ წარმატებებს გისურვებთ.*

— დამიჯერეთ, ამაში განსაკუთრებული არაფერია. იმ ადამიანებმა, ვისაც პანთეონი უნდათ საქართველოში, შეიძლება უარი თქვან რუსეთში კონცერტის გამართვაზე. ჩვენ ჯერ პანთეონისთვის არ ვფიქრობთ, ამიტომ გვინდა, რომ მთელი ჩვენი დასი მაქსიმალურად მუშაობდეს. მოცეკვავე არ უნდა იჯდეს სკამზე. ჩვენ ერის ღალატში ვერავინ დაგვადანაშაულებს. როდესაც 26 მაისს წავედით და ოსეთში გავმართეთ კონცერტი, იმ სკოლას მეორე დღეს ჭურვი ესროლეს და დაინგრა. ჩვენ მაშინ, მიუხედავად დაძაბულობისა და საომარი მდგომარეობისა, უარი არ გვითქვამს, კონფლიქტურ ზონაში ჩავსულიყავით და სამი კონცერტი გაგვემართა.

# სუხიშვილებმა ფილარმონიაში გადაინაცვლეს

ეკა ირემაშვილი

ანსამბლი „სუხიშვილები“ სამი დღის განმავლობაში განახლებულ ფილარმონიაში კონცერტებს გამართავს, რომელშიც ანსამბლი მთელი შემადგენლობით მიიღებს მონაწილეობას.

როგორც „სუხიშვილების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა **ხატია ეკიზაშვილმა** გვითხრა:

— როგორც ყოველთვის, ჩვენი არც ერთი კონცერტი არ ჰგავს ერთმანეთს. გამონაკლისი არც განახლებულ ფილარმონიაში დაგეგმილი კონცერტებია. ეს საღამოები ნინო რამიშვილის 100 წლის იუბილეს ეძღვნება. ჩვენი ანსამბლის რეპერტუარში მთლიანობაში 40 ცეკვაა და ყველა კონცერტზე მაყურებელს ჩვენს სხვადასხვა პროგრამას ვთავაზობთ. რა თქმა უნდა, არის ცეკვები, რომლებიც უცვლელია და ყოველთვის გვაქვს რეპერტუარში. ესენია: „სიმდი“, „ხორუმი“, მაგრამ მთლიანობაში ყველა კონცერტის პროგრამა სხვადასხვანაირია. ამჯერად ჩვენი კონცერტი ორგანყოფილებიანია და ორ საათს გაგრძელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენ კიდევ ერთი კონცერტის დამატება მოგვიწია. 27 ნოემბერი ბოლოს დაემატა, იმიტომ, რომ ბილეთებზე იყო დიდი მოთხოვნა. ორი დღე ჩვენი მაყურებლებისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი.

*— კიდევ რა ღონისძიებებს გეგმავთ ნინო რამიშვილის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით?*

— საქართველოში პირველად მოეწყო გამოფენა „ქართული ქორეოგრაფია“ და იგი ნინო რამიშვილის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. ეს ექსპოზიცია თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში კიდევ ორ კვირას გაგრძელდება. გამოფენის დასრულების შემდეგ კი ექსპონატები მუზეუმში დარჩება. ნინო რამიშვილის საუკუნოვანი იუბილეს ფარგლებში ოფიციალურად და პომპეზურად გაიხსნა მისი სახელობის ქუჩაც. ჭავჭავაძის პირველ ჩიხს ნინო რამიშვილის სახელი ეწოდა. უკვე წელიწადნახევარია, რაც ამ ქუჩას ნინო რამიშვილის სახელი ჰქვია, მაგრამ ოფიციალურად ამ ქუჩის პრეზენტაცია დედაქალაქის მერიამ და საკრებულომ საიუბილეო კონცერტების წინა დღეს დაამთხვიეს. ქუჩაზე უკვე მოწესრიგდა ნუმერაცია და დამონტაჟდა ქუჩის მიმანიშნებელი აბრებიც. უკვე 16 წელია, რაც თბილისში ბატონი ილიკო სუხიშვილის სახელობის ქუჩა არსებობს. ახლა ქალბატონი ნინოს სახელობის ქუჩაც არის. მართალია, მათი ქუჩები სხვადასხვა უბანშია, მაგრამ ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამ ორმა ადამიანმა უდიდესი როლი შეასრულა XX საუკუნის ქართული კულტურის განვითარებაში. ჭავჭავაძის გამზირის პირველ ჩიხში ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის შთამომავლებთან ერთად მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ ქუჩის გახსნაზე, ხოლო სუხიშვილების ანსამბლის წევრებმა ღია ცის ქვეშ იცეკვეს კიდეც.

*— ნინო რამიშვილზე წიგნი როდის გამოიცემა?*

— ჩვენ მთელი წელი გამოცხადებული გვაქვს ნინო რამიშვილის საიუბილეო წლად, ამიტომ წლის ბოლომდე კიდევ არაერთი ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი. აუცილებლად გამოიცემა ბუკლეტი ნინო რამიშვილის ფოტოებით, მასზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

*— კიდევ გეგმავთ ღონისძიებებს?*

— რა თქმა უნდა, მაგრამ მოდით, მათ უკვე სიურპრიზად დავუტოვებთ საზოგადოებას. იუბილეს ფარგლებში კონცერტების გარდა, მუდმივად სხვა კულტურული ღონისძიებებიც ჩატარდება.

*— საგასტროლო გრაფიკი ისევ დატვირთული გაქვთ?*

— რა თქმა უნდა. დეკემბერში ვმუშაობთ საქართველოში. ახალ წელს ბათუმში ვართ მიწვეულები. იანვრიდან მარტის თვემდე სულ გასვლები გვაქვს. ჯერ არაბულ ქვეყნებს — კუვეიტს, ბაჰრეინს, დუბაის, ემირატებს ვეწვევით. შემდეგ გასტროლი გვაქვს დაგეგმილი უკრაინაში, ესტონეთსა და იტალიაში. იანვრიდან მარტის ბოლომდე ჩვენი საგასტროლო გრაფიკი უკვე გაწერილია.

*— რუსეთიდან გაქვთ მოწვევები?*

— კი და ძალიან ხშირად. რუსეთი მუდმივად გვიწვევს და ჩვენც პრინციპულად ვამბობთ უარს. სულ აქვთ მცდელობები, რომ როგორმე დაგვითანხმონ, მაგრამ ამ სიტუაციაში ჩვენი რუსეთში ჩასვლა და კონცერტების გამართვა წარმოუდგენელია.

# ღია წერილი საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს

საუკუნის განმავლობაში მიმდინარე იდეოლოგიური ბრძოლა ქართული მართლმადიდებლური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ქართული საზოგადოების დეგრადაციითა და მისი სრული გახრწნით დასასრულს მიუახლოვდა. ქართველი ერის დღევანდელმა მდგომარეობამ მოგვაგონა ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები: „წინააღმდეგობას გაუწევ ჯარის შემოსევას, წინააღმდეგობას ვერ გაუწევ იდეის შემოსევას“. სწორედ ეს მიღწეული ფონი გახდა საფუძველი საქართველოს უახლოეს ისტორიაში უდიდესი ტრაგედიებისა.

თქვენ საუკეთესოდ მოგეხსენებათ, რომ ედუარდ შევარდნაძე გახლავთ უშუალო ინსპირატორი მასონების მზაკვრული გეგმისა, რომელმაც საქართველოში სისხლით დაამხო ქართველი ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლება და საქართველოს თავისუფლებისთვის ეს უთანასწორო ბრძოლა პრეზიდენტ გამსახურდიას ლიკვიდაციით დასრულდა.

გვინდა ხმამაღლა შეგახსენოთ, რომ დღიდან ეროვნული ხელისუფლების დამხობისა, იმაზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ დაიკარგა და იკარგება მნიშვნელოვანი ტერიტორიები ისედაც მცირედღა დარჩენილი უბედური საქართველოსი, დაიღუპა უამრავი უდანაშაულო ხალხი მშვიდობიანი მოსახლეობისა, განურჩევლად ასაკისა.

მოკლედ, მიდის ერის გენოციდი და საქართველო ერთ დიდ სასაფლაოდაა ქცეული. რაც ყველაზე გულმოსაკლავია და სავალალოა, ამ უთანასწორო ბრძოლაში მიზანმიმართულად ხდება ერის საუკეთესო ნაწილის ლიკვიდაცია. ვგულისხმობთ, თითზე ჩამოსათვლელ ღირსეულ ქართველებს, ქართული მენტალიტეტითა და ტრადიციებით აღჭურვილ პიროვნებებს.

თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ სწორედ ეს არის ყველაზე უფრო მზაკვრული გეგმა ქართველი ერის საბოლოოდ ამოსაძირკვად, რომელიც ჯერ კიდევ სტალინმა განახორციელა და დღესაც არ შეჩერებულა მისი პირდაპირი შთამომავლებისაგან.

გვინდა ასევე ხმამაღლა გითხრათ, რომ ჩვენ ყოველთვის მარტონი ვიყავით ამ ბრძოლებში. პატრიარქო! ალბათ, თვლიდით, რომ ნუგეში ჩვენთვის საჭირო არ იყო. ან იქნებ სათქმელიც არაფერი გქონდათ. ჩვენი ნუგეში იყო გადამწვარი კოლხური კოშკი და სისხლიანი ხელებით დახვრეტილი საქართველოს პრეზიდენტი, რომლის შესახებ სიმართლის თქმა დღესაც ვერავინ გაბედა (არ ვგულისხმობთ მის მეუღლეს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას). და ამ უმძიმეს წუთებშიც კი, ჩვენი ნუგეშია ჩვენივე პრინციპი, რასაც გვასწავლის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია — რომ არ უნდა დავიხიოთ უკან და არ ვუღალატოთ მაღალ იდეალებს, თუნდაც სიკვდილის წინაშე პირისპირ მოგვიხდეს წარდგომა. სწორედ ეს არის უნივერსალური განცდა ჭეშმარიტი ქრისტიანობისა და ყველაფრისათვის მადლობა უფალს.

თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ საქართველოს პრეზიდენტის უდანაშაულო ვაჟი, ცოტნე გამსახურდია არის მიხეილ სააკაშვილის პირადი პატიმარი, ისევე როგორც, ზვიად გამსახურდია იყო შევარდნაძის პირადი პატიმარი ყოველთვის. ის შიმშილობით გამოხატავს პროტესტს ბოროტების წინააღმდეგ უკვე ერთი თვეა. ეს არის უპრეცედენტო შერკინება ბოროტი სისტემის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში. მოწმენი ვართ ცოტნეს მამაცობსა, მაგრამ ის ძალიან ახალგაზრდაა, რომ ფატალურად დაასრულოს სიცოცხლე. არადა, მისი ნათლია, მამა გაბრიელი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ერთი წამითაც არ მოშორდებოდა მის საკანს.

მოვითხოვთ თქვენგან, პატრიარქო, პირდაპირ მოსთხოვოთ საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ვაჟის სიცოცხლე მიხეილ სააკაშვილს და აუხსნათ, რომ სიცოცხლის უფლება უფალმა ყველას მოგვანიჭა და მისი წართმევის უფლება — არა. ეს ყველას ვალია.

**მოშიმშილეთა ჯგუფი**
**24 11 2998**

## განცხადებები


● გამოცდილი ექიმი ვმკურნალობ მამაკაცურ დაავადებებს: იმპოტენცია და პროსტატა. კონსულტაციისთვის დარეკეთ: 899-53-68-18; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● სიახლე! დასაქმების სრულიად განსხვავებული პროგრამა. მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები. ანაზღაურება ყოველკვირეულად. ასაკი 25-70 წ. ტელ: 75-72-69; 893-64-27-38 ქ-ნი მათიკო მგალობლიშვილი

● სილამაზის სალონი „შარმი“ აწარმოებს მოსწავლეების მიღებას 3-თვიან კურსებზე სამკურნალო გამაჯანსაღებელი და ბავშვთა მასაჟი, სტილისტი-ვიზაჟისტი, კოსმეტოლოგიის კურსები. გაიცემა სერთიფიკატი. ფასი 300 ლარი. გაგიწევთ შემდეგ მომსახურებას: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საქორწილო, საბანკეტო ვარცხნილობები, ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით. მის: მ.მარჯანიშვილი, ალმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ექიმი-გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებსა და ბუასილს. ორსულთა აღრიცხვაზე აყვანა და კონსულტაცია უფასოა. ტელ: 999-533.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ქირავდება ვაჟა-ფშაველას II კვარტალში ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ყველანაირი ავეჯი, ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გათბობა, ცხელი წყალი) ბინა. ტელ: 899-103-183.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.






**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
**სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**

# ლივერპული ლიგას ფლორენციაში გამოეთხოვა

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურმა როგორც საინტერესო, ისეუინტერესო მატჩებით ჩაიარა. ვერც გოლუხვობით გამოირჩა — 8 მატჩში სულ 9 ბურთი გავიდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია კიდევ 2 მერვედფინალისტი გამოვლენილიყო.



„ე“ ჯგუფში ყველაფერი გაირკვა. გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი „ლივერპული“ ლიგის მიღმა დარჩა. მართალია, მერსისაიდელებმა თავიანთი მატჩი მოიგეს უნგრულ „დებრეცენთან“ (1:0), მაგრამ მათი ბედი სხვა მატჩზე იყო დამოკიდებული. უნგრეთში გამართულ მატჩში ერთადერთი გოლი დასაწყისშივე გავიდა — ნგოგმა მე-4 წუთზე გაიტანა. „ლივერპული“ შემდეგაც ფლობდა უპირატესობას, მაგრამ მეტის გატანა ვერ მოახერხა და ევროპის ლიგაზე გადაერთო.

რაფა ბენიტესის გუნდის ბედი კი ფლორენციაში გადაწყდა, სადაც „ფიორენტინამ“ უკვე ჯგუფიდან გასულ „ლიონს“ უმასპინძლა. იტალიელები გამარჯვების შემთხვევაში მერვედფინალის საგზურს ინაღდებდნენ და ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრეს — ვარგასის 28-ე წუთზე გატანილი პენალტით ფლორენციელებმა 1:0 იმარჯვეს.

„ფ“ ჯგუფში საინტერესო მატჩი შედგა ბარსელონაში, სადაც „ინტერი“ სტუმრობდა. აღსანიშნავია, რომ კატალონიას მოსაგებად ის ხალხი ეწვია, რომლებსაც სხვადასხვა დროს იქ უმოღვაწიათ — „ბარსელონაში“ დაიწყო სამწვრთნელო კარიერა „ინტერის“ ახლანდელმა თავკაცმა ჟოზე მოურინიომ, კატალონიურ კლუბში თავის დროზე უთამაშიათ სამუელ ეტოოსა და ტიაგო მოტას. თავად „ბარსელონა“ კი ლიდერების გარეშე დაუხვდა მეტოქეს — ტრავმების გამო გუნდს აკლდნენ ლეო მესი და ზლატან იბრაგიმოვიჩი, იაია ტურე და რაფაელ მარკესი, მაგრამ კატალონიელებს არ გასჭირვებიათ, საკმაოდ იოლი გამარჯვება მოეპოვებინათ.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და უკვე ხერარდ პიკემ ანგარიში გახსნა, თუმცა, მანამდე ხავის, კარლეს პუიოლსა და დანიელ ალვეშსაც ჰქონდათ მომენტები. უპირატესობას კატალონიელები გატანილი გოლის შემდეგაც ფლობდნენ და 26-ე წუთზე მეორედაც იხეირეს — მასპინძელთა შესანიშნავი კომბინაცია გოლით დაასრულა პედრო გონსალესმა.

სოლიდური სხვაობის მიუხედავად მასპინძლები თავიანთ თამაშს განაგრძნობდნენ და ანგარიში გამანადგურებელი რომ არ გახდა, თავიანთ თავს უნდა დააბრალონ. საბოლოოდ, 2:0 და „ინტერი“ ისევ ელოდება, როდის მოახერხებს გოლის გატანას „ბარსელონას“ კარებში.

ამ მოგებით კატალონიელები ჯგუფში გაპირველდნენ, ხოლო „ინტერმა“ გამსვლელი ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არაფერია.

ჯგუფის მეორე მატჩში ყაზანის „რუბინმა“ კიევის „დინამოს“ უმასპინძლა და პოსტსაბჭოური ქვეყნის გუნდები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ. ყაზანელთა შემადგენლობაში სრულად გაისარჯა ლაშა სალუქვაძე და საკმაოდ მაღალი შეფასებაც მიიღო. „რუბინი“ 6 ქულით („ინტერის“ მსგავსად) მესამე ადგილზეა, ხოლო „დინამო“ 5 ქულით ჯერჯერობით მეოთხეა. ამ ჯგუფში ყველაფერს ბოლო ტური გაარკვევს — „დინამო“ შინ „ბარსელონას“ დაუხვდება, ხოლო „ინტერი“ ყაზანელებს უმასპინძლებს.

„ჯ“ ჯგუფში მერვედფინალში გასვლის კარგ შანსს ინარჩუნებს რუმინული „უნირეა“, რომელმაც შინ 1:0 მოუგო ესპანურ „სევილიას“, რომელსაც თავისი საქმე უკვე მოლეული ჰქონდა. პირველი ტაიმის ბოლოს გოლი საკუთარ კარში დრაგუტინოვიჩმა გაიტანა.

მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო გლაზგოში „შტუტგარტმა“. გერმანელებმა 2:0 მოუგეს „რეინჯერსს“, რომელიც აშკარად სუსტად გამოიყურება მიმდინარე გათამაშებაში და მეტოქეებთან წინააღმდეგობის გაწევაც კი უჭირს. გერმანელთა მხრიდან გოლები რუდიმ და კუზმანოვიჩმა გაიტანეს. ამ მოგებით „შტუტგარტს“ 6 ქულა გაუხდა, „უნირეას“ მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება და ყველაფერს ერთმანეთში ბოლო ტურის მატჩში გაარკვევენ.

„ჰ“ ჯგუფში მერვედფინალის საგზური მოიპოვა ლონდონის „არსენალმა“. მეთოფეებმა „ემირეიტსზე“ ბელგიურ „სტანდარდს“ უმასპინძლეს და სამირ ნასრისა და დენილსონის პირველივე ტაიმში გატანილი გოლებით იმარჯვეს. ბელგიელები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ შანსს მერვედფინალში გავიდნენ, ამისთვის ბოლო ტურში შინ „ოლიმპიაკოსის“ დამარცხება იქნება საჭირო.

„ოლიმპიაკოსმა“ კი სტუმრად უგოლო ფრე ითამაშა „ალკმაართან“. ჰოლანდიელების იმედად ევროპის ლიგაზე გადანაცვლება დარჩა, ამისთვის კი ბოლო ტურში თავად უნდა მოუგოს „არსენალს“, ხოლო „ოლიმპიაკოსმა“ არ უნდა წააგოს „სტანდარდთან“.

# ალჟირის და ეგვიპტის შერიგება კადაფმა ითავა

ორი არაბული ქვეყანა — ეგვიპტე და ალჟირი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადეკიდნენ ერთმანეთს. ყველაფრის მიზეზი კი ამ ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებებს შორის გამართული მატჩია, რომელშიც გუნდები ერთმანეთს სამხრეთ აფრიკაში 2010 წელს გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ეცილებოდნენ. ქვეყნებს შორის ვითარება მეტად დაძაბულია. ქვეყნების ერთმანეთთან შერიგების სურვილი კიდევ ერთი აფრიკული ქვეყნის, ლიბიის პრეზიდენტმა მუამარ კადაფმა გამოთქვა და მზად არის კონფლიქტურ სიტუაციაში შუამავლის როლი იკისროს.

არაბული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, პოლკოვნიკმა კადაფმა ორ ქვეყანას შორის მშვიდობის დამყარება არაბული სახელმწიფოების ლიგის თხოვნით მიიღო. სადღეისოდ, საფეხბურთო სკანდალი დიპლომატიურ კონფლიქტშია გადაზრდილი — ორივე ქვეყნის ხულიგანმა გულშემატკივრებმა მასობრივი არეულობები მოაწყვეს, რაც ტრაგიკული შედეგებით დასრულდა. ორ ქვეყანას შორის მშვიდობის დამყარებისთვის საქმეში ეგვიპტელი და ალჟირელი 150 სწავლული და ინტელექტუალიც ჩაერია, რომლებიც კოლექტიურ ხელმოწერებს აგროვებენ, სადაც ითხოვენ, რომ სასწრაფოდ მოგვარდეს განვითარებული მოვლენები ქაიროსა და ალჟირს შორის.

ორივე ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოები კონფლიქტის დაწყებისთანავე მხოლოდ ამ საქმის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე წერენ. ალჟირის ტურისტულმა ბიუროებმა შეწყვიტეს ყველა ტურისტული ჯგუფის გაშვება ეგვიპტეში. ალჟირის შინაგან საქმეთა მინისტრი იაზიდ ზერუნის განცხადებით ეგვიპტის მხარე ვერ უზრუნველყოფს ჩამსვლელი ალჟირელების უსაფრთხოებას. თავად ეგვიპტის ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ალჟირის მხარე შეგნებულად აგდებს შუღლს და ყველაფერი ამ ორი ქვეყნის ხალხებს შორის მტრობას თესავს.

ექსპერტების აზრით, კი ორივე მხარე დიპლომატიურ დივიდენდებს აგროვებს და ტავიანთ ამომრჩევლებზე ნაციონალური გრძნობებით აპირებენ საჭირო ქულების დაგროვებას. ანალიტიკების აზრით, ამ ყველაფერმა შესაძლოა, სავალალო შედეგები გამოიღოს, თუ დაპირისპირება უფრო აგრესიულ ფაზაში გადავა.

ავადსახსენებელი მატჩი სუდანში გაიმართა და ალჟირის ნაკრებმა 1:0 მოიგო. გამარჯვებულს, უბრალოდ 3 ქულა კი არა, არამედ მუნდიალის საგზური ერგებოდა. მართალია, ეგვიპტელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ვერ მოიპოვეს, მაგრამ სპორტული შედეგით გაწბილება ფორმალობა აღმოჩნდა მოვლენების შემდგომ განვითარებასთან. მატჩის დასრულებისთანავე ქაიროში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხართუმის სტადიონის სიახლოვეს 21 ეგვიპტელ მოქალაქეს თავს დაესხა ალჟირელ გულშემატკივართა დიდი ჯგუფი და საშინლად გაუსწორდა.

გულშემატკივართა ფიზიკური დაპირისპირება კი ჯერ კიდევ ამ გუნდების წინა მატჩისას დაიწყო, როდესაც ეგვიპტელებმა საკუთარ მოედანზე უმასპინძლეს ალჟირელებს. ქაიროში გამართული მატჩისას ადგილობრივი პუბლიკა არცთუ სტუმართმოყვრულად დახვდა საძულველი გუნდის ფეხბურთელებს და ტრიბუნებიდან ქვის სროლით უმასპინძლდებოდნენ. მატჩის შემდეგ კი პირველი შეტაკებაც მოხდა — მაშინ ორივე მხრიდან 32 გულშემატკივარმა მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანება.

კონფლიქტი კი მარტო აფრიკის კონტინენტზე არ ვრცელდება. ეგვიპტის ნაკრების თავდამსხმელმა ამრ ზაქიმ, რომელიც ამჟამად თავისი ქვეყნის ჩემპიონატში „ზამალეკის“ შემადგენლობაში თამაშობს, უარი შეუთვალა ინგლისური „პორტსმუთის“ ხელმძღვანელობას ბრიტანულ გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით.

ფეხბურფელის განცხადებით, არანაირი სურვილი არ აქვს იმ გუნდის მოთამაშე გახდეს, რომელშიც ალჟირელი და ებრაელი ფეხბურთელები თამაშობენ.

— „პორტსმუთის“ წინადადების განხილვაც არ მინდა. მას შემდეგ, რაც გუნდმა ებრაელი ტალბენ ჰაიმი შეიძინა, ხოლო სპორტულ დირექტორად ავრაამ გრანტი დაინიშნა, ჩემთვის ეს გუნდი აღარ არსებობს, ხოლო ალჟირელი ფეხბურთელის გვერდით არასდროს ვითამაშებ, — განაცხადა ზაქიმ.

ალჟირელი ფეხბურთელი კი ნადირ ჰაჯია, რომელიც „პორტსმუთისა“ და ალჟირის ნაკრების ღირსებას იცავს.

# ბაბელმა ლივერპული გაშიფრა

სანამ „ლივერპული“ ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს ინარჩუნებდა, კლუბის სამზარეულოში სკანდალი მწიფდებოდა. მერსისაიდელთა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა რაიან ბაბელმა საკმაოდ სკანდალური განცხადებები გააკეთა ბრიტანულ პრესაში და კრიტიკის დიდი ნაწილი ლივერპულელთა ესპანელ მწვრთნელ რაფაელ ბენიტესს დაატყდა.

— ბენიტესის ფილოსოფია ძალიან მარტივია — მთელი ძალით დაიხარჯე ვარჯიშზე და მიიღე შანსი თამაშზე გასასვლელად. ამის გამო რამდენიმე ფეხბურთელს შეუძლია ჩააგდოს მატჩების დიდი ნაწილი, მაგრამ მათ მიმართ ნდობა არ იკლებს, რომელიც სადღეისოდ პირადად მე საერთოდ არ გამაჩნია. იმ ორწლინახევრის განმავლობაში რაც „ლივერპულში“ ვარ, ზედიზედ 3 მატჩი არ მექნება ჩატარებული. ბენიტესი ის პიროვნებაა, რომელიც ძალიან ადვილად უცხადებს ნდობას მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს და შეუძლია ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელსაც არავინ არ ელოდება. დიდი სურვილი მაქვს, სათამაშოდ ისევ „ენფილდზე“ დავრჩე, რადგან ისეთი გრძნობა მაქვს, რომ აქ მყოფი პიროვნებების გარკვეული ჯგუფი მაინც მენდობა, — განაცხადა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა.

გეტყვით, რომ ბაბელმა „ლივერპულში“ შემადგენლობაში 105 მატჩი ჩაატარა, აქედან ნახევარი (58) შეცვლაზე ითამაშა. ბაბელმა ბენიტესის გარდა აზრი თავის თანაკლუბელებზეც გამოთქვა.

ყველა თავდამსხმელი მხოლოდ თავის წარმატებაზე ფიქრობს. ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, ეს მიუღებელია და ეგოისტურად მიმაჩნია — ჩემთვის ძალიან რთული აღმოჩნდა ამ სტილზე გადაწყობა. ამის გაკეთება იძულებით მომიხდა. არ ვიცი, შესაძლოა ჩემმა „ახალმა ხასიათმა“ გააკვირვა თანაგუნდელები, რადგან ვამჩნევ, რომ ბევრი მათგანი კონფუზირებულია ჩემი მოქმედებებით. თავიდან ვცდილობდი, რაც შეიძლება ხშირად მეთამაშა თანაგუნდელებზე და პასები მეძლია, მაგრამ ახლა ვცდილობ, რაც შეიძლება ხშირად დავარტყა კარებში, რის გამოც თანაგუნდელების გაოცებულ თვალებს ვხედავ. თუმცა, გეტყვით ახლა რატომ ვიქცევი ასე. თავადაც ხომ შესანიშნავად იციან, რომ არასდროს მოუწოდებიათ პასი, როდესაც მათზე უკეთეს პოზიციაში ვიყავი და შემეძლო ჩემი გუნდის შეტევა გოლით დამესრულებინა, — აღნიშნა ბაბელმა.

ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა გუნდში არსებული სიტუაცია „ლივერპულში“ მრავალნაციონალურობის ბრალია. ამასთან, გუნდში არსებობენ ძველები და ახლები. ბაბელს ურთიერთობა არც თანამემამულე დირკ კიუტთან აქვს.

— „ლივერპული“ მრავალნაციონალური გუნდია და პრობლემები სწორედ აქედან გამომდინარეობს. ესპანურენოვანი ქვეყნების ფეხბურთელები ყოველთვის ერთად არიან, ძალიან ახალგაზრდები საერთოდ ცალკე, ერთად ფაქტობრივად, მხოლო მე, ლუკას ლეივა და იოსი ბენაიონი ვართ. დირკ კიუტი? დიდი ურთიერთობა არც მასთან მაქვს. ის კარგად მიღებულია ესპანელებს შორის. დირკი ძალიან მეგობრობს მათთან და მათ ხუმრობებსას შესანიშნავად იღებს, — დასძინა ბაბელმა, რომელიც სავარაუდოდ, „ლივერპულის“ დატოვების კანდიდატია.

## კორეაში მსოფლიოს ჩემპიონატს არ აჩვენებენ

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერმა კიმ ჩენ ირმა სახელმწიფო ტელევიზიებს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატების მატჩების პირდაპირ ტრანსლაციების უფლება აუკრძალა. რესპუბლიკის ლიდერმა გადაწყვიტა, რომ ჩრდილოეთ კორეის ტელეარხები მხოლოდ იმ 3 მატჩის ნაწყვეტებს აჩვენებენ, რომელშიც მათი ქვეყნის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას, ხოლო სხვა ქვეყნის ნაკრებების მიერ გამართულიმატჩები საერთოდ არ გავა ეთერში. ამასთან, ჩრდილოეთ კორეის ნაკრების მატჩების ნაწყვეტებიც მკაცრი ცენზურის ქვეშ გაივლის, რათა არ გამოჩნდეს, რომ თამაშის დროს მათი გუნდი სხვაზე ძლიერია.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ კორეის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორედ მოხვდა. პირველად ეს პატივი კომუნისტურ კორეას 1966 წელს ხვდა, როდესაც ჯგუფში თვით იტალიელები ჩატოვეს, ხოლო მერვედფინალში 5:3 წააგეს პორტუგალიის ნაკრებთან (კორეელები ამ მატჩს 3:0-ს იგებდნენ). აღსანიშნავია, რომ ამ მატჩის შემდეგ ნაკრების თითქმის ყველა წევრი სხვადასხვა სახის ბრალდებით კონცლაგერებში იქნა გაგზავნილი.

# *ალფრედო დი სტეფანო:* „ვერ ვიფიქრებდი, თუ ბერნაბეუზე ბოლო მატჩს ვატარებდი“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მოთამაშე, დანარჩენი ერთნაირი დონის.

***— ფინალური მატჩი კი ვენის „პრატერის“ სტადიონზე 3:1 წააგეთ „ინტერთან“.***

— შესანიშნავი სტადიონი იყო, მთელს გარშემო ტყე ეკრა. თამაში კი მიგელ მუნიოსის მიერ არასწორი ტაქტიკის გამო წავაგეთ. მწვრთნელმა ის თამაში გვათამაშა, რომელიც მეტოქეს უფრო აწყობდა. მთლიანობაში მთელი მატჩის განმავლობაში ჩვენ ვდომინირებდით, კარგი სანახაობაც ვაჩვენეთ, მაგრამ ორგანიზებულობა გვაკლდა — მეტოქემ ზუსტად გათვლილი კონტრშეტევებით მოგვიგო.

***— რატომ თამაშობდა გუნდი არაორგანიზებულად?***

— მუნიოსს ფაკეტის შეტევების ეშინოდა და ამანსიო უკან დახია, მაგრამ ის სულაც არ იყო გაუვალი ფეხბურთელი. ამის გამო ნახევარდაცვაში ერთით ნაკლები ფეხბურთელი გვყავდა და ყველა ჩვენი ქმედება ბოლომდე ვერ მიდიოდა. ეს იყო ჩვენი მეშვიდე ფინალი, აქედან მხოლოდ ერთი გვქონდა წაგებული „ბენფიკასთან“, მაგრამ ვერც „ინტერს“ მოვუხერხეთ ვერაფერი, იმის მიუხედავად, რომ მთელი თამაში უპირატესობა გვქონდა — სწორედ ამ მატჩის შემდეგ მიმითითეს კარისკენ.

***— ვერავინ იფიქრებდა, რომ გუნდიდან მწვრთნელთან უთანხმოების გამო გაგაგდებდნენ.***

— ასე კი მოხდა. ბრალი ჩემ გარდა კიდევ მეკარე ვისენტეს წაუყენეს. მაშინდელ პრეზიდენტ სანტიაგო ბერნაბეუსთან არანაირი უთანხმოება არ გვქონია, ყველაფერი ერთი ადამიანის გამო მოხდა.

***— ბერნაბეუს არ მოუთხოვია თქვენგან ახსნა-განმარტება?***

— ფინალური მატჩის შემდეგ გამართულ ვახშამზე ბერნაბეუ მოვიდა გუნდთან და დაინტერესდა ფეხბურთელების აზრით. ის არასდროს არ სვამდა კითხვებს პირდაპირ, მაგრამ იმ დღეს პირადად მე შემეკითხა. ვუპასუხე, რომ ჰენტოსგან განსხვავებით, მე არ ვიყავი გუნდის კაპიტანი და პასუხს ვერ გავცემდი. მატჩამდე კი გასახდელში ფეხბურთელებმა ერთხმად აღვნიშნეთ, რომ ტაქტიკური განლაგება მოედანზე არასწორად იყო შერჩეული.

***— „რეალიდან“ „ესპანიოლში“ გადადით.***

— ბარსელონაში ძალიან ბევრი მეგობარი მყავდა და ამიტომ აღმოვჩნდი „ესპანიოლში“. პარადოქსულია, მაგრამ პირველივე მატჩის ჩატარება „რეალთან“ მომიწია. მაშინ პუშკაშის გოლებით მოგვიგო „რეალმა“, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| რუბინი-დინამო | 0:0 |
| ალკმაარი-ოლიმპიაკოსი | 0:0 |
| არსენალი-სტანდარდი | 2:0 |
| ბარსელონა-ინტერი | 2:0 |
| რეინჯერსი-შტუტგარტი | 0:2 |
| დებრეცენი-ლივერპული | 0:1 |
| ფიორენტინა-ლიონი | 1:0 |
| უნირეა-სევილია | 1:0 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-ფილადელფია | 108:107 |
| ტორონტო-ინდიანა | 123:112 |
| დალასი-გოლდენ სტეიტი | 103:111 |
| დანვერი-ნიუ ჯერსი | 101:87 |
| იუტა-ოკლაჰომა | 94:104 |
| ლეიკერსი-ნიუ იორკი | 100:90 |

### ჩოგბურთი

**ატპ. შემაჯამებელი ტურნირი**

| | |
|---|---|
| დელ პოტრო-ვერდასკო | 6:4;3:6;7:6 |
| ფედერერი-მიურეი | 3:6;6:3;6:1 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| მონრეალი-კოლამბუსი | 5:3 |

### ჭადრაკი

**მსოფლიოს თასი**

**ოცდამეთორმეტედფინალი**

| | |
|---|---|
| ალექსეევი-ფრესინე | 1:1 |
| ბაკრო-საშიკირანი | 2:0 |
| ბარტელი-იუ იანი | 0,5:1,5 |
| ვან ხაო-განგული | 2:0 |
| ლაგრავი-მაიერი | 1:1 |
| ვიტიუგოვი-მილოში | 1:1 |
| გაშიმოვი-ჩჟოუ ციანჯაო | 1,5:0,5 |
| გრიშჩუკი-ტკაჩევი | 1,5:0,5 |
| ჯობავა-იტურისაგა | 1,5:0,5 |

**ქართველი მოჭადრაკე მეთექვსმეტედფინალში გავიდა**

| | |
|---|---|
| დომინგესი-კარუანა | 1:1 |
| ივანჩუკი-სო | 0,5:1,5 |
| კამსკი-ჩჯოუ ვეინჯი | 1,5:0,5 |
| კარიაკინი-ტიმოფეევი | 1:1 |
| მალახოვი-სმირინი | 1:1 |
| მამედიაროვი-მილოვი | 2:0 |
| პოლგარი ი.-ნისიპიანუ | 1:1 |
| პონომარიოვი-აკობიანი | 1:1 |
| შიროვი-ფედორჩუკი | 1:1 |
| იაკოვენკო-სანდიპანი | 2:0 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## დღის კალენდარი

**26 ნოემბრისთვის**



**წლის 330-ე დღე,**
**ახალ წლამდე დარჩა 35 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

25-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.

ხსენება წმიდა იოანე ოქროპირისა, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსისა (407); მოწამეთა: ანტონინესი, ნიკიფორესი და გერმანესი (308); მოწამე მანეფასი (307-308).

წმიდა იოანე ოქროპირი დაიბადა დაახლოებით 347 წელს, ქალაქ ანტიოქიაში. წმიდანის დედამ, ანთუსამ მთელი ძალისხმევა იოანეს ქრისტიანული ღვთისმოშიშებით აღზრდას მოახმარა. წმიდა იოანეს დედის გარდაცვალების შემდეგ ბასილთან ერთად (მომავალი მღვდელთმთავარი კესარია-კაპადოკიისა) უდაბნოში განმარტოვდა, სადაც წმიდანმა შექმნა სამი წიგნი თავისი ცხოვრებისა. 386 წელს წმიდა იოანეს ხუცესად დაასხა ხელი ანტიოქიის ეპისკოპოსმა ფლაბიანემ და ღვთის სიტყვის ქადაგება დაავალა ეკლესიაში. 12 წლის განმავლობაში ქადაგებდა წმიდა იოანე ოქროპირი ეკლესიაში მრავალრიცხოვანი მორწმუნეების წინაშე.

წმიდა იოანე ოქროპირის დიდება დღითიდღე სულ უფრო იზრდებოდა. ბევრი იშრომა მღვდელმთავარმა იმისათვის, რომ ჯეროვნად მოეწყო საღმრთო ლიტურგია: შეადგინა წესი ლიტურგიისა, შემოიღო ანტიფონური გალობა ღამისთევის ლოცვის დროს, დაწერა რამდენიმე ლოცვა ზეთისკურთხევის წესისათვის. როცა დედოფალმა ევდოქსიამ ბრძანა უკანასკნელი ქონება ჩამოერთმიათ შერისხული დიდებულის ქვრივისა და შვილებისათვის, წმიდანი მათს დასაცავად აღსდგა. სამსჯავრომ დედოფლის შეურაცხყოფისათვის გადასახლების განაჩენი გამოუტანა. იმავე დღეს კონსტანტინოპოლში დიდი მიწისძვრა მოხდა.გადასახლებაში წმიდა მღვდელთმთავარი კიდევ უფრო ზრუნავდა თავის სულიერ შვილთა რწმენის განმტკიცებისათვის. 406 წლის ზამთარში მძიმე სენმა სარეცელს მიაჯაჭვა მღვდელთმთავარი, მაგრამ მისი მტრები არ ცხრებოდნენ. 407 წელს წმიდანმა უფალს მიაბარა სული. მისი წმიდა ნაწილები ზეიმით გადაასვენეს კონსტანტინოპოლში 438 წელს.

### დაიბადნენ:

1708 - უილიამ პიტი (უფროსი), ბრიტანელი პოლიტიკოსი, გარდაიცვალა 1778 წელს.

1883 - მიხაი ბაბიჩი, უნგრელი მწერალი, გარდაიცვალა 1941 წელს.

1810 - უილიამ ჯორჯ არმსტრონგი, ინგლისელი გამომგონებელი, გარდაიცვალა 1886 წელს.

1869 - მარჯორი უორდროპი, ინგლისელი მთარგმნელი, ქართული კულტურისა და მწერლობის დიდი პოპულიზატორი, გარდაიცვალა 1909 წელს.

1895 - ბერტილ ლინდბლადი, შვედი ასტრონომი, გარდაიცვალა 1965 წელს.

1899 - ანტონ სიჭინავა, პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1963 წელს.

1912 - ეჟენ იონესკო, ფრანგი დრამატურგი, ავანგარდისტული "აბსურდის თეატრის" ერთ-ერთი ფუძემდებელი.1914 - გიორგი ლომთათიძე, არქეოლოგი, საქართველოს ბრინჯაოს ანტიკური და ფეოდალური ხანის კულტურისა და არქეოლოგიის მკვლევარი, გარდაიცვალა 1971 წელს.

1919 - სიმონ ხეჩინაშვილი, საქართველოს მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსი.

### გარდაიცვალნენ:

1855 - ადამ მიცკევიჩი, დიდი პოლონელი პოეტი.

1926 - ჯონ ბრაუნინგი, ამერიკელი გამომგონებელი. გამოიგონა ავტომატური პისტოლეტი და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.

1950 - მიხეილ ზანდუკელი, ფიზიო-თერაპევტი და კურორტოლოგი.

1959 - ნიკოლოზ გვარამაძე, მეცნიერი, პროფესორი, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერი.

1961 - ალექსანდრ გოლდენვეიზერი, რუსი პიანისტი, კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე.

1963 - ამელიტა გალი-კურჩი, გამოჩენილი იტალიელი მომღერალი (სოპრანო).

1968 - არნოლდ ცვაიგი, გერმანელი მწერალი.

1971 - დავით ნაცვლიშვილი, მხატვარი, სატირიკოსი.

1981 - მაქს ეივე, ჰოლანდიელი მოჭადრაკე, მსოფლიო მე-5 ჩემპიონი.

### მოვლენები:

1769 წელი - რუსეთში დაწესდა ორდენი - წმინდა გიორგის ჯვარი.

1789 წელი - პირველად იზეიმეს ამერიკული ეროვნული დღესასწაული — მადლიერების დღე.

1793 წელი - საფრანგეთში მოქმედი იულიუსის კალენდარი გრიგორიანული კალენდრით შეიცვალა.

1867 წელი - სუთერლანდმა დააპატენტა რეფრიჟერატორი.

1906 წელი - ამერიკის პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი ცენტრალურ ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა ვაშინგტონში. ის პირველი ამერიკელი პრეზიდენტია, რომელმაც საზღვარგარეთ იმოგზაურა.

1922 წელი - გახსნეს ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამა, მიუხედავად კარზე ჩამოკიდებული ლეგენდარული წყევლისა.

1941 წელი - ლიბანმა საფრანგეთისგან დამოუკიდებლობა მიიღო.

1965 წელი - საფრანგეთი მესამე ქვეყანა გახდა, რომელმაც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი — "ასტერიქსი" გაუშვა.

1976 წელი - კათოლიკურმა ეკლესიამ უარი თქვა კათოლიციზმი იტალიის სახელმწიფო რელიგიად ეღიარებინათ.

*მედიანიუსი*

# „ცუდი რუსები" კომპიუტერული თამაშების სამყაროს დაუბრუნდნენ

ბრიტანეთში დიდი პოპულარობით თამაშობის ამერიკული კომპიუტერული თამაშის, „ქოლ ოფ დიუთის" ახალი ნაწილი, „მოდერნ ვოფეა 2". ეს თამაში, რომლის მთავარი გმირიც მუდმივად ისვრის, ან სხვა იარაღის გამოყენებით ანადგურებს მოწინააღმდეგეს, რომელიც იმით არის აღსანიშნავი, რომ მასში მთავარ ბოროტ ძალას რუსები, ან, როგორც თამაშშია ნათქვამი, „რაშნს" წარმოადგენენ.

სიუჟეტის თანახმად, თამაშის დროს რუსეთის აეროპორტში მგზავრების დახოცვა არის საჭირო. მთავარი გმირი ცსს-ის აგენტია, რომელიც რუსი ექსტრემისტის, ვინმე მაკაროვის რაზმში მოქმედებს. მაკაროვს იგი მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ მისი გვამი აეროპორტში დატოვოს და ამით აიძულოს რუსეთის მთავრობა ამერიკას ომი გამოუცხადოს.

მიმომხილველების თქმით, ეს თამაში იმით არის აღსანიშნავი, რომ რუსები, როგორც მტრები, კომპიუტერულ თამაშებში დაბრუნდნენ. ჯერჯერობით გაურკვეველია თუ რა არის ეს, ცივი ომის ტრადიცია, ძლიერი მოწინააღმდეგის ნოსტალგია თუ თანამედროვეობით გამოწვეული ნიუანსი.

რუსეთში ეს თამაში აეროპორტის დონის იძულებით ბლოკირებული ვარიანტით გამოჩნდა. როგორც ვარაუდობენ, თამაშის ავტორებმა, კომპანია „ექთივეიშნის" წარმომადგენლებმა ეს მომხმარებლების პროტესტის გამო მოიმოქმედეს.

აეროპორტის სცენა ძალიან სასტიკია. მან ბრიტანეთის პარლამენტის დეპუტატების უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. ერთ-ერთი დეპუტატის თქმით, ეს თამაში იმდენად სასტიკ სცენებს შეიცავს, რომ ავტორებიც კი იძულებული გახდნენ განსაკუთრებული გაფრთხილებები ჩაერთოთ მასში.

ეს გაფრთხილებები მხოლოდ და მხოლოდ ცალკე პუნქტია თამაშში, რომელიც მომხმარებელს თამაშის შეწყვეტის და ამა თუ იმ სცენის გამოტოვების შესაძლებლობას აძლევს.

ისიც უნდა ითქვას, რომ არც თამაშის დანარჩენი ნაწილია ძალადობისაგან თავისუფალი. ეს თამაში ძირითადად ძალადობას ეყრდნობა, მთავარ გმირს მუდმივად უხდება მოწინააღმდეგის განადგურება, მაგრამ თავად გეიმერების თქმით, აეროპორტის სცენა მართლაც განსაკუთრებულია — მოთამაშემ ათობით უიარაღო მშვიდობიანი ადამიანი უნდა დახოცოს.

კომპიუტერული თამაშების ბრიტანული ექსპერტების თქმით, გაუგებარია, თუ რატომ აირჩიეს თამაშის ავტორებმა „მოდერნ ვოფეაში" მტრის ამპლუაში რუსები.

მათი აზრით, ამა თუ იმ ხალხის მტრის სახით წარმოჩენა საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილებაა, თამაშის ავტორები კი ცივი ომის პერიოდს დაუბრუნდნენ, მით უმეტეს, როდესაც იგი იმ სახით არის წარმოდგენილი, როგორც ეს აეროპორტშია ნაჩვენები.

რუსეთის მხარე თამაშში აეროპორტის სცენის ჩართვასაც გამოეხმაურა და მის გამოტოვებასაც, რადგან ამ სცენის გარეშე თამაში ფაქტობრივად აზრს კარგავს. მეორეს მხრივ, აეროპორტის სცენა ბევრს იმიტომ არ მოსწონს, რომ რუსები რუსებს ხოცავენ.

ბრიტანელმა ჟურნალისტებმა ამის საფუძველზე დაასკვნეს, რომ ამ დონის ბლოკირება მომხმარებლების მოთხოვნით მოხდა. გარდა ამისა, პრესაში გაჟონა მოსაზრებამ, რომელიც სავარაუდოდ რუსეთის შს სამინისტროს წარმომადგენელს დაუკავშირეს და მის თანახმად, მსგავსი თამაშები უნდა აიკრძალოს.

რუსი ჟურნალისტების თქმით, სავარაუდოდ, რუსეთის ხელისუფლება აღაშფოთა არა იმ ფაქტმა, რომ სამოქალაქო პირები დახოცეს, არამედ იმან, რომ თამაშში მილიციასაც უსწორდებიან. თამაშის პერსონაჟები მილიციის და უფს-ს ფორმაში გამოწყობილ ადამიანებს ანადგურებენ.



რუსული ფორუმები თამაშს მკვეთრად უარყოფითად გამოეხმაურნენ, თუმცა, მიმომხილველების ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ გამომსვლელებიდან ბევრი თავის გულწრფელ აზრს არ გამოხატავს.

მათი აზრით, რუსეთში ამჟამად ძალიან პოპულარულია პატრიოტად თავის წარმოჩენა, თუმცა, ბევრს არ ესმის, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა და თამაშით აღშფოთება პატრიოტიზმის უმაღლეს გამოვლინებად მიაჩნია.

მიუხედავად ამისა, მომხმარებლების პროტესტმა თამაშის გარკვეული ფრაგმენტების ბლოკირება გამოიწვია.

2009 წელს ყველაზე პოპულარული თამაშების ათეულში მოხვდა სტრატეგიული თამაშის ერთ-ერთი ვარიატი „რედ ელერთ". ამ თამაშში, სსრკ-ს მხარეზე თამაშით მთელი მსოფლიოს დაპყრობა შეიძლება სცადოთ. რეიტინგებში ასევე მაღალი ადგილი დაიკავა „მოდერნ ვოფეას" პირველმა ნაწილმა, რომელშიც რუსეთში სეპარატისტ ზაგაევის წინააღმდეგ უნდა იმოქმედოთ.

რუსი მიმომხილველების თქმით, დასავლეთში აშკარად არსებობს რუსების მტრად წარმოჩენის ტენდენცია, რომელიც ხშირად საკმაოდ სასაცილო და კომიკურ სახეს იღებს.

საკითხავია, რატომაა, რომ ცივი ომის დასრულებიდან ოცი წლის შემდეგ რუსებს კვლავაც მტრებად მიიჩნევენ.

მას შემდეგ, რაც მძაფრსიუჟეტიანი თამაშების რამდენიმე სერიაში ტერორისტები გაანადგურეს, ეს თემა უკვე მოსაწყენი გახდა, აღარც კოსმოსში ფრენა აინტერესებს ვინმეს, ამიტომაც თამაშის ავტორები ძველ პოზიციებს უბრუნდებიან.

თავის დროზე რუსების მტრებად წარმოჩენაში დიდი წვლილი შეიტანა ჰოლივუდმაც. ჰოლივუდის ზოგიერთმა მოღვაწემ ცივი ომის დახმარებით გაიკეთა კარიერა.

თუმცა, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, რუსების მტრებად წარმოჩენა მხოლოდ ტრადიციისათვის გაღებული ხარკი არ არის. რუსულ და უცხოურ ფორუმებში ხშირად ისმოდა მოსაზრება, თითქოს ამას ხელს უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ხელისუფლები უწყობენ თავიანთი საგარეო პოლიტიკით.

სათამაშო სამყაროში ადამიანები ხშირად პოლიტიკაში არ ერკვევიან და იღებენ იმ მტერს, რომელსაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ქმნიან.

გავრცელებული აზრის თანახმად, რუსეთი აგრესიული ქვეყანაა და ეს აგრესია არამოტივირებულია. მათთვის ცნობილი არ არის რუსეთის არგუმენტები, გარდა ამისა, ამ სამყაროში ადამიანები პოლიტიკაში გათვითცნობიერებული არ არიან, ამიტომ თუკი მასობრივი საშუალებები ამა თუ იმ მტრის, ან აგრესიული პერსონაჟის სახეს ქმნიან, იგი მაშინვე თამაშებში ხვდება.

ექსპერტების თქმით, რუსეთის ბაზარზე ცივი ომის დროინდელი სტილის თამაშები პრაქტიკულად არ არსებობს. ერთადერთი გამონაკლისია „მშვიდობისაკენ იძულება", რომელიც საქართველოსთან შარშანდელ ომს ასახავს. მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და რაიმე კომერციული წარმატება არ მოჰყოლია.

სპეციალისტების აზრით, რუსეთში მსგავსი თამაშები ფეხს იმიტომაც ვერ იკიდებენ, რომ მათზე, ჯერ ერთი მოთხოვნილება არ არსებობს, რადგან რუსები მეორე მსოფლიო ომის თემატიკაზე ან ფანტასტიკური სიუჟეტების თამაშებს ანიჭებენ უპირატესობას.

გარდა ამისა, მსგავს თამაშებზე პოლიტიკური შეკვეთა არ არსებობს, მაგრამ სახელმწიფო დუმამ ამ სფეროს უკვე ყურადღება მიაქცია და შესაძლოა, მალე „სწორი" თამაშის სახელმწიფო შეკვეთა გამოჩნდეს, რომელშიც რუსეთის სპეცრაზმი ნატოს დაუწყებს „ჭკუის სწავლებას".

*მოამზადა გენადი თვაურმა*

**სპორტი**

# ბავარიული ანტირეკორდი

გასულ უიკენდზე მიუნხენის „ბაიერნმა" საკუთარ „ალიანს არენაზე" ვერ შეძლო ლევეკუზენის „ბაიერის" დამარცხება, რითიც საკუთარი საკლუბო ანტირეკორდი დაამყარა დღეების მიხედვით, რომლის განმავლობაში კლუბმა ვერ შეძლო ბუნდესლიგაში პირველ ადგილზე ყოფნა.

ბოლოს მიუნხენელები პირველ ადგილზე 2008 წლის 17 მაისს იყვნენ, როდესაც ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ოტმარ ჰიცფელდის ხელმძღვანელობით. მას შემდეგ, ჯერ იურგენ კლინსმანის, ხოლო შემდეგ ლუის ვან გაალის ხელმძღვანელობით ბავარიელებმა ვერაფრით მოახერხეს პირველ ადგილზე თუნდაც ერთი ტურით აღზევება. გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა" გამოითვალა და სადღეისოდ უკვე 558 დღეა გასული, რაც „ბაიერნს" პირველობა არ ღირსებია.

ანალოგიური ცუდი სერია „ბაიერნს" 546 დღის განმავლობაში ეკუთვნოდა 2003-04 წლებში. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „ბაიერნი" ამ სერიას მინიმუმ კიდევ 21 დღით გაიხანგრძლივებს, რადგან ამჟამად ბუნდესლიგის ჩემპიონატში ბავარიელებს მხოლოდ მე-7 ადგილი უჭირავთ და ლიდერს 6 ქულით ჩამორჩებიან.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 3. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 4. ჭორების, პანიკური ინფორმაციის გამავრცელებელი ადამიანი; 5. მატლის, მღრღნელი ჭიების ძველი ქართული სახელწოდება; 6. მგალობელი ჩიტი; 8. „ბითლზის" ერთ-ერთი წევრი; 11. სამეფო კვერთხი; 14. ქართველი მხატვარი ქალი; 15. ქვიშიანი უდაბნო შუა-აზიაში; 16. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 17. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 19. ბრიტანული ნამცხვარი; 21. რიცხვის აღმნიშვნელი გრაფიკული ნიშანი; 22. ცურვის ერთ-ერთი სტილი.

**თარაზულად:** 1. ფოლადის კარკასი რკინაბეტონის კონსტრუქციაში; 5. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 7. ბადბიტონის სათამაშო ბურთი; 9. ჟურნალისტების ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 10. მტრის ზურგში გადასხმული, სპეციალური დანიშნულების სამხედრო შენაერთი; 12. შტატი აშშ-ში; 13. აბრეშუმის მსუბუქი თხელი და რბილი ქსოვილი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ზესტაფონის მახლობლად; 17. თეატრის მსახიობთა კოლექტივი; 18. უძველესი ქართული სამეფო; 20. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 23. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ფეხბურთელი; 24. უცხო მხრიდან შემოტანილი მცენარე ან შემოყვანილი ცხოველი; 25. საქმითხაო ქვეშა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ბეკერი"; 2. „პეჟო"; 3. ბაღდავაძე; 4. კინტო; 5. ფარგალი; 8. „ტვენტე"; 9. კორექტივი; 12. კომუნა; 14. ხუდონი; 16. აშარი.

**თარაზულად:** 1. „ბორისპოლი"; 6. კაროლინა; 7. კორტეჟი; 9. კინდლი; 10. თორა; 11. ანანური; 13. ბახში; 15. ბორენა; 17. მეოტიდა; 18. რულადა; 19. „ბოინგი"; 20. „ფილიპსი".

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. „ნეირატი"; 3. ილუზიანა; 4. ავანტიურა; 5. ბრიზი; 6. ალგეთი; 8. ყმუილი; 11. დენტინი; 14. იერუსალიმი; 15. „კუკარაჩა"; 16. ჰუმანიზმი; 17. „კარტიე"; 19. ბოკვერი; 21. მანგო; 22. ნეზვი.

**თარაზულად:** 1. ენოლოგია; 5. „ბაია"; 7. მწყერი; 9. ცივილიზაცია; 10. გუდაუთა; 12. ათანელი; 13. ალუმინი; 16. ჰონოლულუ; 17. კალა; 18. ობაშა; 20. აქსაკალი; 22. ნუარგ; 23. ავენიდა; 24. ზარზმა; 25. გეიმი.

# ჩეხეთის მთავრობამ ბოშა ქალების იძულებით სტერილიზაციის გამო სინანული გამოთქვა

ჩეხეთის მთავრობამ საჯაროდ გამოთქვა სინანული იმ პრაქტიკის გამო, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში იყო გავრცელებული და ბოშა ქალების უკანონო სტერილიზაციაში მდგომარეობდ.

სტერილიზაცია მიზნად ბოშების ოჯახებში მაღალი შობადობის შემცირებას ისახავდა მიზნად.



ეს პრაქტიკა, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, 1990 წელს შეწყდა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ, მაგრამ ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტების მონაცემებით, ბოლო შემთხვევები 2003 წელს დაფიქსირდა.

ჩეხეთის ადამიანის უფლებათა ლიგის განცხდებით, ხელისუფლების მიერ გამოთქმული სინანული საკმარისი არ არის და დაზარალებულებისათვის კომპენსაციის გადახდა მოითხოვა.

იმავდროულად, ჩეხეთის მთავრობის ადამიანის უფლებათა კომისარმა იან ლიტომისკიმ განაცხადა, რომ მთავრობა სინანულის გამოხატვით შემოფარგვლას აპირებს, დაზარალებულთათვის ბოდიშის მოხდა განზრახული არ ქვს, რადგან არ სურს პასუხისმგებლობა იტვირთოს ინიციატივისათვის, რომელიც მის მიერ ინიცირებული არ ყოფილა.

მისი თქმით, პასუხისმგებლობა ეკისრებათ კონკრეტულ ექიმებს, რომლებიც სტერილიზაციის ოპერაციას აკეთებდნენ.

ჩეხეთში სტერილიზებულ ქალთა რიცხვი არ აღურიცხავთ, მაგრამ ცნობილია, რომ ქალაქ ოსტრავაში იძულებით სტერილიზაციის შესახებ 80-მა ბოშა ქალმა განაცხადა.

მსგავსი საჩივრების გამოთქმას ოფიციალური გამოძიების დაწყება მოჰყვა. შედეგად ჩეხეთის ომბუდსმენმა ოტაკარ მოტეჟლმა 2005 წელს გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში ამ პრობლემის არსებობა არის აღიარებული.

მან ხელისუფლებს 1973-დან 1991 წლამდე სტერილიზებული ქალებისათვის კომპენსაციის გადახდა ურჩია.

ომბუდსმენის განცხადებით, ჩეხოსლოვაკიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლები ბოშების ასიმილაციის პოლიტიკას ატარებდნენ, რაც ბოშების ოჯახებში შობადობის კონტროლსაც გულისხმობდა.

მრავალ ბოშა ქალს ფულს სთავაზობდნენ, თუმცა, ოფიციალურად ამ პრაქტიკის არსებობას არ აღირებდნენ. ზოგმა ქალმა ოპერაციაზე თანხმობას ხელი ისე მოაწერა, რომ სიტყვა „სტერლიზაციის“ მნიშვნელობაც კი არ ესმოდა.

იმ წლებში ადამიანის უფლებათა დამცველები იძულებით სტერილიზაციის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, რადგან იგი შობადობის კონტროლის ძალადობრივ მეთოდად მიაჩნდათ.

ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლები კი პასუხად აცხადებდნენ, რომ ამ ოპერაციებს მხოლოდ სამედიცინო მიზეზების არსებობის შემთხვევაში აკეთებდნენ.

# სამგლოვიარო განცხადებები



ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი

## თინა ისიდორეს ასული მეიშვილი-ჩოჩია

გულწრფელად თანავუგრძნობთ შვილებს, ოჯახის ახლობლებს, ყველა იმათ, ვისთვისაც სათნო, კეთილი ქალბატონის, ჩვენი თინიკოს ხსოვნა მარადიულია.

*სს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები*



## მანანა გეგეჭკორის ხსოვნას

ორმოცი დღე გავიდა ჩვენი ძვირფასი მანანას გარდაცვალებიდან. ამ ძალზედ სამწუხარო ფაქტთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ მის მეუღლეს, ანზორ მიქაიასა და მთელ ოჯახს.

ავადმყოფობის პერიოდში რამდენიმე ჩვენგანი მას სახლში ვესტუმრეთ. ჩვენი მიზანი ის იყო, რომ კარგი განწყობა შეგვექმნა მისთვის, თუმცა, ყოველი ვიზიტისას იგი თავად ავლენდა ჩვენ მიმართ უდიდეს ყურადღებასა და სითბოს. მძიმე სიტუაციის მიუხედავად, ამგვარ ოჯახურ შეკრებებზე მანანა და ანზორი გულთბილი მასპინძლობით მუდამ გვაგრძნობინებდნენ თავს სასურველ სტუმრებად.

მანანამ მის სამშობლოში, საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოიპოვა ბაკალავრის, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხები ბიოლოგიაში. იგი 1992 წელს შემოგვიერთდა სტანდარტებისა და ტექნოლოგიის ნაციონალური ინსტიტუტის (NIST) ბიოტექნოლოგიურ განყოფილებაში, სადაც მუშაობდა ორმაგი მემბრანის ფორმირების მეთოდის განვითარებაზე. 1999 წელს მანანამ საქმიანობა დაიწყო SRD-ის პროგრამაში. იგი მუდამ მზად იყო სიამოვნებით შეესრულებინა ნებისმიერი სამუშაო ყოველი ჩვენი პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად. მაშინ, როდესაც მანანას ძირითადი სამუშაო SRD-ის პროგრამაში მოღვაწეობას წარმოადგენდა, იგი ყოველთვის დიდი მონდომებით ასრულებდა სხვადასხვა სახის წამყვან ფუნქციებს. მანანას ახასიათებდა მშვიდი, თავდაუზოგავი მუშაობის სტილი და ყოველთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის მოვალეობას. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩვენი ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ პროექტებში.

მანანას თავდაუზოგავი მუშაობისა და ჰუმანურობის თვისება ყველასთვის შესანიშნავ მაგალითად გამოდგება. ჩვენ ის ძალიან დაგვაკლდება თავისი პროფესიონალიზმით, მეგობრობითა და ღიმილით.

*კოლეგები NIST-დან*
*გაიტესბურგი, მერილენდი; ამერიკის შეერთებული შტატები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ისრაელის პოლიციამ თელ ავივში მოსადის აგენტი დააკავა




ისრაელის პრესის ინფორმაციით, თელ ავივის პოლიციამ ქვეყნის საიდუმლო სამსახურის, მოსადის აგენტი საწვრთნელი დავალების შესრულების დროს დააკავა.

კურსანტს ყურადღება გამვლელმა ქალმა იმ მომენტში მიაქცია, როდესაც იგი ასაფეთქებელი მოწყობილობის მულიაჟს მანქანის ქვეშ აყენებდა.

იმის დამტკიცება, რომ იგი ნამდვილად სპეცსამსახურების აგენტი იყო, კურსანტმა მხოლოდ პოლიციაში შეძლო.

მოსადი, ჩვეულებრივ, პოლიციას საწვრთნელი ოპერაციების ჩატარების შესახებ ინფორმაციას არ აწვდის ხოლმე. ისრაელის სატელევიზიო მე-10 არხმა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით იმედი გამოთქვა, რომ მოსადის აგენტები საზღვარგარეთ უფრო ეფექტურად მოქმედებენ.

ისრაელის მოქალაქემ, ნივა ბენ-ჰარუშმა, რომელმაც პოლიციას ახალგაზრდა მამაკაცის საეჭვო ყოფაქცევის შესახებ აცნობა, საინფორმაციო საშუალებების ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი სატელეფონო ზარიდან 15 წუთის შემდეგ თელავივის აეროპორტი დახურეს, ადამიანები კი გახიზნეს.

მისი თქმით, პოლიციამ თავიდან განყოფილებაში მისვლა და დაკავებულის ამოცნობა სთხოვა, შემდეგ კი აცნობეს, რომ დაკავებული საწვრთნელ დავალებას ასრულებდა.

სააგენტო „ინეტის“ თანახმად, ამ ინციდენტთან დაკავშირებით მოსადის ორი ან სამი თანამშრომელი დროებით მოვალეობების შესრულებას ჩამოაშორეს.

სააგენტომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ ადმინისტრაცია მსგავსი მოქმედებების კომენტარს არ აკეთებს.

# „რუსი მრბოლელების“ საქმეს ჟენევის პროკურატურას გადასცემენ

შვეიცარიის პოლიციამ ოფიციალურ კომუნიკეში დაადასტურა, რომ რუსეთის მოქალაქე, რომელსაც სერიოზული ავტოსაგზაო ავარიის პასუხისმგებლობა ეკისრება, ავტომობილ „ლამბორჯინის“ საჭეს მთვრალი მიუჯდა.



ჟენევის პოლიციის მიერ პრესისათვის გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ანგარიშს ავტოავარიის შესახებ, რომლის ინიციატორიც რუსეთის მოქალაქე იყო, კანტონის გენერალურ პროკურორს წარუდგენენ. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ სპორტული ავტომობილი, რომელსაც 22 წლის რუსი მართავდა, მეორე ავტომობილს დაეჯახა, რომლის საჭესთანაც 70 წლის გერმანელი მოქალაქე იჯდა.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ რუსეთის მოქალაქე ავარიის შემდეგ პოლიციის მოსვლამდე შემთხვევის ადგილზე რჩებოდა და მის სისხლში ალკოჰოლის შემცველობა 1.11 პრომილეს შეადგენდა.

ეს შემთხვევა რუსეთისა და შვეიცარიის პრესის აქტიური განხილვის მიზეზად იქცა.

ჟურნალისტების მონაცემებით 20 ნოემბრის ღამით ლუქსის კლასის ოთხი ავტმობილის, „ლამბორჯინი მურსიელაგოს“, „ბუგატი ვერირონის“ , „მერსედეს მაკლარენისა და „პორშე კაიენ ტურბოს“ მძღოლები ჟენევიდან ლოზანასაკენ მიმავალ გზატკეცილზე, დასახლებულ პუნქტში ერთმანეთს გაეჯიობრნენ.

როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, მანქანები ერთმანეთს უსწრებდნენ და მათი მოძრაობის სიჩქარე საათში 220 კმ-ს აღემატებოდა.

დაზარალებულმა გერმანელმა მოქალაქემ თავის ქალატვინის სერიოზული ტრავმა მიიღო და საავადმყოფოში მოათავსეს.

ჟურნალისტების თქმით, საავადმყოფოში მოხვდა აგრეთვე ავარიის ინიციატორიც. შეჯიბრის სამმა სხვა მონაწილემ, რომლებიც ავარიას გადაურჩნენ, პოლიციის მოსვლამდე დატოვეს იქაურობა.

პოლიცია ადასტურებს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევასთან რუსეთის კიდევ სამ მოქალაქეს ჰქონდა კავშირი. ისინი იმავე საღამოს დაკითხეს და არც ერთ მათგანს სისხლში ალკოჰოლი არ აღმოაჩნდა.

კომუნიკეში ასევე ნათქვამია, რომ სამივე გაათავისუფლეს და მათ უკვე შვეიცარიის ფარგლები დატოვეს. გაზეთ „ტრიბიუნ დე ჟენევის“ თანახმად, ისინი კერძო თვითმფრინავით სტამბულისაკენ გაფრინდნენ. გაზეთის თანახმად, ავარიის მიზეზი ჟენევის კანონშია რეგისტრირებული, მაგრამ რუსული ნიმუშის მართვის მოწმობა აქვს, რასაც შვეიცარიაში ძალა არ აქვს.

პრესის მონაცემებით, ძვირადღირებული ავტომობილები, რითაც რუსეთის მოქალაქეები ერთმანეთში ეჯიბრებოდნენ, არენდით იყო აღებული. „ბუგატი ვეირონის“ არენდის ღირებულება დღეში 32 ათას დოლარს შეადგენს, თუმცა, როგორც გაზეთმა „ტრიბიუნ დე ჟენევამ“ გამოარკვია, ჟენევის კანტონში ამ მანქანას არ აქირავებენ.

რუსეთის მედიის მიერ გავრცელებული ცნობების თანახმად, ისტორიაში მსხვილი რუსი ბიზნესმენების შვილები აღმოჩნდნენ გარეული.

შვეიცარიულმა პოლიციამ ავარიასთან კავშირის მქონე პირების ვინაობის გამხელაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ გამოძიების დასრულებამდე ვინაობის გამოცხადებას არ აპირებს. შვეიცარიის კანონმდებლობის თანახმად, ავარიის ინიციატორს ოთხ-ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა ემიქრება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რუსეთის დიპლომატიური უწყება შვეიცარიაში მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით ვითარებას აკვირდება. რუსეთის ხელისუფლების განცხადებით, რუსეთის ოთხივე მოქალაქე თავდებით გაათავისუფლეს.

# ყოფილ წითელ ქხმერს 40 წელს მიუსჯიან

კამბოჯაში მიმდინარეობს წითელი ქხმერების რეჟიმის დროს ციხის ყოფილი უფროსის, კანგ კეკ იუს პროცესი. განსასჯელი აგრეთვე „ამხანაგი დუჩის“ მეტსახელით იყო ცნობილი.

ბრალდების მხარე განსასჯელისათვის 40 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვს. მას კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩადენის ბრალდებები აქვს წაყენებული.



განსასჯელმა თავი დამნაშავედ ცნო და ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ მისი ხელმძღვანელობით კამბოჯაში ავად ცნობილ ტუოლ სლენგის ციხეში 15 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. ტრიბუნალმა ვერდიქტი მომავალი წლის დასაწყისისათვის უნდა გამოიტანოს.

წითელი ქხმერების მმართველობის განმავლობაში, გასული საუკუნის 70-იან წლებში კამბოჯაში 2 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა.

ბრალდების მხარის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგმა დუჩმა თავი დამნაშავედ ცნო და წითელი ქხმერების სხვა ლიდერების წინააღმდეგ ჩვენება მისცა, ჩადენილი არაერთი სასტიკი დანაშაულისათვის იგი მაინც უნდა დაისაჯოს.

ბრალდების მხარის განცხადებით, ბრალდებული 45 წლით თავისუფლების აღკვეთას იმსახურებს, მაგრამ გამოძიებასთან თანამშრომლობის და წინასწარ პატიმრობაში გატარებული დროის გათვალისწინებით ვადა 40 წლამდე უნდა შემცირდეს.

სასამართლოს წინაშე გამოსვლის დროს კანგ კეკ იეუმ მისი მოქმედების შედეგად დაზარალებულთა ახლობლებს კიდევ ერთხელ მიმართა, პატიება ითხოვა, იმავდროულად აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი დანაშაული მას მარტოს არ ჩაუდენია.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 26 ნოემბერი**

**08.00** ან. სერიალი "პიტი და კენტროფი" **08.30** სერიალი **"ფილიპის ფილოსოფია"** **09.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** მხ. ფილმი **"ბოროტების ყვავილი"** **12.30** სერიალი **"ელიზას ქალიშვილი"** **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება **15.00** სერიალი **"პირისპირ"** **17.00** ან. სერ."ადამიანი ობობა" **18.00** დოკ. ფ."მე-**2** მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერიალი **"ელიზას ქალიშვილი"** **22.00** დიალოგი **23.00** სერიალი **"სულებთან მოჩურჩულე"** (12) **00.00** მხ. ფილმი **"მინდორი"** (ბ) **02.05** მოამბე

**19.00** ან. ფ."პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერიალი "ფილიპის ფილოსოფია" **20.10** მეხსიერება **21.05** სერიალი **"პირისპირ"** **22.00** სერიალი **"ელიზას ქალიშვილი"** **23.00** სერიალი **"სულებთან მოჩურჩულე"** **23.50** მხ. ფილმი **"ზაფხულის თამაშები"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ვის უნდა **20** ათასი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** სერ.**"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერიალი **"უფროხილდი ანგელოზს"** **15.25** სერიალი **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერიალი **"გულის ძახილი"** **16.50** სერიალი **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერიალი **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერიალი **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერიალი **"ანხელის საიდუმლო"** **22.00** პროფილი **23.40** სერიალი **"ექიმი ჰაუსი"** **00.40** პატრული **01.00** მხ. ფილმი **"ოჯახური ცხოვრება"** (18)

**08.00** მულტფილმი "პატარა მოჩვენებები" **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ.**"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერიალი **"ტყუპები"** **12.00** სერიალი **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერიალი **"მარტოხელა მტრედი"** **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერიალი **"ტყუპები"** **19.00** სერ.**"ჩენტო ვეტრინე"** **20.00** ზღაპარიყო **20.15** ეტალონი **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ.**"ჩემი შეყვარებული"** **23.30** სერიალი **"სი-ეს-აი"** **00.30** მ-კოდი **2** **01.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერიალი **"კლინიკა"** **13.00** სერიალი **"მარადიული გრძნობა"** **15.00** ნანუკას შოუ (გან.) **16.00** სერიალი **"განრისხებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერიალი **"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერიალი **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერიალი **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** სერიალი **"ყავა და ლუდი"** **00.00** სერიალი **"უილ თრეველერის საიდუმლო"** **01.00** მხ. ფილმი **03.10** ქრონიკა **03.25** სერიალი **"კლონი"**

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **09.00** მხ. ფილმი **"ბილის და ტედის დაუჯერებელი თავგადასავლები"** **10.30, 19.30** სერიალი **"სამოთხის კუთხეები"** **11.45, 21.00** სერიალი **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.45** მხ. ფილმი **"ბუტიკი"** **14.50** "სცენა" **15.20** მხ. ფილმი **"ჰოლივუდელი პოლიციელები"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** მხ. ფილმი **"ნარკოზი"** **00.20** მხ. ფილმი **"ჯეინ ოსტინი"**

ერთსულოვნება **09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** გადაცემა "პერსპექტივა" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** **1**-ლი ს. **13.20** კონცერტი **15.10** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **15.35** მხ. ფილმი **"ისინი ჩამოვიდნენ მთიდან"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** ტრაპეზი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** სატ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** მე-**2** ს. **20.35** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მიწათმოქმედი **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ჩერიალი "საბჭოთა საქართველო" მე-**5**ს.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 26 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო — 2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 19-13, ღამით — 3-7

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — §-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 9-13, ღამით — -12-4

**ამინდის პროგნოზი 26 ნოემბრისთვის**




## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო“ უებარი წამალია



„სალხინო“ აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ქრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ „სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ „სალხინო“-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო“-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინოს“ შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

## ალფრედო დი სტეფანო: „ვერ ვიფიქრებდი, თუ ბერნაბეუზე ბოლო მატჩს ვატარებდი“

**გუშინ, გვიან ღამით მადრიდის „რეალმა“ მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შვეიცარიულ „ციურიხს“ უმასპინძლა. ეს მატჩი ერთგვარი პარალელი იყო მადრიდელი კლუბის ერთ-ერთ ლეგენდა ალფრედო დი სტეფანოსთან. საქმე ის არის, რომ 45 წლის წინ „სამეფო კლუბის“ ლეგენდამ სწორედ „ციურიხთან“ ითამაშა ბოლო მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ და ბოლო მადრიდელი გოლიც იმ მატჩში გაიტანა. ჩემპიონთა თასზე „ციურიხის“ გამარჯვების შემდეგ „რეალი“ თავად დამარცხდა ფინალში მილანის „ინტერთან“ და მწვრთნელმა მიგელ მუნიოსმა დი სტეფანოს კარიერას მიუთითა — ასე აღმოჩნდა ახლანდელი „რეალის“ საპატიო პრეზიდენტი „ესპანიოლში“.**



*— 1964 წლის 7 მაისს ჩემპიონთა თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში „ციურიხი“ 6:0 დაამარცხეთ. იმ დღეს გაიტანეთ ბოლო გოლი „რეალის“ შემადგენლობაში და ბოლოჯერ ითამაშეთ „სანტიაგო ბერნაბეუზე“.*

— კარიერის მანძილზე იმდენი მატჩი მაქვს ნათამაშევი, სიმართლე გითხრათ, ის გოლი არ მახსოვს. მაშინ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბოლო მატჩს ვთამაშობდი, მაგრამ ფინალური მატჩის შემდეგ გუნდიდან გამიშვეს.

*— თქვენ არა მარტო განმეორებით მატჩში გაიტანეთ, არამედ პირველ შეხვედრაშიც, რომელიც 2:1 მოიგეთ.*

— არც ის გოლი მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის, რომ „ციურიხს“ გასაქანი არ მივეცით. ეს იყო ძლიერი გუნდი ნაციონალური თვალსაზრისით, მაგრამ თამაშის ხარისხით ნამდვილად ვერ მიდიოდა ელიტასთან. „რეალი“ კი სტაბილური გუნდი იყო — მთელი დღეების განმავლობაში დავრბოდით და ვვარჯიშობდით. იმ დროისთვის გაფურჩქვნის ხანაში ვიყავით. ვცხოვრობდით სასტუმროებში და ტარზანებივით ქუჩაში არ ვათევდით ღამეებს. არ გვყავდა 20 შესანიშნავი ფეხბურთელი — 6-7 კარგი

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## „მეტეხი“ რუსეთში მიდის

### „ეს ერის ღალატი არ არის“

ეკა ირემაშვილი

ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერის ნაციონალური ბალეტი „მეტეხი“ ახალ შოუს სახელწოდებით „ქართული ცეცხლი“ რკინიგზელთა სახლში სამი დღის განმავლობაში შესთავაზებს მაყურებელს.




როგორც ანსამბლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, გელა ფოცხიშვილმა, გვითხრა, მათი ახალი შოუს პრემიერა საგანგებოდ საქართველოში გაიმართება, ხოლო ამის შემდეგ ქართველი მოცეკვავეები ახალ ნამუშევარს უკვე რუსეთში ჩაიტანენ და ხანგრძლივ კონცერტებს გამართავენ.

**გელა ფოცხიშვილი:**

— ჩვენი ანსამბლი უკვე 30 წელია გელოდი ფოცხიშვილის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს. რაც შეეხება „ქართულ ცეცხლს“, ეს არის სპეციალურად მომზადებული ქორეოგრაფიული სპექტაკლი, რომლის პრემიერასაც საქართველოში წარმოვადგენთ. „ქართული ცეცხლის“

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 26 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ქალწული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — საღამო მშვენიერი იქნება, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **თევზები** — ახალი საქმე მოგეწონებათ, იაქტიურეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 2. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 5. რბილი, ფერადი ფანქრები ფერწერისათვის; 8. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველებური სახელწოდება; 9. გერმანიასა და ავსტრიაში გავრცელებული კომიკური ოპერების სახელწოდება; 12. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 14. კაზაკთა სოფელი უკრანაში; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებლებთან ბრძოლა შხამქიმიკატების შეხრჩოლებით; 6. აზრის არაპირიდაპირი, იგავური გამოხატვა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 7. ცალკეული შემთხვევა, მომხდარი ამბავი; 9. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 10. მდინარის ქვიანი ნაპირი; 11. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 13. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 15. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 17. ლიხტენშტეინის მთავართა ტიტული; 18. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 19. ქართულ ვოკალურ-ინსტრუმენტალური საესტრადო ანსამბლი; 20. მუსლიმანთა რელიგიური სამართალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## იუმორი



***

— ქალებს უყვართ, როდესაც მათ კატებს ადარებენ, ფისუნიას უწოდებენ და მაშინვე თავს ამაყ, მოხდენილ, დამოუკიდებელ მტაცებლად წარმოიდგენენ... და არა პრიმიტიულ, ბანჯგვლიან, ისტერიულ არსებად, რომელიც ყველა კუთხეში სვრის...

***

ორი დაქალი საუბრობს.

— ვერ გადამიწყვეტია, დავნებდე თუ არა.

— თუ ძალიან მოგწონს, დანებდი.

— ჰო, მაგრამ რაღაც ძალიან პატიოსანი ჩანს.

— ნუ გეშინია, პატიოსნება სქესობრივი გზით არ გადაეცემა...

***

— ქართველი მამაკაცი — ის, ვისაც სჯობს დანებდე, ვიდრე აუხსნა, თუ რატომ არ გინდა...

— ქართველი ქალი — ის, ვინც ახსნას ახერხებს...

***

ტიპი ზაფხულის მზიან დილას სახლიდან ბაღში გავიდა, ხედავს, ბილიკზე ლოკოკინა მილოღავს, მოკიდა ხელი და მეზობლის ეზოში გადაუძახა.

ერთი წლის შემდეგ იგივე ტიპი იმავე სახლიდან იმავე ბაღში გავიდა, ბილიკზე ისევ ლოკოკინა დაინახა, მოკიდა ხელი, იმავე მეზობლის ბაღში გადაუძახა და დააყოლა:

— როგორ მომაბეზრე თავი...

**გ.თ.**

## ხართ თუ არა მსუნაგი

ტესტი



***1. თქვენი მაგიდის უჯრაში ყოველთვის დევს:***

ა. შოკოლადის ფილა. ბ. ვაშლი, გ. რაიმე დიეტური.

***2. რამდენად ხშირად გიწევთ მამაპაპურ სუფრასთან ჯდომა:***

ა. კვირაში რამდენჯერმე. ბ. კვირაში ერთხელ. გ. მხოლოდ მაშინ, როდესაც უარი არ გამოდის.

***3. საუზმეს რაც შეეხება:***

ა. ყოველთვის ვსაუზმობ. ბ. ყავა და ბუტერბროდი მყოფნის. გ. არ ვსაუზმობ.

***4. ფუნთუშასა და ღვეზელებზე როგორა ხართ?***

ა. რატომაც არა. ბ. მიყვარს. გ. სხვა რამ მირჩევნია.

***5. როგორც წესი, საჭმელს დღეში მიირთმევთ:***

ა. სამჯერ. ბ. ორჯერ. გ. მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვახერხებ.

***6. სტუმრად დაგპატიჟეს:***

ა. გასინჯავთ ყველაფერს, მთავარი კერძით დაწყებული და დესერტით დამთავრებული. ბ. თავს შევიზღუდავ, რამეზე უარს ვიტყვი. გ. მხოლოდ თევზი და მინერალური წყალი.

***7. სტუმრად მეგობრები გეწვივნენ:***

ა. საფუძვლიანად ვემზადები. ბ. მთავარია სასმელი, მისატანებელი მოიძებნება. გ. სალათს მოვამზადებ.

**პასუხები**

**ა. 1 ქულა. ბ. 2 ქულა. გ. 3 ქულა.**

**7-11 ქულა:** თითქმის ყველა თქვენსავით იქცევა, დღეს სადილი სამსახურში, ხვალ ყავა დაქალთან, ზეგ წვეულება და კილოგრამებიც აიკრიფა. შესამჩნევი არ არის, მაგრამ ვერც იშორებთ.

**12-16 ქულა:** გიყვართ დილიდან საღამომდე რაიმეს სუსნა და ამ ჩვეულების წინააღმდეგ უძლური ხართ. ყველაფერს ზომიერების დაცვა სჯობს.

**17-21 ქულა:** თქვენი დევიზია ანარქია, დღეს კარგად ისადილებთ, ხვალ შიმშილობთ, რაც მოგხვდებათ, იმას ჭამთ, რაც თქვენს ფორმაზე თავის უარყოფით გავლენას ახდენს.

**გ.თ.**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი